

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008 წელი №7

ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო

წ ა რ მ ო ე ბ ა

1. აღიარებითი სარჩელი
2. სარჩელის უზრუნველყოფა
 - განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ
 - სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორეთი
 - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება
3. სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა
4. საქმის განხილვის გაგრძელება
5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები
 - სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში
 - უწყების მიღებაზე უარის თქმა
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუმშებლობა
7. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება
8. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი
9. განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება
10. დამატებითი გადაწყვეტილება

1. აღიარებითი სარჩელი

განჩინება

#ას-604-942-07

18 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 23 აგვისტოს თ. ჩ-მემ და შ. ქ-მემ მოპასუხეების -მ. გ-ძის და მ. მ-ძის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს მ. გ-ძესა და მ. მ-ძეს შორის 2003 წლის 17 ივნისს სანოტარო წესით დამოწმებული ქ. ბათუმში, ... ქუჩა #58-ის, ბინა 8-ში არსებული საცხოვრებელი ბინის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ იგი დადებული იყო მოჩვენებით, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა.

მოსარჩელეთა მითითებით, 2002 წლიდან მოსარჩელეებსა და მ. გ-ძეს შორის მიმდინარეობს დავა თანხასთან დაკავშირებით და მოპასუხე მ. გ-ძემ იმ მიზნით, რომ არ აღსრულებულიყო სასამართლოს გადაწყვეტილება თანხების დაკისრების თაობაზე, 2003 წლის 17 ივნისს თვის სახელზე რიცხული ბინა აჩუქა მეუღლეს -მ. მ-ძეს. აჭარის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. გ-ძეს დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ 27 450 აშშ დოლარისა და 3000 ლარის გადახდა, რაზედაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზე, მოსარჩელეთა მითითებით, მათ გაიგეს მ. გ-ძის მიერ ბინის გასხვისების შესახებ.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს 2003 წლის 17 ივნისს სანოტარო წესით გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 10 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ჩ-ძისა და შ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-ძესა და მ. მ-ძეს შორის 2003 წლის 17 ივნისს გაფორმებული ბინის ჩუქების ხელშეკრულება. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბრის განჩინებით, რაც მ. გ-ძისა და მ. მ-ძის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის განჩინებით და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. ჩ-მემ და შ. ქ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით თ. ჩ-ძისა და შ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება.

პალატამ მიიჩნია, რომ 2003 წლის 17 ივნისს მ. გ-მემ თავის სახელზე რიცხული, ქ. ბათუმში, ... ქ. #58-ის, ბინა #8-ში არსებული ბინა აჩუქა მეუღლეს -მ. მ-ძეს

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებანი, რაც მოპასუხეთა შორის 2003 წლის 17 ივნისს დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულების მოჩვენებითი ან თვალთმაქცური ბუნების დამადასტურებელი იქნებოდა და გარიგების ბათილობის საფუძველი გახდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის განჩინება თ. ჩ-მემ და შ. ქ-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

კასატორების აზრით, სააპელაციო სასამართლომ ცალმხრივად არ გაიზიარა და დაეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის განმარტებას იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, რომ მაშინ, როცა მოხდა სადავო ხელშეკრულების გაფორმება, მხარეებს შორის არ არსებობდა არანაირი დავა, რაც უფლებას აძლევდა მოპასუხეს მოეხდინა იმ უძრავი ქონების მეუღლის სახელზე ფორმალურად გადაფორმება, რათა ვერ აღსრულებულიყო სასამართლოს ის გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით სასამართლომ სრულიად უსაფუძველოდ და არაკანონიერად გაიზიარა ის გარემოება, რომ მაშინ როცა მოხდა სადავო ბინის გაჩუქება მხარეთა შორის დავა არ არსებობდა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმის წარმოება 2003 წლის 22 აპრილის განჩინებით შეწყდა არაუფლებამოსილი პირის მიერ, კერძოდ კი კასატორთა შვილის მიერ. ამასთან, შ. ქ-ძის მიერ მინიჭებულ მინდობილობას ვადა ჰქონდა გასული და იგი ვერ იქნებოდა ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

ასევე, კასატორის განმარტებით, სასამართლომ ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არ გამოიკვლია სრულად საქმის მასალები, ამასთან არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის განჩინების გაუქმება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, თ. ჩ-ძის და შ. ქ-ძის წარმომადგენლის გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელები მ. გ-ძისა და მისი მეუღლის -მ. მ-ძეს შორის 2003 წლის 17 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობას ითხოვდნენ იმ საფუძველით, რომ მითითებულმა პირებმა ხელშეკრულება დადეს მოჩვენებით, რათა თავი აერიდებინათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად გაჩუქებულ ნივთის რეალიზაციისაგან. აღნიშნული მოსაზრების მართებულად მიჩნევისათვის აუცილებელია მ. გ-ძესათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ თანხის გადახდის დამავალბელი გადაწყვეტილების არსებობა. ასეთად კი მხარე მოიაზრებოდა მოსარჩელეთა და მ. გ-ძეს შორის არსებულ სხვა დავაზე გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუქმებულია სასამართლოს მიერ. დღეისათვის კი კანონიერ ძალაშია შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჩ-ძეს და შ. ქ-ძეს უარი ეთქვათ მ. გ-ძისათვის მათ სასარგებლოდ თანხის დაკისრების თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. ის ფაქტი, რომ გარიგება მოჩვენებითია მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარის განზრახვას გარიგების დადების დროს. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმ განზრახვაზე, რომელიც მოსარჩელის განმარტებით გააჩნდათ მხარეებს, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან დღეისათვის მ. გირკველიძეს სასამართლოს გადაწყვეტილებით კასატორთა სასარგებლოდ არავითარი ვალდებულება არ დაკისრებია. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობა წარმოადგენს აღიარებით სარჩელს და თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა უნდა არსებობდეს იურიდიული ინტერესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთი აღიარებისა. კასატორები გარიგების ბათილობის იურიდიულ ინტერესს აფუძნებდნენ თ. ჩანტლაძეს, შ. ქ-ძესა და მ. გ-ძეს შორის არსებულ დავას, რომელიც დღეისათვის დამთავრებულია და ამ უკანაკნელის მიმართ მოთხოვნა უარყოფილია სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში კი აღარ არსებობს იურიდიული ინტერესი, რაც თავისთავად აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების უპირობო ფაქტორია. გარიგება კი რომლითაც მ. გ-ძემ თავის მეუღლეს აჩუქა ბინა, არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მხოლოდ იმ საფუძველით, რომ გარიგება ცოლ-ქმარს შორისაა დადებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ჩ-ძის და შ. ქ-ძის წარმომადგენლის გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი.

განჩინება საბლოთა და არ გააჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განჩინება

#ას-258-516-08

10 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ყადაღის მოხსნა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ა. გ-შვილის სარჩელი სს „შოდას“ წესდების რეგისტრაციის გაუქმების, საზოგადოების ლიკვიდაციის, დაკავებული ტერიტორიების ჩამორთმევის და საზოგადოების დირექტორის, ზ. რ-შვილის ჰაპსუსის მგებლობის საკითხის დასმაზე. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ასევე ვ. გ-შვილის სარჩელი პრივატიზაციის სიაში აღდგენის, სათანადო წილის გამოყოფის, პრივატიზაციის გაუქმების და ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1997 წლის 07 მარტის განჩინებით დარჩა უცვლელი.

ა. და ვ. გ-შვილებმა 2000 წლის 21 ნოემბერს განცხადებით მიმართეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1976 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით;

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 03 იანვრის განჩინებით ა. და ვ. გ-შვილების განცხადება მიჩნეული იქნა დასაშვებად; ამავე სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის განჩინებით ა. და ვ. გ-შვილების განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხარემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 13 თებერვლის განჩინებით ა. და ვ. გ-შვილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის განჩინება გაუქმდა; დაკმაყოფილდა განმცხადებლების მოთხოვნა, გაუქმდა თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, განახლდა საქმის წარმოება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 05 მაისის გადაწყვეტილებით ა. და ვ. გ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და ვ. გ-შვილებმა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ.

2004 წლის 17 მაისს ა. და ვ. გ-შვილებმა დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას და აღნიშნეს, რომ სააპელაციო საჩივრით მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას; კერძოდ, სს „შოდას“ რეგისტრაციის გაუქმებას, უკანონოდ პრივატიზებული ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნებას, ვ. გ-შვილის აღდგენას სამსხმელო მოწყობლობათა ქარხნის სიაში და მისთვის სათანადო წილის გამოყოფას;

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 ივნისის საოქმო განჩინებით ვ. გ-შვილის გარდაცვალების გამო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საპრივატიზაციო სიაში შეყვანის და სათანადო წილის განსაზღვრის მოთხოვნის ნაწილში, საქმის წარმოება შეჩერდა უფლებამონაცვლის დადგენამდე. ამავე სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად, ყოფილი სამსხმელო მოწყობლობათა ქარხნის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში არასათანადო მოსარჩელე ა. გ-შვილი, შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - ეკონომიკის სამინისტროთი.

2004 წლის 21 ივლისს, ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში სათანადო მოსარჩელემ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ #21/191 განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას და აღნიშნა, რომ სამსხმელო მოწყობილობების ქარხნის პრივატიზაცია განხორციელებულია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ; საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, როგორც სათანადო

მოსარჩელე, უარს აცხადებს სარჩელზე და არ აპირებს სარჩელის აღდგრას სს „შოდას« ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების მოთხოვნით; აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა სარჩელზე, სს „შოდას« სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში, საქმის წარმოების შეწყვეტა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ოქტომბრის საოქმო განჩინებით, დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წერილობითი შუამდგომლობა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ« პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ, სს „შოდას« ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების თაობაზე, სარჩელზე უარის თქმის გამო ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის საოქმო განჩინებით, ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლედ დადგინდა მისი შვილი -ნ. გ-შვილი და საპრივატიზაციო სიაში შეყვანის და სათანადო წილის გამოყოფის ნაწილში საქმის წარმოება განახლდა.

ამავე სხდომაზე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ, მიღებული იქნა საოქმო განჩინება ა. და ვ. გ-შვილების სააპელაციო საჩივრის განსჯადობის შესაბამისად სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის თაობაზე იმ საფუძველით, რომ საქმეში აღარ მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, დავა მიმდინარეობს კერძო პირებს შორის და მოსარჩელების მოთხოვნები მიმართულია ერთადერთი მოპასუხის -სს „შოდას« წინააღმდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ა. გ-შვილის და ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ა. გ-შვილის და ვ. გ-შვილის, უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. და ნ. გ-შვილებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინებით და ამავე სასამართლოს 21 დეკემბრის განჩინებით ა. და ნ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დატოვებული იქნა განუხილველად.

2008 წლის 14 იანვარს სს „შოდას« წარმომადგენელმა ა. ფ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა ა. და ვ. გ-შვილების განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე; ყადაღა დაედო სს „შოდას« საკუთრებაში არსებულ, ყოფილ სამსხმედრო მოწყობილობათა ქარხნის და მის ბაზაზე აშენებულ რობოტებისა და მანიპულატორების ქარხნის ქონებას, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქუჩა #69-ში, ... ქ. #190-ში და სამგორის რაიონში ორხევის სამრეწველო ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთებს და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს, ასევე სს „შოდას« ბალანსზე არსებულ მოძრავ ქონებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 28 დეკემბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა სს „შოდას« წარმომადგენლის შუამდგომლობა და გაუქმდა ამავე სასამართლოს 2004 წლის 21 იანვრის განჩინება.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 21 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. გ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 28 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა ა. გ-შვილის კერძო საჩივარი; შესაბამისად, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 28 დეკემბრის და 2005 წლის 21 თებერვლის განჩინებები.

განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა. და ვ. გ-შვილების, უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის, სარჩელი კანონიერ ძალაშია შესული, რის გამო განმცხადებელმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, კერძოდ, სს „შოდას« საკუთრებაში არსებულ უფრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით სს „შოდას« წარმომადგენლის ა. ფ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 204 წლის 21 იანვრის განჩინებით გატარებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა სს „შოდას« საკუთრებაში არსებულ, ყოფილ სამსხმედრო მოწყობილობათა ქარხნის და მის ბაზაზე აშენებულ რობოტებისა და მანიპულატორების ქარხნის ქონებას, კერძოდ, ქ.თბილისში, ... ქუჩა #69-ში, ... ქ. #190-ში და სამგორის რაიონში ორხევის სამრეწველო ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთებს და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განლაგებულ შენობა ნაგებობებს, ასევე სს „შოდას« ბალანსზე არსებულ მოძრავ ქონებას.

აღნიშნულ განჩინებაზე მისი გაუქმების მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში საჩივარი შეიტანა ა. გ-შვილმა. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის 2002 წლის 20 სექტემბრის #20/3 დადგენილებით დაკმაყოფილდა გენერალური პროკურორის მოადგილის მიმართვა და მეორე დეპარტამენტს დაევალა შემოწმების ჩატარება თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის (სს „შოდას») პრივატიზაციის კანონიერებაზე. საქართველოს კონტროლის პალატის კონტროლიორებმა ქონების მართვის სამინისტროდან ამოღებული დოკუმენტების საფუძველზე ჩატარეს თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის პრივატიზების კანონიერების შემოწმება, რის საფუძველზეც 2002 წლის 19 ოქტომბერს შედგენილი იქნა აქტი, რომლის თანახმადაც საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ ქ. თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ე.წ. პრივატიზაცია განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის უზრუნველყოფით, რის საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტში განიცადა მილიონობით ზარალი და მიუთითებს რომ აქტში მითითებული ფინანსური მაქინაციები. გაყალბებული დოკუმენტები და ვერსიები უნდა დაადგინოს პროკურატურის გამოძიებამ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული მასალები გადაეცა პროკურატურას და დღესაც მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება მცხეთის საოლქო პროკურატურაში. 2001 წლის 05 სექტემბერს თბილისის პროკურატურაში აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე ქონების მართვის სამინისტროს თანამდებობის პირთა მიმართ, დაუდევრობის ფაქტზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკანონოდ გასხვისებული იქნა სს „შოდას» ტერიტორიაზე არსებული ქონების დიდი ნაწილი და მიმდინარეობდა ქონების დარჩენილი ნაწილის გაყიდვა, ა. გ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სს „შოდას» უძრავ-მოდრავ ქონებაზე ყადაღის დადება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 იანვრის განჩინებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საჩივრის ავტორის განმარტებით, სს „შოდას» ხელმძღვანელობამ კვლავ ყალბი ზედნადებებით მოახერხა დაყადაღებული ქონების ნაწილის გაყიდვა და სახსრების მითვისება. დაყადაღებული ქონების დანგრევისა და გაყიდვისათვის სს „შოდას» ხელმძღვანელების მიმართ აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე 2005 წლის 30 ივნისს, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, დღეისათვის აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება და მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სრულყოფილი გამოძიების დამთავრებამდე სს „შოდას» უფრავ-მოდრავ ქონებაზე ყადაღის დადებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. გ-შვილის საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო და გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

პალატამ მიიჩნია, რომ იმ სარჩელზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გატარებული იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება, მიღებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად აღარ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ამავე კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გაუქმებინა სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, მოეხსნა ყადაღა სს „შოდას» საკუთრებაში არსებულ უქრავ-მოდრავ ქონებაზე, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა. და ვ. გ-შვილების უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის სარჩელი, შესულია კანონიერ ძალაში.

რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და სრულყოფილი გამოძიების დამთავრებამდე შესაძლოა გასხვისდეს ქონება, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი

კასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 1911-ე 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. გ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორეთი

განჩინება

#ას-934-1139-08

17 ნოემბერი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: გაწეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 24 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ს-ვამ მოპასუხე თ. მ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბათუმში, ... ქუჩის #110-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თანამესაკუთრედ ცნობა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1993 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ რ. მ-ძესთან, რომელთან ერთად ეწეოდა საოჯახო მეურნეობას. 2002 წლის 24 ივლისს რ. მ-ძესა და ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ საბინაო სერვისის წარმომადგენელს შორის დაიდო და სანოტარო წესით დამოწმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რა დროსაც ნოტარიუსმა მოითხოვა მოსარჩელის, როგორც რ. მ-ძის მეუღლის თანხმობა. ამავე წლის 8 ნოემბერს სადავო სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა რ. მ-ძესა და აჭარის ა/რ საბინაო საკითხთა დეპარტამენტის თავმჯდომარე რ. ბ-ევს შორის. ბინა იყო ავარიული. მოსარჩელემ მძისგან -ზ- ს-ვასაგან ნასესხები 10 000 აშშ დოლარით აღნიშნულ ბინას ჩაუტარა რემონტი, რის შედეგადაც უძრავი ნივთის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის შესაბამისად, ლ. ს-ვას უნდა მიკუთვნებოდა სადავო უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი.

მოგვიანებით მოსარჩელემ იმავე სასამართლოში დაზუსტებული სარჩელი წარადგინა, რომლითაც დამატებით მოითხოვა სადავო საცხოვრებელი სახლის გაუმჯობესებაზე დახარჯული 25 210 ლარის, რ. მ-ძის დაკრძალვასა და სასაფლაოს მოწყობაზე დახარჯული 5840 ლარის, რ. მ-ძის ავადმყოფობისას გაწეული 2000 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 1400 ლარისა და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ლ. ს-ვას მოსაზრებით, რამდენადაც მოპასუხემ მემკვიდრეობით მიიღო მამის სამკვიდროში შემავალი სადავო უძრავი ნივთი, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის შესაბამისად, იგი ლ. ს-ვას ხარჯებით გაუმჯობესებული სამკვიდროს ნაწილში უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

თ. მ-ძემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა საცხოვრებელი სახლის ლ. ს-ვას უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და ლ. ს-ვასათვის ყოველთვიური ქირის -200 ლარის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით:

რ. მ-ძე გარდაიცვალა 2005 წლის 17 მარტს, რის შემდეგაც მისმა შვილმა -თ. მ-ძემ კანონის მოთხოვნათა დაცვით მიიღო მამის სამკვიდრო -ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. შეგებებული სარჩელის ავტორი ვერ ახორციელებს თავის საკუთრების უფლებას მითითებულ უძრავ ნივთზე, რადგან სახლში უკანონოდ ცხოვრობს რ. მ-ძის არარეგისტრირებული მეუღლე ლ. ს-ვა, რომელიც ბინას არ ათავისუფლებს და არც შესაბამის ქირას იხდის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შეგებებული სარჩელის ავტორმა საბოლოოდ მოითხოვა მხოლოდ საცხოვრებელი სახლით სარგებლობისათვის ლ. ს-ვასათვის ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით ქირის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ს-ვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. მ-ძეს მის სასარგებლოდ დაეკისრა ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების -24 770 ლარის და რ. მ-ძის დაკრძალვის ხარჯების -5840 ლარის გადახდა; ლ. ს-ვას სარჩელი დანარჩენ ნაწილში და თ. მ-ძის შეგებებული სარჩელი ლ. ს-ვასათვის ბინის ქირის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-ვამ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა თ. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული თანხის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში ლ. ს-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა; ლ. ს-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო წესით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 თებერვლის განჩინებით თ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინებით ლ. ს-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული 25 210 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

2008 წლის 19 აგვისტოს თ. მ-ძემ (წარმომადგენელი ვ. გ-მე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში განცხადება წარადგინა, რომლითაც ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლზე დადებული ყადაღის მოხსნა და ლ. ს-ვას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის საკუთრებაში არსებულ - თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75კვ.მ #26^ა ბინაზე ყადაღის დადება.

განმცხადებლის მოსაზრებით, ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში ლ. ს-ვას სარჩელზე უარის თქმა (რაც კანონიერ ძალაშია შესული), თავისთავად განაპირობებს ამავე ქონებაზე არსებული ყადაღის გაუქმებას, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის დასახელებული ღონისძიება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. ამასთან, სადავო ქონებაზე ყადაღის დადება ზღუდავს თ. მ-ძის, როგორც მემკვიდრის კანონით გათვალისწინებულ უფლებას სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. ამასთან, ვინაიდან მხარეთა შორის დღემდე გრძელდება დავა ქონების გაუმჯობესებაზე გაწეულ თანხებთან დაკავშირებით, განმცხადებელი თანახმაა, ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედოს მის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75კვ.მ #26^ა ბინას, რომლის ღირებულებაც, ინდემწარმე მ. ლ-ძის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, შეადგენს 150000 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით თ. მ-ძის წარმომადგენელ ვ. გ-ძის განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობას ითვალისწინებს, უზრუნველყოფის საგნის შეცვლაზე არ მიუთითებს, მაგრამ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას ასეთი შესაძლებლობა არ გამოირიცხება. მოცემულ შემთხვევაში კი უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ამგვარ საფუძველს ადგილი არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით ლ. ს-ვას განცხადება დაკმაყოფილდა და სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლს. ასევე დგინდებოდა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოგვიანებით წარდგენილი სარჩელით ლ. ს-ვას სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა: სადავო უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა და 24 770 ლარის ოდენობით გაწეული ხარჯის მოპასუხეზე დაკისრება. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი კი იყო ლ. ს-ვას სასარჩელო მოთხოვნა თ. მ-ძისათვის თანხის დაკისრების შესახებ.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა განცხადების ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ყადაღადადებული ქონების თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო ამავე ქონებაზე არსებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი აღარ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის არსებული ღონისძიება სასამართლომ მიიღო ლ. ს-ვას მიერ აღძრული სარჩელის (ანუ ყველა მოთხოვნათა) და არა ერთი რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. იმ პირობებში კი, როდესაც მხარეთა შორის კვლავ გრძელდებოდა დავა სადავო (დაყადაღებული) ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების კანონშესაბამისობაზე, სააპელაციო სასამართლომ სადავო ქონებაზე ყადაღის მოხსნა (სხვა საგნის ჩანაცვლებით) მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

მითითებულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა თ. მ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალღებდასა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან. ბათუმში, ... ქ. 110-ში მდებარე სადავო ქონება დღეის მდგომარეობით თ. მ-მის (მოპასუხის) სახელზე არ ირიცხება, რის გამოც ამ უკანასკნელის მიმართ თანხების დაკისრების მოთხოვნით აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებას არ შეიძლება წარმოადგენდეს ზემოაღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება.

საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად (რაც ამჟამად მიმდინარე დავის საგანს წარმოადგენს), იგი თანახმაა ყადაღა დაედოს მის კუთვნილ ქონებას, კერძოდ, თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75კვ.მ მქონე #26 ბინას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით თ. მ-მის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეზღვა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. მ-მის საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინება და თ. მ-მის განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ლ. ს-ვას მიერ აღძრული სარჩელის მოთხოვნებს თავდაპირველად წარმოადგენდა: ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე თანამესაკუთრედ ცნობა და მის მიერ გაწეული ხარჯების თ. მ-მისათვის დაკისრება. საქმეზე ასევე აღძრული იყო თ. მ-მის შეგებებული სარჩელი ლ. ს-ვასათვის ბინის ქირის დაკისრების მოთხოვნით. ლ. ს-ვას სარჩელი ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში, ასევე, თ. მ-მის შეგებებული სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. დღეის მდგომარეობით საქმეზე წარმოება გრძელდება მხოლოდ მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის განჩინებით ლ. ს-ვას განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ქ. ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლს.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლას, კერძოდ, ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლის ნაცვლად მის საკუთრებაში არსებულ - თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75კვ.მ #26 ბინაზე ყადაღის დადებას. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის საკითხის მომწესრიგებელ პირდაპირ ნორმას, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა საპროცესო ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. ანალოგიური საპროცესო მოქმედების მომწესრიგებელ ნორმას მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი, რომელიც საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე დასაშვებად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლას. კანონის დასახელებული ნორმის საპროცესო ანალოგიით გამოყენების გზით დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი საგნის მეორეთი შეცვლაც და ამ საკითხზე საკასაციო სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს მსჯელობას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ თ. მ-მის განცხადება არ დააკმაყოფილა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია სარჩელის ყველა მოთხოვნის მიმართ, სადავო ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში კი დავა კვლავ გრძელდება, რის გამოც არ არსებობს ამ

ქონებაზე გამოყენებული ყადაღის საგნის სხვა საგნით ჩანაცვლების მიზანშეწონილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სადავო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, სრულიად არ არის გადაწყვეტი, რომ აღსრულება მოხდეს უშუალოდ ბათუმში, ... ქ. #110-ში მდებარე სახლიდან. ამ შემთხვევაში გადაწყვეტია, რომ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონება იმყოფებოდეს მოპასუხის საკუთრებაში, იყოს ლიკვიდური და იძლეოდეს მისგან აღსრულების რეალურ შესაძლებლობას. ამდენად, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ბინის იდენტიფიკაციას გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, როგორც მოპასუხე მიუთითებს, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული, ბათუმში მდებარე სახლი არ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას, მოპასუხეს ამ სახლზე მემკვიდრეობა ჯერ გაფორმებული არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლაზე უარის თქმის საფუძველი, რაზეც სააპელაციო სასამართლო უთითებს, არ არსებობს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და თ. მ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ განცხადების განხილვის მიზნით უნდა გაარკვიოს, უზრუნველყოფს თუ არა თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75კვ.მ #26 ბინა მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას, არის თუ არა იგი ლიკვიდური, ნამდვილად არის თუ არა იგი დღეის მდგომარეობით თ. მ-ძის საკუთრებაში და ისე გადაწყვიტოს უზრუნველყოფის საგნის შეცვლის საკითხი. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, საქმეში არსებული უძრავი ქონების აგენტის, ინდემწარმე მ. ლ-ძის ცნობა ბინის ფასის თაობაზე გაცემულია თუ არა სწორედ თბილისში, ... ქ. #26-ში მდებარე 75კვ.მ #26 ბინაზე, რამდენადაც აღნიშნულ ცნობაში არ არის მითითებული ბინის ნომერი და მასში საუბარია ოთხოთახიან ბინაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოითხოვოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების წარმოების მასალები და ისე განიხილოს განცხადება უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ, რამდენადაც აღნიშნული წარმოება და განჩინების დედანი, რომლითაც დადგენილი უზრუნველყოფის ღონისძიების საგნის შეცვლას განმცხადებელი ითხოვს, საქმეში არ მოიპოვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. მ-ძის (წარმომადგენელი ვ. გ-მე) საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინება და თ. მ-ძის განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

განჩინება

#ას-703-923-08

19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით კ. თ-ძის სარჩელი შპს „არსის« მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა კ. თ-ძემ.

2008 წლის 19 მაისს აპელანტმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სამშენებლო კომპანია „არსის« საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ფართზე ყადაღის დადება.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის განჩინებით კ. თ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო შპს „არსის« საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ფართს.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს „არსმა«, რომელიც წარმოებაში იქნა მიღებული 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული განჩინების საფუძველზე დაყადაღებული ბინა არის გაყიდული, კერძოდ, რ. ქ-ვასა და სტუდია „არსს« შორის 1992 წლის 29 ივლისს გაფორმდა გარანტია #02\06, რომლის საფუძველზეც სტუდია „არსმა« აიღო ვალდებულება ქ-ვასათვის საკუთრებაში გადაეცა ფართი ... ქუჩაზე; 2002 წლის 8 ოქტომბერს რ. ქ-ვამ ხელი მოაწერა ცალმხრივ გარიგებას, რომლითაც დაადასტურა, რომ შპს „არსისგან« მფლობელობაში მიიღო გარანტიით გათვალისწინებული ფართი, მდებარე ... ქუჩის #30-ში; გადაცემულ ფართში ამჟამად ცხოვრობს რ. ქ-ვას შვილი ოჯახთან ერთად, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო რ. ქ-ვას მთელი სამკვიდრო, მათ შორის, გარანტიიდან გამომდინარე უფლებებიც.

საჩივრის ავტორის მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან დაყადაღებული ფართის კანონიერი მფლობელი არ არის საქმეში მოპასუხედ ჩართული და მის მიმართ აღსრულება ვერ მოხერხდება.

საჩივრის ავტორმა ზემოთ მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით შპს «არსის» საჩივარი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს «არსის» საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ კ. თ-ძესა და ფირმა „არსს« შორის 1992 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ბინის ნასყიდობის თაობაზე. კონტრაქტის პირველი მუხლის საფუძველზე ფირმა „არსი« იღებდა ვალდებულებას, უზრუნველყოფს რ. თბილისში, ... ქუჩაზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, ხოლო მყიდველი შეიძენდა აღნიშნულ კომპლექსში 3-ოთახიან ბინას ხელშეკრულების მე-2 მუხლის საფუძველზე. ბინის ღირებულება განისაზღვრა 3 400 000 მანეთით, რომელიც მყიდველს უნდა გადაეხადა წინასწარ კონტრაქტის ხელმოწერიდან არა უგვიანეს 15 დღისა. 1992 წლის 1 ოქტომბერს მცირე საწარმო „რატიმ« შემოქმედებითი სტუდია „არსს« გადაურიცხა 3 400 000 მანეთი სურსათის შესაძენად.

მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, სამოთახიანი ბინის საკუთრებაში გადაცემა, ასევე, ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, ჯარიმის გადახდევინება 7 004 000 რუსული მანეთის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ დაყადაღებული ფართი არის მესამე პირზე გაყიდული და მის, როგორც მოპასუხის საკუთრების მიმართ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ცნობით დადგენილია, რომ დაყადაღებული ფართზე რეგისტრირებულია შპს „არსის« საკუთრების უფლება და არ არის დატვირთული სანიუთო ან სხვა უფლებებით მესამე პირთა სასარგებლოდ. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების მიზანია, დაიცვას დავის საგანი, კერძოდ, არ დაუშვას მოვალის მიერ დავის საგნის განკარგვის შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სიმწელებს არ შეუქმნის შპს «არსს» და საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ დაყადაღებული ქონება არ ეკუთვნის შპს «არსს» უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. აქედან

გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ სწორად იქნა შერჩეული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად -ქონებაზე ყადაღის დადება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «არსის» საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-460-701-08 2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 19 აპრილს ნ. ბ-ავამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: ბ. წ-აიას, ნ. წ-აიას და თ. გ-აიას მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ნ. ბ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა -თანამოპასუხეები: ნ., ბ. და თ. გ-აია გამოსახლებულ იქნენ ნ. ბ-ავას კუთვნილი უძრავი ქონებიდან (ბინიდან), მდებარე ... ქ. #172, მე-2 სართული (წილობრივი მონაცემებით 45) და დაევალით სადავო უძრავი ქონების მოსარჩელისათვის გადაცემა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბ. წ-აიამ, ნ. წ-აიამ და თ. გ-აიამ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

სააპელაციო პალატის 2008 წლის 6 თებერვლის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები -ბ. წ-აია, ნ. წ-აია და თ. გ-აია, რომლებსაც სასამართლო სხდომის დღის თაობაზე ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მოწინააღმდეგე მხარემ -ნ. ბ-ავამ იმუამდგომლა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბ. წ-აიას ნ. წ-აიას და თ. გ-აიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტების გამოუცხადებლობის გამო. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრეს ბ. წ-აიამ, ნ. წ-აიამ და თ. გ-აიამ, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ მათი გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე გამოწვეული იყო ავადმყოფობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით ძალაში დარჩა ამავე პალატის 2008 წლის 6 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია რომ ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად, სააპელაციო საჩივრის ავტორთა მიერ მითითებული ავადმყოფობა და ამის დასადასტურებლად წარმოდგენილი ცნობა არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საპატიო საფუძველებს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ. და ნ. წ-აიებმა და თ. გ-აიამ.

კასატორის აზრით, ბ. და ნ. წ-აიების ავადმყოფობის (მწვავე ვირუსული დაავადების) დამადასტურებელ დოკუმენტს -#3 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მიერ გაცემული ცნობას და

თავად დაავადების ხასიათს და სიმძიმეს სასამართლომ მისცა არასწორი შეფასება. კასატორები მიიჩნევენ, რომ გამოუცხადებლობის მიზეზის -ავადმყოფობის -სწორი შეფასების შემთხვევაში სასამართლო უნდა მისულიყო დასკვნამდე, რომ ბ. და ნ. წ-აიებისთვის შეუძლებელი იყო სასამართლოში გამოცხადება, ამას კი შედეგად უნდა მოჰყოლოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

გარდა ამისა, კასატორთა განმარტებით სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოცემული საქმის შეჩერების საკითხზე. მაშინ როდესაც მათ ჯერ კიდევ 2005 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი იმ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოწინააღმდეგე მხარის მეუღლემ შეიძინა საკუთრების უფლება სადავო ბინაზე. ვინაიდან დასახელებული საქმის განხილვა არ დასრულებულა და იგი ამჟამად იხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში, სახეზე იყო მოცემული დავის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ ბ. და ნ. წ-აიების და თ. გ-აიას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბ. წ-აიას, ნ. წ-აიას და თ. გ-აიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა მათი გამოუცხადებლობის გამო.

ბ. წ-აიამ და ნ. წ-აიამ სასამართლო სხომაზე გამოუცხადებლობის საპატიო საფუძვლად წარმოადგინეს #3 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრის ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომლის შესაბამისად, პროცესზე მათი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო მწვავე ვირუსული დაავადებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტურ გარემოებები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

ამასთან ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და პირდაპირ მიუთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კასატორთა მიერ სასამართლოსათვის მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სამედიცინო დანიშნულების ცნობას, საკასაციო პალატა ვერ განიხილავს მათი პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან აღნიშნული ცნობით არ დასტურდება ბ. და ნ. წ-აიების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობა. ამასთან, ზემოთ მითითებული ნორმის შესაბამისად, ცნობას ხელს არ აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი. სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა ასეთი საფუძვლის არსებობაზე, მათი მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა.

რაც შეეხება ბ. და ნ. წ-აიების თანამოპასუხე თ. გ-აიას და მის წარმომადგენელ ა. ჭ-შვილს, მათი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასახელებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. და ნ. წ-აიების და თ. გ-აიას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. და ნ. წ-აიების და თ. გ-აიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-519-754-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ფართის გამონთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 25 მაისს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს ავტოსერვისი «დიდუბემ» მოპასუხე თ. ბ-მის მიმართ თვითნებურად დაკავებული ფართის გამონთავისუფლებისა და თანხის დაკისრების შესახებ.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შპს ავტოსერვისმა «დიდუბეს» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე თ. ბ-მე გამოსახლებული იქნა ქ. თბილისში, ... ქუჩის შესახვევის #1-ში განთავსებული შპს ავტოსერვისი «დიდუბეს» სახელზე რიცხული ფართიდან. მოსარჩელეს უარი ეთქვა მის სასარგებლოდ შპს ავტოსერვისი «დიდუბეს» ქონების გადასახადის -384 ლარისა და 10 თეთრის მოპასუხეზე დაკისრების ნაწილში.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ბ-მემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 28 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 იანვრის განჩინებით დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩა თ. ბ-მის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე. ასევე, განუხილველად დარჩა თ. ბ-მის კერძო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 28 მაისის განჩინებით.

თ. ბ-მემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2000 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით თ. ბ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ბ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩინება.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა თ. ბ-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით თ. ბ-მის საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის განხილვა თ. ბ-მის სააპელაციო საჩივარზე განახლდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩინება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტი თ. ბ-მე და მისი წარმომადგენელი ა. გ-ია საქმის განხილვაზე მოწვეულნი იყვნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მას საპატიო მიზეზის ავადმყოფობის გამო არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი მისი ავადმყოფობის დამადასტურებელი მტკიცებულება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-მემ.

კასატორის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილია სამართლის ნორმათა დარღვევით. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩინება. ის გარემოება, რომ თ. ბ-მემ განცხადებით აცნობა სასამართლოს პროცესზე გამოუცხადებლობის თაობაზე, ვერ იქნება მიჩნეული საპატიო მიზეზად, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ აპელანტი მართლაც იყო ავად და მოკლებული იყო შესაძლებლობას, დასწრებოდა დანიშნულ პროცესს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გადაედო სხდომა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით.

ის გარემოება, რომ თ. ბ-მემ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა შპს #3 საოჯახო მედიცინის ცენტრის ცნობა, არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი უთითებს იმ აუცილებელ რეკვიზიტებზე, რომელიც უნდა იყოს მითითებული ავადმყოფობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. კასატორის მიერ საქმეში წარმოდგენილი ცნობა ასეთ მონაცემებს არ შეიცავს. ამდენად, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამოუცხადებლობა საპატიობის დამადასტურებელ გარემოებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-121-399-08

1 აგვისტო, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «საქართველოს რკინიგზის» სარჩელი შპს «დელტა ტრანსის» მიმართ ვაგონებით სარგებლობისათვის და ტვირთის შენახვისათვის დავალიანების დასაფარავად მოპასუხისათვის 314 180 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «საქართველოს რკინიგზის» იურიდიული სამსახურის უფროსმა ვ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმებდა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის წარმომადგენელი -ნ. კ-შვილი, თუმცა სასამართლო სხდომაზე შესაბამისი მინდობილობის გარეშე გამოცხადდნენ შპს «საქართველოს რკინიგზის» იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები -ჯ. ტ-ძე და დ. დ-ძე, რომლებმაც წარმოადგინეს ნ. კ-შვილის განცხადება, ავადმყოფობის გამო საქმის განხილვის გადადების თაობაზე, რომელსაც თან ერთვის საავადმყოფო ფურცლის ქსეროასლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენელ ნ. კ-შვილის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცელი ხელმოუწერელი იყო და არ ჰქონდა დასმული დაწესებულების ბეჭედი და შტამპი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოწინააღმდეგე მხარის შპს «დელტა ტრანსის» წარმომადგენელ დ. შ-ოვის შუამდგომლობის საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2007 წლის 12 ნოემბრს გამოიტანა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «საქართველოს რკინიგზის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული დაუსრულებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა შპს «საქართველოს რკინიგზის» იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე -თ. კ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ იმ მოტივით, რომ ნ. კ-შვილის მიერ წარდგენილ საავადმყოფო ფურცლის ქსეროასლზე არ იყო დასმული სამედიცინო დაწესებულების შტამპი, ბეჭედი და ექიმის ხელმოწერა, სასამართლომ იგი არასწორად მიიჩნია საქმის განხილვის გადადების არასაკმარის საფუძველად, ვინაიდან «დროებითი შრომისუუნარობისა და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის» შესაბამისად, საავადმყოფო ფურცელს სამედიცინო დაწესებულებების შტამპი, ბეჭედი და ექიმის ხელმოწერა დაესძება სამედიცინო ფურცლის დახურვის შემთხვევაში ავადმყოფის გამოჯანმრთელებისას. ნ. კ-შვილი საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა 2007 წლის 9 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, რის გამოც მან 2007 წლის 12 ნოემბერს ვერ შეძლო სასამართლოში გამოცხადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზის» საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «საქართველოს რკინიგზის» იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე თ. კ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძველით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსრულებელი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მოთხოვნას, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვინაიდან ავადმყოფობის დასადასტურებლად წარმომადგენლის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ იქნა არა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, არამედ საავადმყოფო ფურცელი, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მიხედვით, არის პირის დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა პირის ავადმყოფობის შემთხვევაში და არ საჭიროებს სპეციალურ მითითებას პირის სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსრულებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. 233-ე მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსრულებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსრულებელ გადაწყვეტილებას თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან სასამართლოსათვის

ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის, ან, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ მის წინააღმდეგ წამოაყენა.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, გარდა 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამონათვალი გარემოებებისა, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევა, შეიძლება მომჩივნის მიერ მითითებულ იქნეს სხვა გარემოებებიც, რომლებიც მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მხარე თავის საჩივარში აღნიშნავს, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს.

დადგენილია, რომ საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის წარმომადგენელი -ნ. კ-შვილი, თუმცა სასამართლო სხდომაზე შესაბამისი მინდობილობის გარეშე გამოცხადდნენ შპს «საქართველოს რკინიგზის» იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები -ჯ. ტ-ძე და დ. დ-ძე, რომლებმაც წარმოადგინეს ნ. კ-შვილის განცხადება, ავადმყოფობის გამო საქმის განხილვის გადადების თაობაზე, რომელსაც თან ერთვოდა საავადმყოფო ფურცლის ქსეროასლი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი, მის მიერ წარდგენილი საავადმყოფო ფურცელი სასამართლოს უნდა შეეფასებინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მიხედვით.

კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოებმა საქმის განხილვის დროს უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით.

«ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მინისტრის ბრძანება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის ბოლო წინადადების თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. მოცემულ შემთხვევაში, შპს «საქართველოს რკინიგზის» წარმომადგენლის -ნ. კ-შვილის ავადმყოფობა არ დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-480-720-08

6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 1 თებერვალს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თ. თ-რმა, ი. ც-იამ და ე. გ-შვილმა მოპასუხე შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» მიმართ.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ წლების განმავლობაში მუშაობდნენ მოპასუხე ორგანიზაციაში ექთნის თანამდებობაზე და ხელფასის სახით იღებდნენ 56 ლარს. 2000 წელს ბავშვთა საავადმყოფო რეგისტრაციაში გატარდა შპს-ს სახით, რის შემდეგაც მათ ხელფასი შეუმცირდათ. სამი წლის განმავლობაში, 4-5 თვის გარდა, მათთვის ეს შემცირებული თანხაც არ მიუციათ, რის გამოც რამდენჯერმე მიმართეს საავადმყოფოს დირექტორს -ზ. ქ-ვას და მთავარ ბუღალტერს -გ. ი-შვილს, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. მოსარჩელების განმარტებით, მოპასუხე ორგანიზაციის სახელფასო დავალიანება თ. თ-რის მიმართ შეადგენდა 1503 ლარს, ე. გ-შვილის მიმართ -1600 ლარს, ხოლო ი. ც-იას მიმართ -1620 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. თ-რის, ი. ც-იას და ე. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს» თ. თ-რის სასარგებლოდ დაეკისრა ორი თვის გამოსასვლელი თანხა -60 ლარი, 2000 წლის აპრილის მიუღებელი ხელფასი -30 ლარი და 83 თეთრი, მისის -21 ლარი და 81 თეთრი; ე. გ-შვილის სასარგებლოდ -ორი თვის გამოსასვლელი თანხა 60 ლარი, 2000 წლის აპრილის მიუღებელი ხელფასი -34 ლარი და 45 თეთრი, მისის -27 ლარი და 11 თეთრი; ი. ც-იას სასარგებლოდ -ორი თვის გამოსასვლელი თანხა 60 ლარი, 2000 წლის აპრილის მიუღებელი ხელფასი 22 ლარი და 35 თეთრი, მისის თვის -33 ლარი და 19 თეთრი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. თ-რმა, ი. ც-იამ და ელენა გ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. თ-რის, ე. გ-შვილისა და ი. ც-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება თ. თ-რის, ე. გ-შვილისა და ი. ც-იას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. თ-რის, ე. გ-შვილისა და ი. ც-იას სარჩელი მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა, შპს «ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს» თ. თ-რის სასარგებლოდ დაეკისრა 1391 ლარის, ე. გ-შვილის სასარგებლოდ -1479 ლარის, ი. ც-იას სასარგებლოდ -1505 ლარის გადახდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ». საჩივრის ავტორი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» წარმომადგენელმა გ. ი-შვილმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო მასზე დასწრება და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის წინასწარ შეტყობინება. სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ვერ მოახერხა აგრეთვე შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» დირექტორმა ზ. ქ-ვამ, ვინაიდან მიმდინარეობდა აღნიშნული იურიდიული პირის ლიკვიდაცია და მას დავალებული ჰქონდა სალიკვიდაციო პროცესის ხელმძღვანელობა, ხოლო სხვა თანამშრომლები დროებით დათხოვნილნი იყვნენ სამსახურიდან, რამაც ხელი შეუშალა სასამართლო პროცესისათვის წარმომადგენლის უზრუნველყოფას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი სასამართლო სხდომაზე მხარისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობას საპატიოდ მიიჩნევდა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას, ხოლო საქმის განხილვა განახლებას ექვემდებარებოდა.

გარდა ამისა, შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» განმარტებით, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება, თუ ეს

გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულიად ასაბუთებდა, რომ მოსარჩელეებს შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელო მიღებული ჰქონდათ, აღნიშნული გასამრჯელო კი მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარებოდა არა ყოველთვიური ხელფასის სახით, არამედ შეთანხმებული წესით: ყოველ მორიგეობაზე 4 ავადმყოფის მიღების შემთხვევაში, შვიდი მორიგეობა – 30 ლარი.

შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო» არასწორად მიიჩნევდა მოცემული დავის გადაწყვეტისას შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის გამოყენებას. კანონის აღნიშნული ნორმა, რომელიც სამსახურიდან მუშაკის დათხოვნისას საბოლოო ანგარიშსწორების წესს არეგულირებდა მოქმედი შრომის კოდექსით გაუქმებული იყო, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ახალი შრომის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განჩინებით შპს «ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუსებლობის გამო დატოვებულ იქნა განუხილველად.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ» (წარმომადგენელი გ. ი-შვილი), რომელმაც მოითხოვა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლისა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის განჩინებების გაუქმება და საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 სექტემბრის განჩინებით შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განჩინება და შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინებით შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ საშობაო დღეებში გ. ი-შვილი გაცივდა და მისი მკურნალობა გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მასში პირდაპირ არ იყო მითითებული გ. ი-შვილის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. აღნიშნული თვალსაზრისით საკითხის შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» თავდაპირველ განმარტებას, სადაც საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად საჩივრის ავტორი მიუთითებდა მხოლოდ გ. ი-შვილის დის გარდაცვალებაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» წარმომადგენელმა თავად განმარტა, რომ მას საავადმყოფოში არ უმკურნალა, არამედ იგი მკურნალობდა სახლში მისი ექიმი შვილის მეთვალყურეობის ქვეშ. სააპელაციო სასამართლომ ნიშანდობლივად მიიჩნია ისიც, რომ გ. ი-შვილი მოცემულ დავაში მონაწილეობდა არა როგორც ფიზიკური პირი, არამედ როგორც იურიდიული პირის წარმომადგენელი, რაც შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს» ავადმყოფობაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა პირისათვის მიენიჭებინა, რათა უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ან პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზების სასამართლოსათვის დროულად შეტყობინება.

სააპელაციო სასამართლომ მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არც ის გარემოება მიიჩნია, რომ მიმდინარეობდა შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» ლიკვიდაცია და სასამართლოში საქმის განხილვის დროს ყველა თანამშრომელი დროებით დათხოვნილი იყო სამუშაოდან, რამდენადაც შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს» შეეძლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიენიჭებინა არამარტო თავისი თანამშრომლისათვის, არამედ სხვა პირისთვისაც, მითუმეტეს 2007 წლის 24 იანვარს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ მხარისა და მისი წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2006 წლის 20 დეკემბერს და

შესაბამისად, მხარეს საკმარისი დრო ჰქონდა, უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლის გამოცხადება ან პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზებზე დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ჩაითვალა აპელანტების ახსნა-განმარტებასა და სარჩელში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელები 2005 წლის 4 იანვრამდე მუშაობდნენ შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში» და მისაღები ჰქონდათ 2001-2004 წლების გაუცემელი ხელფასი შემდეგი ოდენობით: თ. თ-რს -1503 ლარი, ე. გ-შვილს -1600 ლარი, ი. ც-იას -1620 ლარი. რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა მოპასუხისათვის თ. თ-რის სასარგებლოდ 1391 ლარის, ე. გ-შვილის სასარგებლოდ -1479 ლარის და ი. ც-იას სასარგებლოდ -1505 ლარის დაკისრების ნაწილში, აპელანტების მოთხოვნას სწორედ აღნიშნული თანხების ოდენობით მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება წარმოდგენდა. აპელანტების მტკიცებით, სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილით მოთხოვნილი მიუღებელი ხელფასის მოპასუხის მიერ მოსარჩელეთათვის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოპასუხის მიერ წარდგენილი არ იყო. აქედან გამომდინარე, დადასტურებულად ჩაითვალა, რომ მითითებული თანხები მოპასუხეს მოსარჩელეთათვის არ გადაუხდია. აღნიშნული დამტკიცებულად მიჩნეული გარემოება შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად იურიდიულად ამართლებდა მოსარჩელეთა მოთხოვნას მათ სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს. თუ მუშაკი დათხოვნის დღეს არ მუშაობდა, მაშინ შესაბამისი თანხა გადაცემული უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს შემდეგი დღისა დათხოვნილი მუშაკის მიერ ანგარიშსწორების შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან.

სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ადრე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის გამოყენების მართებულობა იმით დაასაბუთა, რომ ახალი შრომის კოდექსი მის ამოქმედებამდე წარმოშობილი შრომითი ურთიერთობების მიმართ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ურთიერთობები აღნიშნული კოდექსის ამოქმედების შემდეგაც გრძელდება (შრომის კოდექსის 53-ე მუხლი), რასაც სადავო შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის შრომითი ურთიერთობები წარმოიშვა და დამთავრდა ახალი შრომის კოდექსის ამოქმედებამდე.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციურმა კლინიკურმა საავადმყოფომ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საკასაციო საჩივარში საუბარია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლის არსებობაზე, კერძოდ, სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობაზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

კასატორის აზრით, ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმის დარღვევას ადასტურებს ის გარემოება, რომ საქმის განხილველმა სასამართლომ სრულყოფილად არ შეამოწმა მხარეთა და მათ წარმომადგენელთა უფლებათაუარსიანობა და სასამართლო სხდომა ჩაატარა მოპასუხის წარმომადგენლის დასწრების გარეშე. მითითებულ სხდომაზე შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» სახელით წარმოდგენილი პირი გ. ი-შვილი იმ დროისათვის საზოგადოების თანამშრომელს არ წარმოადგენდა და შესაბამისად, მის ინტერესებს ვერ დაიცავდა. გ. ი-შვილისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ზ. ქ-ვას, რომელიც 2008 წლის 23 იანვრის მდგომარეობით საზოგადოების დირექტორს აღარ წარმოადგენდა. შპს-ს ამჟამინდელ დირექტორ ნ. წ-ძისათვის სასამართლო სხდომის დროის შესახებ არ შეუტყობინებიათ. ასეთ შემთხვევაში ნ. წ-ძე საზოგადოებიდან გათავისუფლებულ მუშაკს სასამართლოში არ წარადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად არეგულირებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველად საჩივრის ავტორი მიუთითებდა შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» ცნობაზე,

რომელშიც აღნიშნულია, რომ საშობაო დღეებში შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» წარმომადგენელი გ. ი-შვილი გაცივდა და მისი მკურნალობა გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძვლად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» მიერ გაცემულ ავადმყოფობის ცნობაში აღნიშნული შეუძლებლობის შესახებ მითითებული არ ყოფილა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სრულიად მართებულად არ მიიჩნია მხარის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა საპატიოდ. ასევე საყურადღებოა, რომ საქმეში წარმოდგენილ მოხსენებით ბარათში გ. ი-შვილი საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობას უკავშირებდა არა ავადმყოფობას, არამედ დის გარდაცვალებას, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას გ. ი-შვილი თავადვე განმარტავდა, რომ მას საავადმყოფოში არ უმკურნალა, არამედ მკურნალობდა სახლში მისი ექიმი შვილის მეთვალყურეობის ქვეშ, რაც ასევე არასარწმუნოს ხდის საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ზემოაღნიშნულ გარემოებას ავადმყოფობის გამო წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიობის შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში მხარეს წარმოადგენს შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო», რომელსაც სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის სხდომის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობა 2006 წლის 20 დეკემბერს. შესაბამისად, დროის აღნიშნულ მონაკვეთში მხარე ვალდებული იყო, უზრუნველყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება პირისათვის, რომელიც შეძლებდა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღებას, ან მისი წარმომადგენლის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზებზე სასამართლოსათვის დროულად ეცნობებინა, რაც არ განუხორციელებია. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოში» მიმდინარე რეორგანიზაცია და დასახელებულ პერიოდში საზოგადოების ყველა თანამშრომლის დროებით სამუშაოდან დათხოვნა, რითაც საჩივრის ავტორი ასაბუთებს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიობას, ასევე ვერ განაპირობებს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლიდან გამომდინარე, შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს», როგორც იურიდიულ პირს, შეეძლო, სასამართლოში მისი ინტერესების შესაბამისად განსაზღვრულ საპროცესო მოქმედებათა უფლებამოსილება მიენიჭებინა არამართო თანამშრომლისათვის, არამედ სხვა პირისთვისაც.

შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო» სადავოდ ხდის სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სინამდვილეს, რაც ასევე არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. მოსარჩლეები, რომელთა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასაც სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილით მოთხოვნილი მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება წარმოადგენდა, მიუთითებდნენ აღნიშნული ხელფასის მათთვის გადაუხდელობაზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასახელებული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებულად მიჩნევის წინაპირობას წარმოადგენდა. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და მოსარჩლე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

ასევე უსაფუძვლოა შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» მითითება სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ახალი შრომის კოდექსის გამოყენების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა ძველი შრომის კანონთა კოდექსი, რამდენადაც მოსარჩლეებსა და მოპასუხეებს შორის სადავო შრომითი ურთიერთობა ახალი შრომის კოდექსის ამოქმედებამდე წარმოიშვა და დამთავრდა.

საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო» სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 იანვრის სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოსათვის» განკუთვნილ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებას ხელს აწერს ნ. წ-ძე, რომელსაც აღნიშნული შეტყობინება 2007 წლის 5 ნოემბერს ჩაბარდა, რის გამოც არასწორია კასატორის მითითება ნ. წ-ძის, როგორც საზოგადოების დირექტორისათვის სასამართლო სხდომის დროის შეუტყობინებლობის შესახებ. ამასთან, სააპელაციო სასამართლოსათვის შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» არ უცნობებია გ. ი-შვილისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და სასამართლო სხდომაზე არც სხვა წარმომადგენლის მონაწილეობა უზრუნველყოფია. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მსჯელობა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლის არსებობის შესახებ იმ მოტივით, რომ კასატორი სხდომის შესახებ არ იყო ინფორმირებული და რომ სხდომას კასატორის არაუფლებამოსილი წარმომადგენელი ესწრებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს «თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-421-665-08 8 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

დავის საგანი: დაუსრულებელი გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ჟ-იანის სარჩელი მ. ვ-იანის მიმართ უკანონოდ აშენებული ფარდულის აღებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჟ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ გამოიტანა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ჟ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ვ-იანს დაევალა ახალქალაქში, ... ქ. #11-ში მდებარე, ნ. ჟ-იანის საცხოვრებელ სახლთან აგებული ფარდულის აღება, მ. ვ-იანს ნ. ჟ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა 2600 ლარის გადახდა.

აღნიშნული დაუსრულებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. ვ-იანის წარმომადგენელმა ა. ხ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განახლება იმ საფუძველით, რომ მ. ვ-იანის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, ვინაიდან იგი 2007 წლის 20 ნოემბრიდან იმყოფებოდა ავად, მე-3 ხარისხის ჰიპერტონული დაავადებით, კრიზული მდგომარეობით იწვა საწოლში. აღნიშნულის თაობაზე კი თავად შეიტყო მ. ვ-იანის მეზობლისგან 2007 წლის 30 დეკემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის განჩინებით მ. ვ-იანის წარმომადგენელ ა. ხ-იანის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძველით, რომ მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვის, რომ მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსრულებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. 233-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ, ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ მის წინააღმდეგ წამოაყენა.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს, ვინაიდან დადგენილია, რომ მ. ვ-იანს სსკ-ის 70-ე-78 მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის დღისა და დროის შესახებ. ასევე დადგენილია, რომ 233-ე მუხლში მითითებული სხვა გარემოებები, რომელიც კასატორის გამოუცხადებლობას გაამართლებდა, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, გარდა 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამონათვალი გარემოებებისა, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევა, შეიძლება მომჩივნის მიერ მითითებულ იქნეს სხვა გარემოებებიც, რომლებიც მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მხარე თავის საჩივარში აღნიშნავს, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს.

კასატორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მ. ვ-იანის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, კერძოდ ავადმყოფობით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ განცხადების ან შუამდგომლობის წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეული იყო ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ახალქალაქის პოლიკლინიკის დირექტორის მიერ ხელმოწერილი ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მ. ვ-იანი 2008 წლის 9 იანვრისთვის იყო ავად და მისი ჯანმრთელობა არადაამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 13 დეკემბერს ავადმყოფობის გამო არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ან აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის წინასწარ შეტყობინება, კასატორს არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ვ-იანის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება საქმის მასალებით, განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- მ. ვ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-513-749-08

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: დავალიანების გადახდა, უძრავი ნივთის მფლობელობაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ომ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ოს-ოვის მიმართ დავალიანების 3144 ლარის გადახდის და 1,5 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელობაში გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

მარნეულის რაიონის გამგეობის 2001 წლის 27 ივლისის დადგენილებით მოპასუხეს, 10 წლის იჯარით გამოეყო 65 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც შედგებოდა 15 ჰა ვენახისა და 50 ჰა საძოვრისაგან. მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები დაიქირავეს 1,5 ჰა ვენახის მოსავლელად, რისთვისაც მოსარჩელე იხდიდა იჯარის გადასახადს. მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე 2004 წელს ქ. ომ-ოვმა მითითებული გადასახადი გადაიხდა უზეირ აივაზოვის სახელით. შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მოპასუხე იღებდა ვაზის მოჭრილ ტოტებს, თივასა და 50 კგ. ყურმენს, ხოლო ხელფასი, წელიწადში 524 ლარი, შ.ოს-ოვს 6 წლის მანძილზე არ აუნაზღაურებია. მოპასუხემ სარჩელი არ სცნო იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ქ. ომ-ოვმა გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 10 აპრილის განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ოს-ოვის გამოუცხადებლობის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მ. ოს-ოვისათვის ქ. ომ-ოვის სასარგებლოდ 3144 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო მოსარჩელისათვის იჯარით მიწის ნაკვეთის გადაცემაზე უარის თქმის შესახებ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. ამასთან, ქ. ომ-ოვს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ნაწილში მითითებული განჩინება არ გაუსაჩივრებია, რის გამოც იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მ. ოს-ოვის საჩივარი დაკმაყოფილდა, ამავე პალატის 2006 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ქ. ომ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინებები საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ომ-ოვმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივნისის განჩინებით ქ. ომ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა გასაჩივრებული განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით მაგასად ოს-ოვის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა 2006 წლის 10 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატამ მიიჩნია, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი მარნეულის რაიონის კაჩაგანის სასოფლო საავადმყოფოს ექიმის სამედიცინო ცნობა არ არის სათანადო მტკიცებულება, შესაბამისად, მხარის მიერ ვერ იქნა დადასტურებული გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, პალატის განმარტებით, ცნობა შედგენილია რუსულ ენაზე გაკრული ხელით, რომელზეც შინაარსის ამოკითხვა შეუძლებელია; ცნობა გაცემულია 2006 წლის 12 აპრილს და მასზე დარტყმულია „საქართველოს რესპუბლიკის« შტამში, მაშინ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდება 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით არის „საქართველო«, ხოლო ბეჭედზე გამოსახულია საქართველოს გერბი, რომელიც სახელმწიფო სიმბოლიკას წარმოადგენდა 2005 წლის ივნისამდე.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ოს-ოვმა

კასატორის აზრით, სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა, რომელმაც ხელი შეუშალა სასამართლოში დროულად გამოცხადებაზე. მის მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულების სახით მარნეულის რაიონის სოფ. კაჩაგანის სასოფლო საავადმყოფოდან ავადმყოფობის სამედიცინო ბარათიდან ამონაწერი ამბულატორიული მკურნალობის შესახებ, სადაც დადგენილია, რომ იგი 2006 წლის 08 აპრილიდან 2006 წლის 12 აპრილამდე მკურნალობდა ამბულატორიულად, ჰქონდა „ფოლიკულარული ანგიანა«, მაღალი ტემპერატურა, რის გამოც არ შეეძლო 2006 წლის 10 აპრილს გამოცხადებულიყო სხდომაზე. კასატორის განმარტებით, ცნობა შედგენილია ძველი ტიპის რუსულ

„ბლანკზე» – ფორმა #22719-ზე, ვინაიდან სამკურნალოდ მიაკითხა მკურნალ ექიმს მარნეულის რაიონის სოფ. ქირაჩ-მულანლოში, რომელიც ვერ ფლობდა სახელმწიფო ენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და თანდართულ მტკიცებულებას და თვლის, რომ მ. ოს-ოვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით მ. ოს-ოვის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა 2006 წლის 10 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მ. ოს-ოვმა სასამართლო სხომაზე გამოცხადებლობის საპატიო საფუძვლად წარმოადგინა მარნეულის რაიონის სოფ. კაჩგანის სასოფლო საავადმყოფოდან ავადმყოფობის სამედიცინო ბარათიდან ამონაწერი ამბულატორიული მკურნალობის შესახებ. დასახელებული ცნობიდან ირკვევა, რომ იგი 2006 წლის 08 აპრილიდან 2006 წლის 12 აპრილამდე მკურნალობდა ამბულატორიულად „ფოლიკულარული ანგიის» დიაგნოზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება. ასეთს წარმოადგენს ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტურ გარემოებები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

ამასთან ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და პირდაპირ მიუთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კასატორის მიერ სასამართლოსათვის მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სამედიცინო დანიშნულების ცნობას, საკასაციო პალატა ვერ განიხილავს მისი პროცესზე გამოცხადებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან აღნიშნული ცნობით არ დასტურდება მ. ოს-ოვის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებლობის შეუძლებლობა. მხარის მიერ მითითებული გარემოებები საპატიოდ ჩაითვლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აბსოლუტურად გამორიცხულია მხარის პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა. ასეთის არსებობა იმ სამედიცინო ცნობით, რომელიც მხარის მიერ იქნა წარმოდგენილი არ დასტურდება. სამედიცინო ბარათიდან ამონაწერით მ. ოს-ოვი ექვემდებარებოდა ამბულატორიულ მკურნალობას და გადაადგილების უნარი მას შეზღუდული არ ჰქონია. ამასთან, სამედიცინო ცნობა არ პასუხობს ზემოთ მითითებული ნორმის მოთხოვნას, იგი შედგენილია მკურნალი ექიმის მიერ და მას ხელს არ აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი.

გარდა ამისა, როგორც სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, მ. ოს-ოვი აღნიშნული დიაგნოზით მკურნალობდა 2006 წლის 8 აპრილიდან – 2006 წლის 12 აპრილამდე, რაც მეტყველებს იმ გარემოებაზე რომ მხარეს შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსთვის მისი ავადმყოფობის თაობაზე. თუმცა მ. ოს-ოვს არც სასამართლო გაუფრთხილება მის შესაძლო გამოცხადებლობაზე და შემდგომში არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოუდგენია, თუ რა მიზეზით ვერ შეძლო სასამართლოსთვის ეცნობებინა ზემოხსენებულის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ოს-ოვის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ოს-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

#ას-708-928-08

19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 ივლისს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ნ. კ-მემ თ. ნ-შვილის მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სიღნაღის რაიონის სოფ. ... მას საკუთრების უფლებით ერიცხება ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით. წლების წინ მეზობლებმა აწ გარდაცვლილმა რ. ნ-შვილმა, მოპასუხე თ. ნ-შვილის მამამ, მის ოჯახთან შეუთანხმებლად, გააუქმა ამჟამად მოსარჩელის კუთვნილი სახლის საწვეთზე გამავალი კარები და მის ადგილას კაპიტალური კედლიდან 20 სმ-ის მოშორებით ჩაასხა ბეტონი. მან თვითონ გამოიყენა მეზობლის სახლის საწვეთი და მოსარჩელის კაპიტალური სახლის დამხმარე ნაგებობას უკანა მხრიდან მიაშენა საქათმე, იმგვარად, რომ სახლის სახურავს შეაჭრა თუნუქის საწვეთის ღარი და ზემოდან დაადგა თავისი საქათმის სახურავი. ამ მიზეზით წლების განმავლობაში ჩამონადენმა წვიმის წყალმა მნიშვნელოვნად დააზიანა და დაანგრია დამხმარე სათავსის უკანა კედელი.

მოსარჩელის განმარტებით, მისი საცხოვრებელი სახლის უკანა კედელთან 70-80 სმ-ის მოშორებით, დგას მოპასუხის კუთვნილი ლედვის დიდი ხე, რომელიც ჩრდილავს და ანესტიანებს საცხოვრებელ სახლს, რის გამოც არის საშიშროება სახლის დანგრევისა.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მიერ საქათმის მოშლა, საწვეთის აღდგენა, დამხმარე ნაგებობის მიმდებარედ მდგარი ორი ძირი ლედვის ხის ამოძირკვა, მოსარჩელის სახლსა და დამხმარე ნაგებობას შორის უკანა მხრიდან ჩასხმული ბეტონის კედლის მოშლა, რათა მოსარჩელეს მიეცეს საშუალება, იმავე ადგილას თვითონ ჩამოაბას მარტივი კონსტრუქციის კარი და აღადგინოს მხარეებს შორის მყარი სამეზობლო ღობე.

მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, სადაც მან მიუთითა, რომ სახლი მემკვიდრეობით მიიღო მამისგან, აწ გარდაცვლილ რ. ნ-შვილისგან, მოსარჩელე კი ახლახან გახდა მესაკუთრე. მოპასუხის განმარტებით, ახალი მესაკუთრე ვალდებულია, შეეგუოს იმ პირობებს, რომლებიც არსებობდა მის მესაკუთრედ გახდომამდე. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ნახაზში შეცდომაა, რადგან საწვეთი ნაჩვენებია მოსარჩელის საკუთრებაში, მაგრამ ესეც არ ნიშნავს, რომ მან ეს მონაკვეთი უნდა შემოეღობოს. მოპასუხის განმარტებით, ასეთი რამ დაუშვებელია თუნდაც იმის გამო, რომ ნ-შვილების ოჯახს მოსარჩელის სახლის მიმდებარედ საკუთრებაში აქვთ 585 კვ.მ საბოსტნე მიწის ნაკვეთი, რომელთან დაკავშირებაც ერთადერთი გზითაა შესაძლებელი - მოსარჩელის სახლის უკან დარჩენილ, სახლის საწვეთად წოდებულ პატარა მონაკვეთზე გავლით და ასეთი ვითარება შენარჩუნებულია 1934 წლიდან.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ნ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განჩინებით თ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმის განხილვის მიზნით სხდომა დაინიშნა 2008 წლის 19 თებერვალს 14 საათზე.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვალს აღნიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი თ. ნ-შვილი და მისი წარმომადგენელი მ. მ-შვილი.

აპელანტმა დეპუტით აცნობა სასამართლოს იმის თაობაზე, რომ შეუძლოდ გახდა და ვერ ცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მოითხოვა საქმის განხილვის გადადება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი მისი გამოუცხადებლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო სასამართლოში საჩივარი წარადგინა თ. ნ-შვილმა და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 19 თებერვალს დანიშნულ

სხდომაზე ვერ გამოცხადდა იმ მიზეზით, რომ შეუძლოდ გახდა. სასამართლოს აღნიშნულის თაობაზეც აცნობა დეპუტით, რომლითაც მოითხოვა სხდომის გადადება. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მისი ჯანმრთელობის მიმე მდგომარეობა -შაქრიანი დიაბეტი და არტერიული ჰიპერტენზია დასტურდება სიღნაღის რაისაავადმყოფოს სოფ. ... საექიმო ამბულატორიის მიერ გაცემული 2006 წლის 13 სექტემბრის #9 ცნობით. საჩივრის ავტორმა მიუთითა დიდთოვლობის შესახებ და განმარტა, რომ მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ასევე აღნიშნული მიზეზით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით თ. ნ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ამავე სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ნ-შვილმა. მან მიუთითა, რომ იგი არის შაქრიანი დიაბეტი დაავადებული, აგრეთვე, ინვალიდი, სასამართლო პროცესის დღეს იყო შეუძლოდ, რის გამოც გამოაგზავნა სასამართლოში დეპუტა, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და უკანონოდ გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინშნა 2008 წლის 19 თებერვალს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი თ. ნ-შვილი, ასევე არ გამოცხადდა მისი წარმომადგენელი მ. მ-შვილი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თ. ნ-შვილის მიერ წარმოდგენილი ცნობა, კერძოდ, ცნობაში აღნიშნულია, რომ იგი იმყოფება ნუკრაინის საექიმო უბანში დისპანსერულ აღრიცხვაზე. აღნიშნული ცნობა გაცემულია ნუკრაინის საექიმო ამბულატორიის ექიმის მიერ 2006 წლის 13 სექტემბერს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ წარმოდგენილი ცნობა არ შეიძლება საპატიო მიზეზად ჩათვალოს, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ავადმყოფობა უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ უნდა მიუთითებდეს სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ ცნობას ხელს არ აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი. გარდა ამისა, წარმოდგენილი ცნობა გაცემულია 2006 წლის 13 სექტემბერს, მეორე -2008 წლის 16 ივლისს, სასამართლო პროცესი კი დაინშნული იყო 2008 წლის 19 თებერვალს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. ნ-შვილი სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. საქმის განხილვის გაგრძელება

განჩინება

#ას-455-697-08

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა არარეგისტრირებული კავშირი „ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის» თავმჯდომარე ვ. დ-მემ, მოპასუხე შპს „მერკურის» მიმართ და მოითხოვა ვალდებულების სრულად შესრულება, 2005 წლის 21 თებერვლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხიდან, გადაუხდელი 6300 ლარის ანაზღაურება; ამ თანხის გადახდის დაყოვნებისათვის, 2005 წლის 25 დეკემბრიდან პირგასამტეხლოს სახით 5200 ლარის გადახდა, ასევე მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით წინასწარ გადახდილი 345 ლარისა და წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახდილი 700 ლარის ანაზღაურება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

შპს „მერკურის» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, 11500 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 345 ლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „მერკურის» წარმომადგენელმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 თებერვლის განჩინებით, შპს „მერკურის» წარმომადგენლის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა და განახლდა საქმის განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, შპს «მერკურის» წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგინოდად მიიჩნია, რომ 2008 წლის 24 მარტის, სასამართლოს სხდომის თაობაზე შპს „მერკურის» წარმომადგენელი გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით.

სხდომაზე გამოცხადებულმა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა იმუამდგომლა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და შპს „მერკურის» წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. ა-მემ სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეატყობინა სასამართლოს გამოუცხადებლობის თაობაზე და მიზეზად დაასახელა, რომ „დაავიწყდა სხდომის დაწყების ზუსტი დრო».

პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული დავის განხილვისას აპელანტის მიერ დაგვიანებით გამოცხადებას ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი, რაც გახდა საფუძველი 2008 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი

გადაწყვეტილების გამოტანისა, აპელანტის მიერ ადგილი აქვს სასამართლოს მიმართ უპასუხისმგებლობისა და უპატივცემულობის გამოხატვას და გამოუცხადებლობის მიზეზი «სხდომის დაწყების ზუსტი დროის დავიწყება» არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო საპატიოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «მერკურის» წარმომადგენელმა მ. ა-მ.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დარღვევას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სხდომის თარიღის და დროის შესახებ ხელწერილით გაფრთხილებულ იქნა მხოლოდ ის და არა შპს «მერკურის» დირექტორი ხ. ქ-მე, რომელიც წარმოადგენდა მხარეს და ხელი ჰქონდა მოწერილი დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარზე.

გარდა ამისა კასატორი განმარტავს, რომ მისთვის ხელწერილით სხდომის დროის შეტყობინება, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია უწყებად, ხელწერილი არ წარმოადგენს უწყებას, ვინაიდან ის არ პასუხობს საპროცესო კანონმდებლობით უწყებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო ის უწყებით უნდა ყოფილიყო გაფრთხილებული. კასატორის წარმომადგენელი მ. ა-მე განმარტავს, რომ მას გააჩნდა ვარაუდი რომ, სხდომის თარიღის და დროის შესახებ გაფრთხილებული იქნებოდა მისი მარწმუნებელიც, თუმცა სასამართლოს აღნიშნული ქმედება არ განუხორციელებია და ხ. ქ-მისათვის არ უცნობებია სხდომის დღის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ შპს «მერკურის» წარმომადგენლის მ. ა-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შპს «მერკურის» სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დანიშნული იყო 2008 წლის 24 მარტს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს «მერკურის» წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მისი გამოუცხადებლობის გამო.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აპელანტი შპს «მერკურის» წარმომადგენელი სხდომის დღის თაობაზე გაფრთხილებული იყო ხელწერილით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით რომ, რადგან ის სხდომის დღის თაობაზე გაფრთხილებული იქნა პირადად ხელწერილით და არა უწყებით, შესაბამისად ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას სასამართლოს მხრიდან.

პალატა განმარტავს, რომ, მართლია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვის და რა ფორმით უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის ან სხვა საპროცესო მოქმედების შესრულების დრო, მაგრამ ამავე კოდექსის 216-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს მხარის ხელწერილით გაფრთხილების შესაძლებლობას საქმის განხილვის გადადებისას რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. შესაბამისად მ. ა-მის მხრიდან აპელირება იმ გარემოებაზე რომ ის გაფრთხილებული უნდა ყოფილიყო სხდომის დღის და დროის თაობაზე უწყებით და არა ხელწერილით, არ წარმოადგენს მისი სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის გამამართლებელ და საპატიო საფუძველს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს შესული ცვლილებების შესაბამისად, ზემოხსენებული კოდექსის 70-ე მუხლის ფორმულირება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კანონმდებელი მანამდე მოქმედი კოდექსის რედაქციისაგან განსხვავებით, სასამართლოს არ ავალდებულებს სხდომისა თუ სხვა საპროცესო მოქმედების შესახებ როგორც მხარისათვის, ისე წარმომადგენლისათვის შეტყობინების აუცილებლობას, ხოლო საპროცესო კოდექსით დადგენილი დანაწესის შესაბამისად ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებს ამ საპროცესო მოქმედების შესრულებისას.

შესაბამისად ვინაიდან მოცემული სამოქალაქო დავის სასამართლოში განხილვისას 70-ე მუხლმა განიცადა ზემოხსენებული სახეცვლილება, აღნიშნულის გამო საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო შპს «მერკურის» დირექტორისათვის ხ. ქ-მისთვის, როგორც მხარისათვის, 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობებინა სხდომის დღე და დრო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ საქმეზე შპს «მერკურის» საპროცესო წარმომადგენელს მ. ა-მეს ეცნობა სხდომის დრო და აღარ არსებობდა, მხარის გაფრთხილების ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს «მერკურის» წარმომადგენლის მ. ა-ძის განმარტებას, რომლითაც ის სადავოდ ხდის არარეგისტრირებული კავშირი „ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის» თვამჯდომარის უფლებამოსილების საკითხს, ვინაიდან შპს «მერკურს» აღნიშნული გარემოება სადავოდ არ გაუხდია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას. ამასთან, შპს «მერკურს» ფულადი დავალიანების გადახდა დაეკისრა „ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის» არარეგისტრირებული კავშირის სასარგებლოდ და არა ფიზიკური პირის, ვ. დ-ძის მიმართ. არაუფლებამოსილი წარმომადგენლის საკითხი კი სადავოდ არ გაუხდია წარმოდგენილ პირს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა ძალაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს «მერკურის» წარმომადგენლის, მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელი დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მარტის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები

განჩინება

#ას-953-1259-07

31 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» მიმართ საზოგადოების დირექტორის 2003 წლის 10 იანვრის #3 და 17 იანვრის #4 ბრძანებების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1994 წლის 5 იანვრიდან მ. ხ-შვილი უვადო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა მოპასუხე საზოგადოებაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2003 წლის 17 იანვრის #4 ბრძანებით იგი უკანონოდ გათავისუფლდა სამსახურიდან. აღნიშნული ბრძანება მოსარჩელეს არ ჩაჰბარებია და სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე შეიტყო 2004 წლის 7 ივლისს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: უსაფუძვლოა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მისთვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ცნობილი არ იყო. 2002 წლის აგვისტოდან მ. ხ-შვილი სისტემატურად არ ცხადდებოდა სამუშაოზე, რის გამოც მას ჯერ საყვედური გამოეცხადა, ხოლო შემდეგ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. საქმე განხილულ იქნა არაერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, აპელანტი აღდგენილ იქნა სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში» ექიმ-ანესთეზიოლოგის თანამდებობაზე,

მოპასუხეს დაეკისრა 2003 წლის 1 ივლისიდან მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენამდე იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინებით სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომის შესახებ სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს» სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა. სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს სხდომაზე გამოცხადდა აპელანტი მხარე და სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» წარმომადგენელი ე. ბ-ძე, რომელიც არ იქნა დაშვებული საქმის განხილვაზე იმ მოტივით, რომ მას სააპელაციო სასამართლოში სამედიცინო ცენტრის ინტერესების დასაცავად საზოგადოების დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა არ გააჩნდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ საქმეში არსებული მინდობილობა გულისხმობდა საზოგადოების ინტერესების დაცვას არა მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოში, არამედ ნებისმიერ ინსტანციაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. ბ-ძის სახელზე გაცემული მინდობილობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე-94-ე მუხლების მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან იგი ითვალისწინებდა ე. ბ-ძის მიერ სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» ინტერესების დაცვას მხოლოდ მ. ხ-შვილის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სასამართლომ გამოუცხადებლად ჩათვალა მხარე, რომელიც, ფაქტობრივად, საქმის განხილვას ესწრებოდა და არასწორად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მის მოთხოვნას, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დადგენილად იქნა ცნობილი, რომ 1994 წლიდან მ. ხ-შვილი განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრში» კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის სამსახურში, ხოლო 1994 წლის 20 სექტემბრიდან - ექიმ-ანესთეზიოლოგის თანამდებობაზე. ასევე დადგინდა, რომ მხარეებს შორის ვადიანი შრომითი კონტრაქტი არ გაფორმებულა და სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» დირექტორის 2003 წლის 10 იანვრის #3 და 2007 წლის 17 იანვრის #4 ბრძანებები არის უკანონო. ამდენად, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 206-ე-207-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მ. ხ-შვილის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» გენერალური დირექტორის წარმომადგენელმა ე. ბ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომაზე სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» ინტერესების დასაცავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ცენტრის იურისტ ე. ბ-ძეს, რომელიც საქმის წარმოებაში ჩაება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რისი დამადასტურებელი მინდობილობა წარმოდგენილია საქმეში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მინდობილობის შინაარსი, რომლის თანახმად რწმუნებულება გაიცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად და გულისხმობდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას ნებისმიერ ინსტანციაში. სააპელაციო პალატამ არასწორად ჩათვალა პროცესზე გამოცხადებული მხარე გამოუცხადებლად. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი განხილულ იქნა სწორედ ე. ბ-ძის მონაწილეობით, სადაც იგი დაშვებულ იქნა საქმის განხილვაზე რაიმე დამატებითი მინდობილობის წარდგენის გარეშე, რა დროსაც სასამართლომ ე. ბ-ძე მიიჩნია საზოგადოების წარმომადგენლად საქმეში არსებული მინდობილობის საფუძველზე, თუმცა უსაფუძვლოდ გამოიტანა განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე. დაუსაბუთებელია ასევე 2007 წლის 21 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან საქმე სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებული იყო მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა გამოსაკვლევად, რათა დადგენილიყო, თუ რა სახის ხელშეკრულება დაიდო მხარეებს შორის. აგრეთვე, არ არსებობს მ. ხ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რადგან შრომითი ხელშეკრულება იყო არა უვადო, არამედ ვადიანი და მისი მოქმედება 2002 წლის 30 ოქტომბრის #42 ბრძანებით იმავე წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდა, ხოლო #56 ბრძანებით სადავო ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 1 ივლისით. აღნიშნულის თანახმად, მ. ხ-შვილი სამუშაოდან გათავისუფლდა 2003 წლის 1 ივლისიდან და მისი სამუშაოზე აღდგენის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორი სადავოდ არ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 21 მარტს სააპელაციო სასამართლოში მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვაზე

გამოცხადდა აპელანტი მ. ხ-შვილი და მისი წარმომადგენელი დ. ჯ-ძე, ხოლო სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» ინტერესების დასაცავად სასამართლოში გამოცხადდა ე. ბ-ძე, რომლის სახელზეც მინდობილობა საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა გასცა საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაუქმდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებითა და განჩინებით არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, 230-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელთა თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. დასახელებული ნორმებისა და ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობა. ამდენად, სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ყოველგვარი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2007 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომაზე სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» ინტერესების დასაცავად გამოცხადდა საზოგადოების წარმომადგენელი ე. ბ-ძე, რომელიც მხარის სახელით მონაწილეობას იღებდა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, თუმცა იგი არ იქნა დაშვებული საქმის განხილვაზე იმ მოტივით, რომ სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» გენერალური დირექტორის მიერ ე. ბ-ძის სახელზე გაცემული მინდობილობა საზოგადოების სახელით სააპელაციო ინსტანციაში მარწმუნებლის ინტერესების დაცვის უფლებამოსილებას არ შეიცავდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მხარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხარვეზზე მითითებით, სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი» 2007 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლად არასწორად მიიჩნია, ვინაიდან აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის სახელით ე. ბ-ძის საქმის განხილვაზე გამოცხადება თავისთავად მიუთითებდა სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» მიერ მოცემული დავის მიმართ ინტერესის არსებობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს ე. ბ-ძისათვის უნდა მიეცა გონივრული ვადა ზემოხსენებული ხარვეზის გამოსასწორებლად და შესაბამისი უფლებამოსილების მიმნიჭებელი მინდობილობის წარმოსადგენად განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მითითებული პიროვნება სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» ინტერესებს სხვა ინსტანციის სასამართლოებში მანამდე უკვე წარმოადგენდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

სს «აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში

განჩინება

#ას-214-475-08

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ძ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. და გ. ძ-შვილების წინააღმდეგ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ დედის -ს. ძ-შვილის სახელზე მცხეთის რაიონის სოფ. ... ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლი; ს. ძ-შვილი გარდაიცვალა 1995 წელს და მას დარჩა სამკვიდრო. იგი 1985 წლიდან ცხოვრობს და ჩაწერილიცაა აღნიშნულ სახლში. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხეები -ბ. და გ. ძ-შვილები შეიჭრნენ მის სახლში და ხელს უშლიან საკუთრებით სარგებლობაში. აქედან გამომდინარე, კ. ძ-შვილმა მოითხოვა სადავო საცხოვრებელი სახლის შესაკუთრედ ცნობა და მოპასუხეების გამოსახლება აღნიშნული სახლიდან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით კ. ძ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ და ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, კ. ძ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა კ. ძ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინებით კ. ძ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა კ. ძ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სასამართლო პროცესზე დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა. ამის გამო დატოვა სასამართლო პროცესი და სასამართლომ კი გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 25 ოქტომბერს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლო პროცესზე მართალია, გამოცხადდა აპელანტი კ. ძ-შვილი, მაგრამ მან სასამართლო პროცესი დატოვა, რის გამოც მის მიმართ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რის გამოც მან დატოვა სასამართლო პროცესი, კერძოდ, მისი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა მოსამართლის აცილების თაობაზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტმა კ. ძ-შვილმა უარი თქვა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში კ. ძ-შვილი სასამართლომ გააფრთხილა იმის შესახებ, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო მის მიმართ

გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, მან დატოვა სასამართლო პროცესი და უარი თქვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ კ. ძ-შვილის მიმართ სწორად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- კ. ძ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 თებერვლის განჩინება;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო
განჩინება**

#ას-275-533-08

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება და დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «საქართველოს ტელეკომმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს საქართველოს საფოსტო ბანკის» წინააღმდეგ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მხარეებს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხისათვის იჯარით უნდა გადაეცა 1997 წელს გამოშვებული ავტომანქანა «ტოიოტა ლანდკრუიზერი». მოპასუხე კი ვალდებული იყო, გადაეხადა საიჯარო ქირა თვეში 9000 ლარი. შპს «საქართველოს ტელეკომმა» შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მოპასუხეს ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში ერთხელაც არ გადაუხდია საიჯარო ქირა. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და 2004 წლის 1 ოქტომბრის წერილით მოპასუხეს მოსთხოვა ავტომანქანის დაბრუნება. მოპასუხე არც საიჯარო ქირას იხდის და არც ავტომანქანას აბრუნებს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ავტომანქანის ღირებულებიდან დარჩენილი -15222 ლარის, საიჯარო ქირის -9000 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის -605,55 ლარისა და იურიდიული მომსახურების ხარჯების -1500 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «საქართველოს ტელეკომის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა შპს «საქართველოს ტელეკომის» სასარგებლოდ ავტომანქანის საფასურიდან გადახდილი -15222 ლარის, ასევე მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო ქირის -9000 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს «საქართველოს საფოსტო ბანკმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორმა მ. ტ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის განჩინებით სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორ მ. ტ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორმა მ. ტ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაავიანდათ 15 წუთით, თუმცა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე განხილული დახვდათ და

პროცესზე მისულს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოუცხადეს. მათ სასამართლო პროცესზე დააგვიანდათ სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხების გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორ მ. ტ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო, სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 17 ოქტომბერს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა აპელანტი სს «საქართველოს საფოსტო ბანკი», რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორმა მ. ტ-შვილმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. კასატორი არ უთითებს იმ გარემოებაზე, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს საპატიო მიზეზად, კერძოდ, გადატვირთული და შეფერხებული სატრანსპორტო მოძრაობის გამო პროცესზე გამოუცხადებლობა ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორი მ. ტ-შვილი სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

სს «საქართველოს საფოსტო ბანკის» ლიკვიდატორ მ. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

ას-336-589-08

2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება და სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. მან მიუთითა, რომ 2005 წლის 29 დეკემბერს ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება #109ა\შ, რომლითაც მოსარჩელეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა სასამართლოში. 2005 წლის 7 დეკემბერს გამოცემულ იქნა ბრძანება #116, რომლის მეშვეობით უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. რექტორმა 2006 წლის 18 იანვარს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა საშტატო განრიგი, რაზედაც 2006 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა თანხმობა, რის შედეგადაც 2006 წლის 3 თებერვალს გამოსცა #29 პ\შ ბრძანება, რომლითაც მ. ხ-შვილი განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. მუშაკთა რიცხოვნების შემცირებისას მოპასუხეს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42-ე და 36-ე მუხლებით, ემსჯელა და განესაზღვრა სამუშაოზე დარჩენის უპირატეს უფლებებზე. მოსარჩელეს სხვებთან შედარებით იურისტის თანამდებობაზე უპირატესი დარჩენის უფლება ჰქონდა, ვინაიდან მას გააჩნდა უფრო მაღალი კვალიფიკაცია და შრომის ნაყოფიერება. გარდა აღნიშნულისა, იგი არის სამხედრო ინვალიდი და ოჯახში დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე ერთადერთი პირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ითხოვა მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 2005 წლის 3 თებერვლის #29 პ\შ ბრძანების ბათილად ცნობა, იმავე თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. კასატორმა მიუთითა, რომ აღნიშნული დავა ეხება ადმინისტრაციული აქტის კანონიერების საკითხს და საქმე უნდა განეხილა არა სამოქალაქო პალატას, არამედ ადმინისტრაციულ პალატას. ვინაიდან ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სასამართლოს რომ განეხილა აღნიშნული საკითხი, სასამართლო მათი გამოუცხადებლობის გამო არ გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

დადგენილია, რომ მ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 12 ნოემბერს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე - ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სადაც მიუთითა, რომ სასამართლო პროცესზე მათი გამოუცხადებლობა გამოიწვია უნივერსიტეტის წინ ავტოსაგზაო შემთხვევამ, რის შედეგადაც დაშავდა უნივერსიტეტის სტუდენტი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის მიერ მოყვანილი არგუმენტი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მართებულად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო განჩინება

#ას-467-708-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ა-იანის სარჩელი საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურირიზაციის ფონდის მიმართ ფონდის უფროსის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ა-იანის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაზე, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მ. ა-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურირიზაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის 2005 წლის 6 აპრილის #1305 ბრძანება მ. ა-იანის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ცნობილ იქნა ბათილად, მ. ა-იანი აღდგენილ იქნა სამუშაოზე და მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურირიზაციის ფონდის წარმომადგენლის მიერ საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება გაუქმდა მ. ა-იანის სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში

საქმე დაბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის საოქმო განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე –საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურირების ფონდი შეიცვალა უფლებამონაცვლით –სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრით».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ივნისის სხდომაზე აპელანტის მიერ შემცირებულ იქნა მოთხოვნა. მ. ა-იანმა განმარტა, რომ აღარ ითხოვს სამსახურში აღდგენას და სურს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისროს მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 1 ივნისამდე –იმ შტატის გაუქმების თარიღამდე, რომლიდანაც განთავისუფლდა.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით გადმოეცა სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დანიშნული იყო 2008 წლის 24 იანვარს 15.00 საათზე, არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე –სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი», რომელიც სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ამასთან, გამოუცხადებელ მხარეს სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ არ უცნობებია. აპელანტის წარმომადგენელმა –მ. ბ-იამ მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივარს, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება 06.04.2005 წლიდან 01.06.2006 წლამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ა-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის წარმომადგენელმა გ. კ-მემ. მან მიუთითა, რომ, ვინაიდან იმყოფებოდა გამოკვლევის ჩასატარებლად, რომელიც გამოწვეული იყო გადაუდებელი აუცილებლობით და წინასწარ არ ჰქონდა დაგეგმილი, ამის გამო სასამართლოს ვერ შეატყობინა წინასწარ გამოუცხადებლობის მიზეზი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე სასამართლოს 2008 წლის 3 აპრილის განჩინებით კი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელმა ცენტრმა. მან მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა მ. ა-იანის სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

დადგენილია, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის საქმის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 24 იანვარს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2008 წლის 24 იანვრის სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე –ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის წარმომადგენელმა გ. კ-მემ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა ვერ მიუთითა იმ გარემოებაზე და საპატიო მიზეზე, რის გამოც ვერ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის წარმომადგენელ გ. კ-მის გამოუცხა-

დებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაკმარის მიზეზით გამოუცხადებლობად და მართებულად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების მიღებაზე უარის თქმა

განჩინება

#ას-464-705-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ბ-შვილის მიმართ 4222 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის სექტემბერში, მხარეთა შეთანხმებისამებრ, მოპასუხეს 500 ლარად უნდა შეესრულებინა სარემონტო სამუშაოები მოსარჩელის ბინაში. 120 ლარი მოსარჩელემ წინასწარ გადასცა მ. ბ-შვილს, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი -სარემონტო სამუშაოების შესრულების პერიოდში. მოპასუხემ სამუშაო შესრულა უხარისხოდ და იგი არ დაასრულა. ი. ბ-შვილის მოთხოვნით, მ. ბ-შვილმა თანხმობა განაცხადა, დამატებითი სამუშაოებით გამოეწვრებინა არსებული ხარვეზები და დაესრულებინა რემონტი, რისთვისაც მოსარჩელემ შეიძინა 4222 ლარის მასალა, თუმცა მ. ბ-შვილი გაემგზავრა საზღვარგარეთ და დანაპირები არ შეასრულა.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა და მ. ბ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4222 ლარის ანაზღაურება, რაც ი. ბ-შვილმა გაასაჩივრა.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც მ. ბ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით მ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება გაუქმდა, ხოლო საქმე განსახილველად დაუბრუნდა რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მ. ბ-შვილი 2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომის შესახებ კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არ იყო, რადგანაც მოპასუხე იმყოფებოდა ქ. კიევში. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ სასამართლო უწყება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, გაიგზავნა საქმეში არსებულ მოპასუხის მისამართზე, თუმცა მოპასუხის მეუღლე ზ. გ-მე-ბ-შვილმა უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილ უწყებაზე ადრესატის ოჯახის წევრის მიერ უწყების ჩაბარებაზე უარი თქმის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლით დადგენილი მინაწერი შესრულებული არ არის. სააპელაციო სასამართლომ ასევე დარღვეულად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების გონივრული ვადაც, რადგან კურიერმა აქტი მოპასუხის მეუღლის

მიერ უწყების ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ შეადგინა 2007 წლის 3 დეკემბერს, ხოლო საქმის განხილვა დანიშნული იყო ამავე წლის 6 დეკემბერს. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხისათვის გაგზავნილ სასამართლო უწყებაში მითითებული იყო მხოლოდ საქმის განხილვის თარიღი, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები მხარეს არ განმარტვია. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი. ბ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება, ბალდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და 2008 წლის 10 იანვრის განჩინების უცვლელად დატოვება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები. დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ მხარეს საქმის განხილვის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით არ ეცნობა, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასამართლო კურიერმა უწყება მიიტანა მოპასუხის მისამართზე, თუმცა მ. ბ-შვილის მეუღლემ უწყების ჩაბარებაზე უარი განაცხადა. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ უწყების ჩაბარებაზე უარის თქმის მიუხედავად, მოპასუხის მეუღლე ზ. გ-ძე-ბ-შვილი რამდენჯერმე გამოცხადდა სასამართლოში სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე და განმარტა, რომ დაუკავშირებოდა მეუღლეს და აცნობებდა სასამართლო პროცესის თაობაზე. სასამართლოს მთავარი სხდომა მ. ბ-შვილის მეუღლის თხოვნით დაინიშნა 2007 წლის 6 დეკემბერს, თუმცა მთავარ სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხის მეუღლემ სასამართლოს კვლავ არ აცნობა მოპასუხის ადგილსამყოფელი. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ფერსათის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2007 წლის 26 სექტემბერს გაცემული #248 ცნობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სადაც არაა მითითებული მ. ბ-შვილის საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის ოჯახის სრულწლოვან წევრს უწყება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით და მოპასუხის მეუღლის მიერ უწყების მიღებაზე უარის თქმის მიუხედავად, იგი მაინც გამოცხადდა სასამართლოში. ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მსჯელობა მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის დარღვევის თაობაზე, ვინაიდან მოპასუხეს სასამართლოს სხდომის შესახებ ეცნობა სხდომამდე სამი დღით ადრე, ამასთან, საქმის განხილვის თაობაზე მ. ბ-შვილმა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომამდე -2007 წლის 9 ნოემბრისათვისაც იცოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ი. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებისას არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და 241-ე მუხლი, რომელთა თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ზემოხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო საქმის განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელს არ დააკმაყოფილებს და მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, თუ მხარეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის შესახებ, თუმცა იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და თავისი გამოუცხადებლობის შესახებ არასაპატიო მიზეზით არ აცნობა სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე მ. ბ-შვილს 2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება საქმეში არსებულ მისამართზე გაეგზავნა, თუმცა სასამართლო კურიერის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, ამავე მისამართზე მცხოვრებმა მ. ბ-შვილის მეუღლემ უწყების მიღებაზე უარი განაცხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად კი (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქციით), თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. კანონის აღნიშნული დანაწესის თანახმად, მხარის ან, მისი

არყოფნის შემთხვევაში, მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უარის თქმისას უწყება ჩაბარებულად ითვლება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან სასამართლოს კურიერს მოპასუხისათვის ჩასაბარებელ უწყებაზე არ შეუძლებია სათანადო მინაწერი მხარის მეუღლის მიერ უწყების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. როგორც ზევით აღინიშნა, საქმის მასალებში წარმოდგენილია სადავო სასამართლო უწყებაზე დართული, კურიერის მიერ შედგენილი აქტი, სადაც უწყების ჩაბარებაზე ინფორმაცია ამომწურავადაა მოცემული.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევის შესახებ იმის გამო, რომ მოპასუხისათვის სასამართლო უწყება მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე ჩაჰბარდა 2007 წლის 3 დეკემბერს, 3 დღით ადრე. მითითებული ნორმის მიხედვით, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდათ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარეს გონივრული და საკმარისი დრო ჰქონდა 2007 წლის 6 დეკემბრის სასამართლოს მთავარი სხდომისათვის მოსამზადებლად, ვინაიდან სარჩელის აღძვრისა და საქმის განხილვის შესახებ მოპასუხეს კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა როგორც გზავნილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლებით, ისე სასამართლო უწყებები სასამართლოს მოსამზადებელი და მთავარი სხდომების დანიშვნის თაობაზე, რომელთა მიღებაზეც მ. ბ-შვილის მეუღლე ზ. გ-მე-ბ-შვილმა უარი განაცხადა. აღნიშნული კი, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მიხედვით, სასამართლო უწყებებისა და გზავნილის მხარისათვის ჩაბარებას უთანაბრდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის მოსამზადებელი და 2007 წლის 6 დეკემბრის მთავარი სასამართლო სხდომის ოქმების თანახმად, ზ. გ-მე-ბ-შვილი სასამართლოში გამოცხადდა და განმარტა, რომ მისი მეუღლე იმყოფებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ და ვერ გამოცხადდა სასამართლოში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქმის განხილვის დრო მისთვის ცნობილი იყო.

ამდენად, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის დროის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით ინფორმირებული იყო, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ დროს სასამართლოს მთავარ სხდომაზე იგი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, რის გამოც რაიონულმა სასამართლომ სავსებით სწორად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და შემდგომ ძალაში დატოვა იგი.

ამასთან, მ. ბ-შვილის საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება მოპასუხის მეუღლის მითითება, რომ მხარე იმყოფებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განუხორციელებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2008 წლის 10 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-447-689-08

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ვ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების -მ. კ-შვილისა და გ. გ-იანის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა მოსარჩელემ იყიდა მ. ს-კოსაგან, რომელმაც თავის დროზე მიიღო იგი დასასვენებელ სახლ «ქობულეთისაგან» და მოახდინა მისი პრივატიზება. მოპასუხეებმა უკანონოდ დაიკავეს რ. ვ-ძის კუთვნილი ფართი და ნებაყოფლობით მას არ ათავისუფლებენ.

გ. გ-იანმა და მ. კ-შვილმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს სადავო ბინიდან რ. ვ-ძის გამოსახლება, მოსარჩელესა და მ.სლეპჩენკოს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, ბინის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო უძრავი ნივთის მ. კ-შვილის სახელზე აღრიცხვა იმ საფუძვლით, რომ სადავო ბინა რ. ვ-ძის სახელზე არასწორად აღირიცხა. ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე უძრავი ნივთი მ. კ-შვილმა შეიძინა ა. ტ-ვასაგან და იგი საკუთრების უფლებით უნდა აღირიცხოს მის სახელზე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით რ. ვ-ძის სარჩელი და გ. გ-იანის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. კ-შვილის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი რ. ვ-ძის სახელზე არსებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე #3 ბინაზე, საიდანაც რ. ვ-ძე გამოსახლდა და ბინა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მ. კ-შვილს, საჯარო რეესტრს დაევალა დასახელებული ბინის მ. კ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.

რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა რ. ვ-მემ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც რ. ვ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განჩინებით რ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ რ. ვ-ძის სარჩელის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 27 სექტემბერს, რის შესახებაც მოსარჩელეს სასამართლო უწყება ამავე წლის 17 სექტემბერს ჩაჰპარდა, თუმცა იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილი და ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებანი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გამოტანილიყო, ვინაიდან რ. ვ-მემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე თავისი ავადმყოფობის გამო საქმის განხილვის გადადებისა და შეჩერების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ საქმის გადადება მოითხოვა 2007 წლის 7 სექტემბერს, რის საფუძველზე სასამართლო სხდომა გადაიდო 17 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის შესაბამისად, მხარის ავადმყოფობის გამო, საქმის წარმოების შეჩერება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა, რ. ვ-ძეს კი თავისი ავადმყოფობის დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ვ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა« პუნქტით და ჩათვალა, რომ კანონის ეს მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაურღვევია, მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვის დროს უნდა ეხელმძღვანელა არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლით, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლით და საქმე განეხილა ადმინისტრაციული წარმოების წესით, რა დროსაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა გამოტანილი. უდავოა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი ადმინისტრაციული აქტია და

ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებულ, სპეციალურ ნორმებს აწესებს. მოცემულ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან წარმოდგენილი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით რომ განხილულიყო, სასამართლო შეამოწმებდა გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს და რ. ვ-მეს არ გამოასახლებდა იმ ბინიდან, რომელიც მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლით კანონიერად ეკუთვნოდა და სრულიად უსაფუძვლოდ კასატორის კუთვნილი ბინის ნაწილს მ. კ-შვილს ვერ მიაკუთვნებდა. სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში არ შეუმოწმებია ქობულეთის რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აპელანტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა არა მხოლოდ მოსარჩელის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის, არამედ აღნიშნული საპროცესო ნორმების დარღვევის მოტივით. სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის იმ ნაწილში, სადაც აპელანტი მიუთითებდა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის შესაბამისად, მ. კ-შვილის შეგებებულ სარჩელზე რ. ვ-მე მოპასუხეს წარმოადგენდა. მ. კ-შვილს ჰქონდა დამოუკიდებელი მოთხოვნა -საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დავის ამ ნაწილში რაიონულ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არა 229-ე, არამედ 230-ე მუხლით, ანუ სასამართლოს საქმის მასალების საფუძველზე უნდა დაედგინა დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში უტყუარად დადასტურდებოდა, რომ შეგებებულ სარჩელში მ. კ-შვილის მოთხოვნა უკანონო იყო და სასამართლო უარს ეტყოდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ვ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამასთან, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საქმის განხილვაზე კანონით დადგენილი წესით მიწვეული მოპასუხის გამოუცხადებლობისას სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ ვითარებაში სასამართლო სარჩელში დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს დადგენილად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ გამოიწვევს სარჩელის დაკმაყოფილებას, ვინაიდან სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს, იურიდიულად რამდენად დასაბუთებულია სარჩელი და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკმაყოფილებს მას, თუ ჩათვლის, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებანი იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის 27 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. კ-შვილის შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა შეგებებულ სარჩელში მოპასუხე რ. ვ-მე, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით მიწვეული იყო სასამართლო სხდომაზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს არ უმსჯელია, იურიდიულად ამართლებდა თუ არა მ. კ-შვილის მიერ შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოებანი მის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმებისას სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა, დაცულია თუ არა რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მიეცა აღნიშნული გარემოებისათვის, რაც სააპელაციო პალატას არ განუხორციელებია.

დაუსაბუთებელია რ. ვ-მის მოთხოვნა მოცემული დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი პალატისათვის გადაცემის თაობაზე, რადგან წარმოდგენილი დავის საგანი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას არ განეკუთვნება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ვ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-632-856-08

1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 17 დეკემბერს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს საზღვაო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსმა, მოპასუხეებად დაასახელა ლ. წ-ია, ხ. ბ-ძე და მოითხოვა ქ. ქობულეთში, ... ქუჩა #100-ში მდებარე ბინა #43-დან მოპასუხეთა გამოსახლება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონალურ სამმართველოს, სამართალმემკვიდრის სახით გადაეცა რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის #2016 სამხედრო ნაწილის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ბინები, მათ შორის, სადავო ბინა, რომელიც დაკავებული აქვთ ლ. წ-იასა და ხ. ბ-ძეს. მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნული პირების გამოსახლება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 7 აპრილს მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დასახელებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს (ბათუმის) წარმომადგენელმა მ. გ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განჩინებით სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს (ბათუმის) წარმომადგენლის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის განხილვა.

სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს (ბათუმი) წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 28 მაისს 13 საათზე, რის შესახებაც მხარეებს ხელწერილით ეცნობათ სსსკ-ის 216-ე მუხლით დადგენილი წესით.

2008 წლის 28 მაისს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმეორებით არ გამოცხადდა სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს წარმომადგენელი მ. გ-ძე, რომელიც სხდომის დღისა და გამოუცხადებლობის თაობაზე გაფრთხილებული იყო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ხ. ბ-მისა და ვ. წ-იას შუამდგომლობა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა.

შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს უფროსი დ. გ-უას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველომ. კასატორმა მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა ისე, რომ #1 სამმართველოში სასამართლო პროცესზე გამოცხადების უწყება არ შემოსულა. განმეორებითი დაუსწრებელი

გადაწყვეტილება ასევე გამოტანილ იქნა იმიტომ, რომ #1 სამმართველოს წარმომადგენელმა მხოლოდ 10 წუთით დააგვიანა სასამართლო პროცესზე, რაც გამოიწვია იმან, რომ პროცესის წინა დღეს, დღის მეორე ნახევარში, შემოვიდა უწყება იმის შესახებ, რომ 2008 წლის 28 მაისს 11.30 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში ტარდებოდა სასამართლო პროცესი. ამის შემდეგ სამმართველოს წარმომადგენელი გაემგზავრა ქუთაისში. ვინაიდან გზაზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა იგი სასამართლოში გამოცხადდა დაგვიანებით 13.10 საათზე. აქედან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილს, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აპელანტის სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე გაუქმდა და განახლდა საქმის განხილვა.

დადგენილია, რომ ქობულეთის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებაზე სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნული იყო 2008 წლის 28 მაისს 13 საათისათვის.

სხდომის დღის თაობაზე სსსკ-ის 216-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით (ხელწერილით), 2008 წლის 14 მაისს, პირადად ეცნობა აპელანტს, სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს წარმომადგენელ მ. გ-მეს და განემარტა გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმდგრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული იმ სამართლებრივ საფუძველზე, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველო სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის #1 სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-301-558-08

22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის გადახდის სანაცვლოდ ფართის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ყ-შვილის სარჩელი მოპასუხე ა. ა-ოვას მიმართ თანხის გადახდის სანაცვლოდ ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა ა. ა-ოვამ და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ა-ოვას საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით ა. ა-ოვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ა. ა-ოვას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან პროცესზე საპატიო მიზეზით-ვადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა, სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა მისი საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ა. ა-ოვამ ვერ შეძლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის, კერძოდ, ავადმყოფობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა ა. ა-ოვას მოსაზრება, სარჩელის აღძვრის წინაპირობის არარსებობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რადგან ჩათვალა, რომ მისი არგუმენტი არ წარმოადგენს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დავა გამომდინარეობს «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონიდან, რომლის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დასახელებული კანონის აღნიშნული მუხლი არ შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან საქართველოს კონსტიტუციითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, ყველასათვის გარანტირებულია საკუთარი დარღვეული, სადავოდ ქცეული თუ წართმეული უფლების დაცვა სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულად ითვლება, რომ მოსარჩელე არის ზ. ყ-შვილის (ძმისშვილი) უფლებამონაცვლე, რომელსაც მოპასუხისაგან შინაურული ფორმის ხელშეკრულებით დათმობილი აქვს საცხოვრებელი სადგომი, შეთანხმება ამჟამინდელ მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის არ იქნა მიღწეული, ხოლო მატერიალური თვალსაზრისით, მოსარჩელის უფლება გამომდინარეობს დასახელებული კანონის 2.2-ე მუხლის დანაწესიდან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ა-ოვამ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 92-ე მუხლის მოთხოვნები. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ უგულვებელყო «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» 2005 წლის 30 ივნისის კანონი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მას და მ. ყ-შვილს შორის არანაირი ხელშეკრულება საცხოვრებელი სადგომის დათმობის თაობაზე არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შეწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ, კასატორი ა. ა-ოვს საკასაციო საჩივარში ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მიიჩნევს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას. ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო მსჯელობს მოთხოვნის იურიდიულ მართებულებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად და მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულად გამართლებულია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მ. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოპასუხე ა. ა-ოვას მიმართ თანხის გადახდის სანაცვლოდ ფართის საკუთრებაში გადაცემა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ამოწმებს არა მოთხოვნის დასაბუთებულებას, რაც შესაძლებელია საქმეში არსებული მტკიცებულებების შემოწმება-შეფასების გზით, არამედ იმას, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები ზოგადად რამდენად ამართლებს კონკრეტულ შემთხვევაში «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» კანონით დადგენილი მატერიალურ-სამათლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნას. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ამ შემთხვევაში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად) სასამართლო არ ამოწმებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არ ადგენს, თუ რამდენად დგინდება (დასტურდება) ის გარემოებები, რაც მითითებულია სარჩელში და გამომდინარეობს ზემოაღნიშნული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან. აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად «თუ სასამართლო მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორი ვერ უთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევის საფუძვლებზე, რითაც დადასტურდებოდა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- ა. ა-ოვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინება;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

ას-670-1000-07

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ო-ძის სარჩელი მოპასუხე ნ. უ-ავასა და ნოტარიუს ქ. ბ-შვილის მიმართ ნოტარიუსის მიერ გაცემული კანონიერი მემკვიდრეობის მოწმობის ნაწილობრივ გაუქმების, ქ. ბათუმში, ... ქ. #67-ში არსებულ სახლთმფლობელობის 1/2-ის მემკვიდრედ ცნობისა და აღნიშნული სახლთმფლობელობიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მესამე პირების -ლ. და ი. უ-ავების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, აწ გარდაცვლილ ვ. უ-ავს, აწ გარდაცვლილი მამის -ბ. უ-ავას სამკვიდრო სახლთმფლობელობის -მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. #67-ის 1/2 ჩაეთვალა მიღებულად, ხოლო დანარჩენ ნაწილში მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ო-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის განჩინებით ნ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. ო-ძის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა ნ. ო-ძის სარჩელი. გაუქმდა ნოტარიუს. ქ. ბ-შვილის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის ის ნაწილი, რომლითაც სამკვიდრო სახლთმფლობელობის, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. #67-ში 1/2 გაფორმდა ნ. უ-ავასა და ნ. ო-ძე ვ. უ-ავას მემკვიდრედ იქნა ცნობილი სადავო სახლთმფლობელობის 1/2-ზე.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ნ. უ-ავამ, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-ავამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა ნ. უ-ავას სააპელაციო საჩივარი, რომელიც გაასაჩივრა მისმა წარმომადგენელმა ა. ბ-აიამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ სასამართლო სხდომის დღეს ავტომობილის ტექნიკური პრობლემების გამო ვერ შეძლო დროულად გამოცხადება, რის შესახებაც მან მობილური ტელეფონის საშუალებით აცნობა საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის თანაშემწეს და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია «მაგთის» მიერ გაცემული, მობილური ტელეფონიდან განხორციელებული ზარების დეტალური ამონაბეჭდი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ივლისის განჩინებით ნ. უ-ავას წარმომადგენლის -ა. ბ-აიას საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასებისას დადგინდა, რომ საჩივრის ავტორს მოსამართლის თანაშემწესთან სატელეფონო შეტყობინება არ განუხორციელებია და აღნიშნულის თაობაზე არც მოსამართლის თანაშემწეს რაიმე სახის ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით არ მოუწოდებია საქმის განმხილველი სასამართლოსათვის. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ ა. ბ-აიამ ვერც სხდომაზე გამოუცხადებლობის ხელშემშლელი მიზეზის (ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა) დამადასტურებელი მტკიცებულება -გარდა თავისი განმარტებისა -სასამართლოს ვერ წარმოუდგინა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-ავას წარმომადგენელმა -ა. ბ-აიამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვის მიზნით, საქმის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო უწყება მის მარწმუნებელ -ნ. უ-ავას საერთოდ არ ჩაჰპარებია კანონით დადგენილი წესით, ხოლო თავად განახორციელა ყველა მის ხელთ არსებული საშუალება, რათა სასამართლოსათვის ეცნობებინა დაგვიანების თაობაზე (ტელეფონით

დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს, ასევე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელ გ. გ-მეს, რომელსაც აცნობა სასამართლო სხდომაზე მისი დაგვიანების მიზეზები), მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაგვიანება არასაპატიოდ მიიჩნია და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას, 2007 წლის 10 დეკემბერს ნ. უ-ავას წარმომადგენელმა ა. ბ-იამ საკასაციო პალატას წარმოუდგინა ნ. უ-ავას გარდაცვალების მოწმობა და იშუამდგომლა კასატორის უფლებამონაცვლის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება შეჩერდა კასატორის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2008 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე კასატორ ნ. უ-ავას უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნენ ი. და ლ. უ-ავები და განახლდა საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. უ-ავას წარმომადგენელ ა. ბ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. 233-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ მის წინააღმდეგ წამოაყენა.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს, ვინაიდან დადგენილია, რომ ნ. უ-ავას და მის წარმომადგენელ ა. ბ-იას სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის დღისა და დროის შესახებ. ასევე დადგენილია, რომ 233-ე მუხლში მითითებული სხვა გარემოებები, რომელიც კასატორის გამოუცხადებლობას გამართლებდა, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, გარდა 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამონათვალი გარემოებებისა, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევა, შეიძლება მომჩივნის მიერ მითითებულ იქნეს სხვა გარემოებებიც, რომლებიც მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე, ეკისრება მომჩივანს.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მისი გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული.

კასატორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მის მარწმუნებელს საერთოდ არ ჩაჰბარებია სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით და, შესაბამისად, იგი არ იყო ინფორმირებული სხდომის დროისა და თარიღის შესახებ, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. უ-ავას კანონის შესაბამისად გაეგზავნა და ჩაჰბარდა სასამართლო უწყება სხდომის დროისა და თარიღის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. უ-ავასა და მისი წარმომადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება საქმის მასალებით, განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ი. და ლ. უ-ავების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ივლისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო

განჩინება

#ას-598-825-08

29 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 19 ივნისს პ. ლ-მემ რუსთავის საქალაქო სასამართლოს უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართა. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2005 წლის 5 ივნისს მასა და ს. ხ-ოვს შორის ქ. რუსთავში, ... მ/რ #12-25-ში მდებარე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა. ს. ხ-ოვი აღნიშნული ბინის ერთადერთი მესაკუთრე იყო. ნასყიდობის ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმდა და მყიდველი საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ აღირიცხა, თუმცა აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდა თ. ხ-ოვა, რომელიც, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ფართის დაცლაზე უარს აცხადებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე პ. ლ-მემ ქ. რუსთავში, ... მ/რ #12-25-ში მდებარე ბინიდან თ. ხ-ოვას გამოსახლება მოითხოვა.

თ. ხ-ოვამ რუსთავის საქალაქო სასამართლოს შეგებებული სარჩელი წარუდგინა, რომლითაც ს. ხ-ოვას და პ. ლ-მეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა. მხარემ აღნიშნა, რომ სადავო ბინა მისი მეუღლის -ვ. ხ-ოვის სამკვიდროს წარმოადგენდა, ხოლო ს. ხ-ოვი ბინის მესაკუთრედ 2006 წლის 1 ივნისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დარეგისტრირდა, რომელიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გაიცა. თ. ხ-ოვას განმარტებით, იგი მისი მეუღლის სახელზე პრივატიზებული ბინის თანამესაკუთრე იყო, ამდენად, ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობა მთლიან ბინაზე არ უნდა გაეცა, ამასთან სამკვიდრო მოწმობის გაცემის მომენტისათვის ს. ხ-ოვს სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა გაშვებული ჰქონდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით პ. ლ-მის სარჩელი მთლიანად დაკმაყოფილდა და ქ. რუსთავის ... მიკრორაიონის #12-25-ში მდებარე ბინა გამოთხოვილ იქნა თ. ხ-ოვას უკანონო მფლობელობიდან. თ. ხ-ოვას შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თ. ხ-ოვას წარმომადგენელმა ს. ო-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

2007 წლის 19 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა მოპასუხე თ. ხ-ოვას სააპელაციო საჩივარი. საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ წარმოდგენილი იყვნენ მოსარჩელები -პ. ლ-მე და ს. ხ-ოვი. სხდომაზე არ გამოცხადნენ აპელანტი და მისი წარმომადგენელი, რომლებსაც სხდომის დღის შესახებ ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და 2007 წლის 19 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ხ-ოვას სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილდა; საქმეზე უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თ. ხ-ოვას წარმომადგენელმა ს. ო-იამ დადგენილ ვადაში აღძრა საჩივარი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით თ. ხ-ოვას წარმომადგენელ ს. ო-იას საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იმავე პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მტკიცება, რომ 2007 წლის 19 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით, კერძოდ კი ახლო ნათესავის გარდაცვალებით იყო გამოწვეული, რადგანაც საჩივარს არ ერთვოდა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

თ. ხ-ოვას წარმომადგენელმა ს. ო-იამ აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგანაც სასამართლომ სავალდებულოდ ისეთი მტკიცებულების წარდგენა მოითხოვა, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად არ მოითხოვს. კასატორმა აგრეთვე განმარტა, რომ 2007 წლის 18 დეკემბერს მას შეატყობინეს ახლო ნათესავის გარდაცვალების შესახებ. ვინაიდან იგი ვედარ განახორციელებდა თ. ხ-ოვას წარმომადგენლობას, განცხადება საქმის განხილვის გადადების შესახებ ამ უკანასკნელს გადასცა სასამართლოსათვის წასადგენად. თ. ხ-ოვამ, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ქართული ენის არასაკმარისად ცოდნის გამო, სხდომის დარბაზი ვერ იპოვა და გამოძახებას იმ დარბაზის წინ

ელოდა, სადაც წინა სასამართლო სხდომა ჩატარდა. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ კი განცხადება კანცელარიას ჩააბარა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით თ. ხ-ოვას წარმომადგენელ ს. ო-იას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და თვლის, რომ თ. ხ-ოვას წარმომადგენელ ს. ო-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის წარმოება უნდა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში კასატორის წარმომადგენელი სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე თავისი გამოუცხადებლობის მიზეზად ახლო ნათესავის გარდაცვალებას უთითებს. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილია თ. ხ-ოვას წარმომადგენელ ს. ო-იას განცხადება სასამართლო სხდომის გადადების შესახებ, სადაც იგი უთითებს, რომ ახლო ნათესავის გარდაცვალების გამო არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე. აღნიშნული განცხადება სასამართლოს კანცელარიაში დარეგისტრირებულია სასამართლო სხდომის დასრულებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის აუცილებელია მხარემ სარწმუნოდ დაადასტუროს საპატიო მიზეზის არსებობა, რამაც სხდომაზე გამოცხადებაში ხელი შეუშალა. მხარის მხოლოდ სიტყვიერი განცხადება ამა თუ იმ გარემოების არსებობის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

განსახილველ შემთხვევაში კასატორის წარმომადგენელმა ს. ო-იამ ვერც სააპელაციო და ვერც საკასაციო სასამართლოს წინაშე ვერ წარადგინა რაიმე მტკიცებულება, რომ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა ნამდვილად საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, თუნდაც გაზიარებულ იქნას მტკიცება, რომ მხარის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავად მხარეს -თ. ხ-ოვას შეეძლო გამოცხადებულიყო სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ან დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის, რომ მისი წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას ვერ შეძლებდა და საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებდა მოეთხოვა. აღნიშნული კი მას არ განუხორციელებია. თ. ხ-ოვას სხდომაზე გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი კი, არც სააპელაციო და არც საკასაციო ინსტანციაში მითითებული არ ყოფილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩენილიყო, ამდენად გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 241-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ხ-ოვას წარმომადგენელ ს. ო-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება და იმავე სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-667-997-07

30 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. კ-მემ მოპასუხედ დაასახელა დ. ო-მე და ქობულეთის ნოტარიუსი მ. კ-მე და მოითხოვა 2003 წლის 24 აპრილს დ. ო-მის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის #2-138 გაუქმება და ნოტარიუსი მ. კ-მის დავალდებულება მის სახელზე, როგორც თამაზ ოქროპიძის მეუღლისა და პირველი რიგის მემკვიდრეზე ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა - გაუქმდა ნოტარიუსი მ. კ-მის მიერ გაცემული 2003 წლის 24 აპრილის სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც დ. ო-მემ მემკვიდრეობით მიიღო ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე, უძრავი ქონება; ნოტარიუსი მ. კ-მეს დაევა მ. კ-მის სახელზე გაეცა ქ. ქ-ში, ს-ის ქ. #...-ში მდებარე მის მიერ ფაქტობრივი ფლობით მიღებულ უძრავ ქონებაზე, კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ო-მემ მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. ო-მისა და მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, დ. ო-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე #2-252-2006 წ. მ. კ-მის სარჩელი, 2003 წლის 24 აპრილს, დ. ო-მის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმებისა და ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე თ. ო-მის კუთვნილ უძრავ ქონებაზე მ. კ-მის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ნოტარიუსი მ. კ-მის დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

დასახელებულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მ. კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საჩივრის ავტორის განმარტებით 2007 წლის 30 მაისს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით, რომლის თაობაზეც წინასწარ აცნობა კიდევ სასამართლოს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად, გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით მ. კ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

დადგენილია, რომ შპს ქობულეთის რაი-პოლიკლინიკის ამბულატორიული ავადმყოფის #... სამედიცინო ბარათის საფუძველზე, შპს ქობულეთის რაი-საავადმყოფოს დირექტორის მიერ 2007 წლის 30 მაისს გაცემული #394 და 2007 წლის 13 ივნისის #...^ა ცნობებით 2007 წლის 29 მაისს, 20 სთ. 30 წთ-ზე მოქ. მ. კ-მე რეგისტრირებული იქნა ქობულეთის რაი-საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში დიაგნოზით: მარჯვენა მხრივი თირკმლის ჭვალი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და რომ ამავე წლის 30 მაისიდან მკურნალობს შპს ქობულეთის რაი-პოლიკლინიკაში ექიმ უროლოგთან დიაგნოზით: ორმხრივი თირკმლის ნეფროფტოზი, ქრონიკული პიელონეფრიტი, გამწვავებული რენალური ჰიპერტენზია.

პალატამ მიიჩნია, რომ მ. კ-მის მიერ, საქმეზე წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობები არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილი წესით მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ავადმყოფობის გამო შეუძლებელი იყო მისი სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოში მ. კ-მის გამოუცხადებლობა არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნული კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, რაც შეიძლება საფუძველად დაედოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინება სააკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მემ.

კასატორის განმარტებით სასამართლომ მიზანმიმართულად, დაკვეთით არ გაითვალისწინა მის მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა, რომელითაც წინასწარ აცნობა სასამართლოს პროცესზე

გამოუცხადებლობის შესახებ, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა დაუსწრებელ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

კასატორის განმარტებით მან წარუდგინა სასამართლოს ავადმყოფობის ცნობა #402, #403 სადაც დაკონკრეტებულია, რომ სასამართლო პროცესის დროს იგი იმყოფებოდა მწოლიარე მდგომარეობაში, აღნიშნული ფაქტი არ გაიზიარა სასამართლომ და დატოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საკასაციო საჩივარს, საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თვლის რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი. ამავე პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით ძალაში დარჩა 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის -241-ე მუხლის შესაბამისად დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსთვის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ სწორად არ გაიზიარა მ. კ-ძის მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომელიც უნდა იყოს მითითებული ავადმყოფობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. კასატორის მიერ საქმეში წარმოდგენილი ცნობა ასეთ მონაცემებს არ შეიცავს. ამდენად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამოუცხადებლობა საპატიოობის დამადასტურებელ გარემოებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ ზემომითითებული საფუძვლი არ განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველს, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-707-1037-07

30 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკატრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ბინის სარგებლობით მიღებული სარგებლის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 26 მარტის განჩინებით დამტკიცდა მორიგება თ. ო-შვილსა და ც. ა-ვას შორის, რომლის თანახმადაც ა-ვას ო-შვილისათვის უნდა გადაეხადა 15 000 აშშ დოლარი 2002 წლის 26 ივნისამდე. ვინაიდან მორიგების პირობები არ შესრულდა, განჩინება მიექცა იძულებით აღსასრულებლად და განმეორებით აუქციონზე ც. ა-ვას კუთვნილი ბინა შეიძინა მოსარჩელე თ. ო-შვილმა, რაზედაც გაიცა სააღსრულებო განკარგულება.

ც. ა-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის გაუქმების, აუქციონის შედეგებისა და სააღსრულებო განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, მოსარჩელემ ხელმოწერა სააღსრულებო ფურცელი და 2005 წლის 30 მარტს გამართულ აუქციონზე სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე თავიდან შეიძინა ც. ა-ვას საცხოვრებელი #4 ბინა თბილისში, ... ქ. #.. კორპუსში და აღირიცხა ამ ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

2005 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. ო-შვილმა და მოითხოვა უძრავი ქონება თბილისში, ... ქ. #.. კორპუსის ბინა #4 -გამოთხოვილი იქნეს მოპასუხეების: ბინის ყოფილი მესაკუთრის, ც. ა-ვასა და მისი ოჯახის წევრების -მ. და დ. ა-ვების უკანონო მფლობელობიდან და მესაკუთრეს თ. ო-შვილს ჩაჰბარდეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში.

მოპასუხე ც. ა-ვამ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და თ. ო-შვილის მიმართ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგებისა და სააღსრულებო განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ო-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ო-შვილის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი #4 ბინა, მდებარე თბილისში, ... ქუჩაზე კორპუსი #11-ში, გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების: ც., დ. და მ. ა-ვების უკანონო მფლობელობიდან და მესაკუთრე თ. ო-შვილს ჩაჰბარდა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. მოპასუხეებს დ. ა-ვას, ც. ა-ვას და მ. ა-ვას თ. ო-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ბინის სარგებლობით მიღებული სარგებელი -თვეში 100 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი -სარჩელის აღძვრის მომენტიდან - 2005 წლის 10 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ც., დ. და მ. ა-ვებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ც., დ. და მ. ა-ვების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამავე პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინებით უცვლელად დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატამ დადგინა, რომ აპელანტებს სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად. საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 25 იანვრის ხელწერილით დასტურდება, რომ აპელანტს ც. აფხაზავას პირადად ეცნობა საქმის განხილვის დღე, ხოლო აპელანტებს -დ. და მ. ა-ვებს სხდომის დღის შესახებ ეცნობათ მათთან მცხოვრები ოჯახის (დედის) წევრის მეშვეობით. პალატამ არ გაიზიარა ც. ა-ვას განმარტება იმის შესახებ, რომ მისი გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, ავადმყოფობით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა არ იყო დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით და არ შეიცავდა მითითებას სასამართლო პროცესზე საჩივრის ავტორის გამოცხადების შეუძლებლობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ც., მ. და დ. ა-ვებმა.

კასატორების აზრით, ერთ-ერთი აპელანტი -ც. ა-ვა ავადმყოფობის გამო გადაყვანილი იყო სამკურნალო დაწესებულებაში, იმყოფება სტაციონარულ მკურნალობაზე. აღნიშნული ცნობა წარდგენილი იყო სასამართლოში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი ცნობა არ შეესაბამებოდა 215-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნებს, კერძოდ, არ იყო ცნობა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და არ იყო მითითება იმ ფაქტზე, რომ ავადმყოფი ვერ შეძლებდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას. აღნიშნული ცნობა მათი მოთხოვნის საფუძველზე გასცა შპს „სამკურნალო დიაგნოსტიკურმა ცენტრმა», ცნობა არის ბეჭედდასმული და ხელმოწერილი და მასში მითითებულია ავადმყოფის (ც. ა-ვას) მონაცემები ავადმყოფობის დასახელება და სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის თარიღი და საათი, ხოლო, თუ აღნიშნული ცნობის გაცემა რაიმე კანონისმიერ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, ეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა.

კასატორების დ. და მ. ა-ვების განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომ არ გაარკვია ჩაჰბარდათ თუ არა მათ უწყება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოტხოვნათა დაცვით. მათი განმარტებით სააპელაციო სასამართლომ უწყებები ჩააბარა ც. ა-ვას დ. და მ. ა-ვებისთვის გადასაცემად, ხოლო ჩაბარება ისე ჩათვალა დადგენილად, რომ ადრესატთა მიერ ხელმოწერილი უწყების მეორე ეგზემპლარი საქმეში წარმოდგენილი არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ აპელანტ ც. ა-ვას პირადად ეცნობა 2007 წლის 22 თებერვალს დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ, ხოლო აპელანტებს: დ. და მ. ა-ვებს სხდომის დღის შესახებ ეცნობათ მათთან მცხოვრები ოჯახის წევრის, დედის მეშვეობით. ასევე დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინებით ძალაში დარჩა 2007 წლის 22 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 241-ე მუხლის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ სწორად არ გაიზიარა აპელანტ ც. ა-ვას მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომელიც უნდა იყოს მითითებული ავადმყოფობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. კასატორის მიერ საქმეში წარმოდგენილი ცნობა ასეთ მონაცემებს არ შეიცავს. ამდენად, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამოუცხადებლობა საპატიოობის დამადასტურებელ გარემოებად.

რაც შეეხება კასატორების დ. და მ. ა-ვების განმარტებას, რომ ისინი სათანადოდ არ იყვნენ გაფრთხილებული სასამართლო სხდომის დღის შესახებ, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში მოიპოვება უტყუარი მტკიცებულება-მათი დედის ც. ა-ვას ხელწერილი, სადაც დაფიქსირებულია, რომ მან იკისრა ვალდებულება უწყების შვილებისათვის გადაცემის თაობაზე. შესაბამისად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული თავისთავად გულისხმობს დ. და მ. ა-ვების გაფრთხილებას-ოჯახი წევრის მეშვეობით სხდომის დღის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ ზემომითითებული საფუძვლები არ განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველს, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც., დ. და მ. ა-ვების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-442-792-07

10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება და ნივთის ნატურით გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. პ-ავა-ლ-იძის მიმართ და მოითხოვა საერთო საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... გამზირის #56-ში მდებარე #59 ბინიდან რეალური წილის გამოყოფა, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, მოგვიანებით კი დააზუსტა თავისი მოთხოვნა და მოითხოვა სადავო უძრავი ნივთის აუქციონის წესით გაყიდვა და მისი ღირებულების მხარეთა შორის გაყოფა

შემდეგი საფუძვლით: 2003 წლის 22 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობით, მხარეებმა თანაბარწილად მიიღეს საკუთრებაში სადავო საცხოვრებელი ბინა, სადაც ცხოვრობს მოპასუხე ოჯახთან ერთად. მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის გამო ნ. ა-მ კუთვნილი ბინით ვერ სარგებლობს.

ქ. პ-ავა-ლ-მემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სადავო უძრავი ნივთის ღირებულება შეადგენს 13000 აშშ დოლარს, საიდანაც მოპასუხეს ეკუთვნის 6500 აშშ დოლარი. რაც შეეხება მოსარჩელის წილს, მხარე უფლებამოსილია, გაასხვისოს იგი საჯარო აუქციონის წესით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება ქ. ბათუმში, ... გამზირის #56-ში მდებარე #59 ბინაზე და დადგინდა საზიარო საგნის აუქციონზე უძრავი ქონების გაყიდვის წესით გასხვისება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. პ-ავამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოში ქ. პ-ავა-ლ-მეს სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 9 თებერვალს, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დადგენილ დროს აპელანტი პროცესზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის არ შეუტყობინებია. მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 9 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ა-მის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქ. პ-ავა-ლ-მის სააპელაციო საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სასამართლომ დაადგინა, რომ მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ აპელანტს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი არასაპატიო მიზეზით სხდომაზე არ გამოცხადდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ქ. პ-ავა-ლ-მემ შეიტანა საჩივარი და მიუთითა, რომ 2007 წლის 9 თებერვლის სხდომაზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით - ავადმყოფობის გამო. საჩივარს დაერთო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შპს «საოჯახო მიდიცინის რეგიონალური ცენტრის» ექიმ ნ. ფ-ავას მიერ 2007 წლის 19 თებერვალს გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით ქ. პ-ავა-ლ-მე 2007 წლის 8-19 თებერვალს საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებით ქ. პ-ავა-ლ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2007 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომის შესახებ მხარეებს ეცნობათ კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა აპელანტი ქ. პ-ავა-ლ-მე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, 2007 წლის 8-19 თებერვალს იგი მკურნალობდა მარცხენა თირკმელში კენჭის შეტევის გამო, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. პ-ავა-ლ-მის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილს არ შეესაბამება, კერძოდ, იგი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს მიერ ხელმოწერილი არ არის და მხარის სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობაზე არ მიუთითებს. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ამავე კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. პ-ავა-ლ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ კასატორის მიერ წარდგენილი სამედიცინო ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილს არ შეესაბამება, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტზე დასმული სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით დასტურდება, რომ იგი შედგენილ იქნა ორგანიზაციის ადმინისტრაციის მონაწილეობით და არა მხოლოდ მკურნალი ექიმის მიერ. ამასთან, თავად დაავადების დიაგნოზიდან გამომდინარეობს, რომ მხარეს ავადმყოფობისას სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობა არ ჰქონდა. სააპელაციო სასამართლომ სადავო მტკიცებულება ზედმეტად ფორმალურად შეაფასა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ სადავო სხდომის დანიშვნის პერიოდში კასატორი იყო ფეხმძიმედ და განიცდიდა აღნიშნულისათვის დამახასიათებელ ტოქსიკოზს, რამაც ასევე ხელი შეუშალა პროცესზე გამოცხადებაში. აღსანიშნავია, რომ, ფინანსური პრობლემების გამო, კასატორს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას აღარ ჰყავდა წარმომადგენელი და არ შეეძლო გაეთვალისწინებინა სამედიცინო ცნობის შედგენასთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები. საკასაციო საჩივარს დაერთო დამატებითი მტკიცებულებანი, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ცნობები, რომლებიც ადასტურებს, რომ 2007 წლის 8-19 თებერვალს ქ. პ-ავა-ლ-მეს დაენიშნა მკურნალობა წოლითი რეჟიმით.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. პ-ავა-ლ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოში ქ. პ-ავა-ლ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2007 წლის 9 თებერვალს, რის შესახებაც მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით

ეცნობათ. სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ ნ. ა-ძე, აპელანტი კი პროცესზე არ გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია.

სააპელაციო სასამართლომ, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად განმარტა და გამოიყენა ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი და 241-ე მუხლი, რომელთა თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ზემოხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს და მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, თუ მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და თავისი გამოუცხადებლობის შესახებ არასაპატიო მიზეზით არ აცნობა სასამართლოს.

განსახილველ შემთხვევაში ქ. პ-ავა-ლ-მის განმარტებით ირკვევა, რომ 2007 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო მისი ავადმყოფობით, რის დასადასტურებლადაც მხარემ წარადგინა სამედიცინო ცნობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა აღნიშნულ დოკუმენტს და ქ. პ-ავა-ლ-მის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, ვინაიდან მითითებული დოკუმენტით არ დასტურდება 2007 წლის 9 თებერვალს, სასამართლო სხდომის დღეს აპელანტის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რამაც მხარის სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახადა. ამასთან, სადავო დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი არ არის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ წარდგენილ სამედიცინო ცნობაზე დასმულია რა სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი, აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ ცნობა შედგენილია კანონის შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციის მონაწილეობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს სამედიცინო ცნობის შედგენის წესს და მიუთითებს, რომ იგი ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. მოცემულ შემთხვევაში კი კანონის აღნიშნული მოთხოვნა დაცული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ შეაფასებს საკასაციო საჩივარზე დართულ მტკიცებულებებს, რომლებიც ქ. პ-ავა-ლ-მეს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ წარუდგენია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ქ. პ-ავა-ლ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-93-373-08

19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ბინიდან რეალური წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 20 სექტემბერს თ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მ. ყ-შვილის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ბინიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე. სასარჩელო განცხადებაში თ. მ-შვილმა აღნიშნა, რომ 1999 წლის 21 სექტემბერს გარდაიცვალა მამამისი გ. მ-შვილი, ხოლო თავად მოსარჩელე არის პირველი ჯგუფის ინვალიდი და მამასა და დასთან -მ. ყ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ... ქუჩა #16-ში მდებარე ბინა #11-ში. 2005 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული საცხოვრებელი ბინა მამამ აჩუქა ქალიშვილს -მ. ყ-შვილს, რომელმაც მოსთხოვა ბინიდან გასვლა. 2005 წლის 13 აპრილს თ. მ-შვილმა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საიდანაც აცნობეს, რომ აღნიშნული ბინა აღრიცხულია მ. ყ-შვილის სახელზე 1998 წლის 23 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ იგი არის შრომისუუნარო, არა აქვს საცხოვრებელი სახლი და დროებით ცხოვრობს ნათესავთან. მამის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მის კმაყოფაზე და იღებდა მისგან სარჩოს. 1998 წლის 23 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულებით კი არსებითად შეილახა მისი უფლებები, მოესპო საარსებო წყარო. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით, მითითებული ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილ გარიგებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით თ. მ-შვილს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

თ. მ-შვილმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე თ. მ-შვილმა შეიტანა საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 დეკემბრის განჩინებით თ. მ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე თ. მ-შვილმა შეიტანა საკასაციო საჩივარი. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ იგი არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი და ვერ მოძრაობს სრულყოფილად. მგზავრობისას იგი მოჰყვა საცობში და ვინაიდან ინვალიდია, ვერ მოახერხა დროულად სხვა ავტობუსში გადაჯდომა, რის გამოც დააგვიანდა სასამართლო პროცესზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დანიშნული იყო 2007 წლის 18 ოქტომბერს, 12⁰⁰ საათზე, არ

გამოცხადდა აპელანტი თ. მ-შვილი, მისი წარმომადგენლები -მ. ბ-შვილი და კ. პ-ავა, რომლებიც სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყვნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2007 წლის 18 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოში გამოუცხადებელ აპელანტ მხარეს და მის წარმომადგენლებს სასამართლო სხდომის დღე ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, რის მიუხედავადც ისინი არ გამოცხადდნენ საქმის განხილვაზე და ამავე დროს, მათ სასამართლოსთვის არ უცნობებიათ გამოუცხადებლობის მიზეზი.

პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული იმ სამართლებრივ საფუძველზე, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს. კასატორი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ იგი პროცესზე ვერ გამოცხადდა, რადგან მგზავრობისას შეფერხდა, მოჰყვა საცობში, რაც გახდა მიზეზი პროცესზე მისი გამოუცხადებლობისა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აპელანტის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. მ-შვილი სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-935-1241-07 7 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი**

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე გ. და ზ. ღ-ძეებისა და მ. კ-შვილის მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2000 წლის 12 მაისს ქარელის რაიონის დ. . . . ე.წ. რუსთავის დოლომიტების ქარხნის ტერიტორიაზე, პირადი საკუთრების უფლებით შეიძინა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1250 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის შესყიდვის ხელშეკრულება გაატარა საჯარო რეესტრში და მიიღო მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა. მოპასუხეები, რომლებიც მის მომიჯნავედ უკანონოდ ფლობენ მიწის ნაკვეთს, არ აძლევენ საშუალებას გამოიყენოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზა.

ქარელის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - აევრძალათ ზ. და გ. ლ-ძეებს და მ. კ-შვილს ი. გ-შვილისათვის დ. . . ., ე.წ. რუსთავის დოლომიტების ქარხნის ტერიტორიაზე, 2000 წლის 12 მაისს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საკუთრების უფლებით დარეგისტრირებული 1250 მ² არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან მისასვლელი 18 მეტრი სიგრძის საერთო სარგებლობის მისასვლელი გზით სარგებლობის ყოველგვარი ხელშეშლა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს გ. და ზ. ლ-ძეებმა.

მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 28 ნოემბერს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც ზ. და გ. ლ-ძეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. გ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22 ოქტომბრის განჩინებით ი. გ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. გ-შვილმა. მან აღნიშნა, რომ 2006 წლის 23 ნოემბერს მის მარწმუნებელ მ. ბ-შვილს გარდაეცვალა მეუღლის ბიძა, რომლის დაკრძალვა დანიშნული იყო 2006 წლის 28 ნოემბერს, სასამართლო პროცესის დღეს. მ. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბერს და ითხოვა საქმის განხილვის გადადება. ვინაიდან თვითონ ცუდად იყო, ვერ შეძლო პროცესზე გამოცხადება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

ამ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

დადგენილია, რომ გ. და ზ. ლ-ძეების საქმის განხილვა დაინიშნა 2006 წლის 28 ნოემბერს. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2006 წლის 28 ნოემბერს სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარე - ი. გ-შვილი და მისი წარმომადგენელი - მ. ბ-შვილი, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ი. გ-შვილმა. მან მიუთითა, რომ იგი საპატიო მიზეზით, ავადმყოფობის გამო, ვერ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. მან წარმოადგინა ხაშურის რაიონის პოლიკლინიკის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ცნობა ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად, ვინაიდან ი. გ-შვილი სტაციონალურ მკურნალობას არ გადიოდა და მას შეეძლო პროცესის დღეს დაკავშირებოდა სასამართლოს და ეცნობებინა გამოუცხადებლობის მიზეზი. გარდა ამისა, დადგენილია, რომ ი. გ-შვილმა ექიმს ავადმყოფობის გამო მიმართა არა პროცესის დღეს - 28 ნოემბერს, არამედ 30 ნოემბერს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მართალია, მ. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის გადადების მოთხოვნით, მაგრამ აღნიშნული განცხადება არ შეიძლება ყოფილიყო საქმის გადადების საფუძველი. კასატორი მიუთითებს, რომ მ. ბ-შვილმა მას აცნობა იმის შესახებ, რომ იგი ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო პროცესზე. აქედან გამომდინარე, ი. გ-შვილს თვითონ შეეძლო სასამართლო პროცესზე გამოცხადებულიყო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ი. გ-შვილის გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და სწორად გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. გ-შვილი და მისი წარმომადგენელი მ. ბ-შვილი სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყვნენ კანონით დადგენილი წესით და ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-891-1198-07 13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 25 აპრილს ვანის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. თ-მემ მოპასუხეების: იმერეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ლ. გ-ძისა და ვანის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. დ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ ვანის ცენტრალური აგრარული ბაზრის შესაძენად თანხის გადახდის ნამდვილობის დადგენა და აღნიშნული ბაზრის მესაკუთრედ ცნობა, საკუთრების მოწმობის გაცემის მიზნით.

მოსარჩელის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვანის ცენტრალური აგრარული ბაზრის რეალიზაციის მიზნით გამოცხადებული იყო აუქციონი. მან მეგობრის -რ. მ-ლის დახმარებით საქართველოს ბანკში შეიტანა ბაზრის ღირებულების თანხა 23000 ლარის ოდენობით. მოგვიანებით შეიტყო, რომ აუქციონი გამოცხადდა, მაგრამ არ ჩატარებულა. ვინაიდან თანხა გადახდილი ჰქონდა, მოითხოვა თანხის დაბრუნება ან ბაზრის მესაკუთრედ ცნობა. მიუხედავად მისი არაერთი თხოვნისა, მხოლოდ ჰპირდებოდნენ. დღემდე საკუთრების მოწმობა არ აუღია. აღნიშნული თანხის გადახდით მიაღება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა ბაზრის შესასყიდად თანხის გადახდის დადასტურება და ბაზრის მესაკუთრედ აღიარება.

ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ზ. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ზ. თ-ძეს 2001 წლის 31 დეკემბერს ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი თანხა -23000 ლარი ჩაეთვალა ბაზრის შესასყიდად შეტანილ თანხად და ცნობილ იქნა ვანის აგრარული ბაზრის მესაკუთრედ, საკუთრების მოწმობის გაცემა დაევალა იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

2004 წლის 25 ნოემბერს ვანის რაიკოოპკავშირმა განცხადებით მიმართა ვანის რაიონულ სასამართლოს ამავე სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო დაეყრდნო ყალბ მონაცემებს და ბაზრის მესაკუთრედ ცნო ზ. თ-ძე. 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გამოტანისას ზ. თ-ძეს არანაირი თანხა არ ჰქონდა შეტანილი ბაზრის შესასყიდად. არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი ვანის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ყოფილი უფროსის - ა. ა-ძის მიმართ. განაჩენით დადგენილია, რომ 2004 წლის 15 ოქტომბერს ა. ა-ძემ შეადგინა და გასცა ყალბი ცნობა რ. მინდელის მიერ აგრარული ბაზრის შესყიდვასთან დაკავშირებით ადგილობრივ ბიუჯეტში 23000 ლარის გადახდის თაობაზე. ყალბი ცნობის საფუძველზე გამოტანილ იქნა 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ვანის ბაზარი ცნობილ იქნა ზ. თ-ძის საკუთრებად.

საქმე აცილებლის წესით გადაეგზავნა ბადათის რაიონულ სასამართლოს.

ბადათის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინებით ვანის რაიკოოპკავშირის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება ზ. თ-ძის ვანის შპს «ბაზრის» მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, აღნიშნულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 ივნისის განჩინებებით საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმულ იქნენ ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია და ვანის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის განყოფილება მოპასუხის მხარეზე.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა 2001 წლის 31 დეკემბერს გამოცხადებულ აუქციონზე ვანის აგრარული ბაზრის შესასყიდად მის მიერ 23000 ლარის გადახდილად აღიარება და აღნიშნული ბაზრის მესაკუთრედ ცნობა.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. თ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემომოთხრობილი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. თ-ძემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილებისა და საქმეზე წარმოების განახლების შესახებ ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინება, ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო პალატის სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე – იმერეთის სააღსრულებო ბიურო, რომელიც სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლისა და 287-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა იმერეთის სააღსრულებო ბიურომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვა შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტი ადგენს სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობას, კერძოდ, ასეთს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამავე კოდექსის 201-ე მუხლი ითვალისწინებს საქმეში არსებული საბუთების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის სავალდებულობას. სასამართლომ დაარღვია კანონის აღნიშნული მოთხოვნები, იმერეთის სააღსრულებო ბიუროს არ გაუგზავნა არც სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალებით და არც მათი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი საქმის მასალების ასლები, აღნიშნული ასლები საჩივრის ავტორს დღემდე არ მიუღია.

2007 წლის 13 აგვისტოდან 28 აგვისტომდე იმერეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსი მირიან ხარაბაძე იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, რის გამოც მითითებულ პერიოდში თავის სამსახურებრივ მოვალეობებს ვერ ახორციელებდა. სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები.

საჩივრის ავტორის საქმის განხილვაში მონაწილეობის შემთხვევაში სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, რამდენადაც გარემოებები, რომელზედაც აპელანტი მიუთითებდა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით იმერეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მირიან ხარაბაძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორი – იმერეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსი მ. ხ-ძე 2007 წლის 23 აგვისტოს სასამართლო სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის სხდომაზე მას ხელწერილით ეცნობა 2007 წლის 23 აგვისტოს სხდომის შესახებ. საქმეში არსებული გზავნილით ირკვეოდა, რომ საჩივრის ავტორს, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს, ეცნობა 2007 წლის 29 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის თაობაზე, თან გაეგზავნა სააპელაციო საჩივრის ასლი სამ ფურცლად და წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად მიეცა 5 დღის ვადა. აღნიშნული გზავნილი იმერეთის სააღსრულებო ბიუროს კანცელარიას ჩაბარდა 2007 წლის 28 მაისს 11 საათსა და 40 წუთზე, რაც დასტურდებოდა მასზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ გზავნილში მითითებული 2007 წლის 29 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე საჩივრის ავტორი მ. ხ-ძე გამოცხადდა, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გზავნილი მასში დანართად მითითებული სააპელაციო საჩივრითურთ საჩივრის ავტორს ჩაბარებული ჰქონდა, მაგრამ სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი არ

წარმოუდგენია. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მოთხოვნები სააპელაციო სასამართლოს მიერ დაცული იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მსჯელობა, რომ 2007 წლის 2 აგვისტოს სააპელაციო სასამართლოში საქმის მასალების გადაცემის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო მხარისათვის საქმის განხილვამდე გაეგზავნა საქმის მასალების ქსეროასლები. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისა და მისი განსახილველად მიღების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მოვალეობაა, მოწინააღმდეგე მხარეს გადაუგზავნოს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები და დაუნიშნოს ვადა წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად, რაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დაცული იყო, ხოლო საქმის მასალების ქსეროასლების გადაღება მხარის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა და აღნიშნულის განხორციელებაში მხარისათვის სასამართლოს მხრიდან ხელშეშლის ან შეზღუდვის დამადასტურებელი მტკიცებულება საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმის განხილვის დროისათვის, კუთვნილ შევებულებაში ყოფნის გამო, ვერ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებად, ვინაიდან სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელის შევებულებაში ყოფნა არ აბრკოლებდა ამ ორგანოს სამსახურებრივ ფუნქციონირებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობას წარმოადგენდა. აპელანტი ითხოვდა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებისა და საქმეში მესამე პირად ჩაბმული –ვანის რაიკოოპერატივის არაუფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე მიღებული ამ გადაწყვეტილების წინმსწრები დოკუმენტის –ამავე სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინების გაუქმებას. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად აპელანტი მიუთითებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე, 421-ე-430-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების შეტანის უფლებით სარგებლობენ მხარეები –მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ამდენად, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ის დამაბრკოლებელი გარემოებანი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიურომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განსჯადობით განსახილველად საქმის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

კონკრეტული დავა წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და არა სამოქალაქო-სამართლებრივ დავას, რის გამოც საქმე განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ და საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე. ზ. თ-ძის სარჩელში და სასამართლო გადაწყვეტილებაში სააღსრულებო ბიურო მითითებულია მოპასუხედ, ე.ი. დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით და მოქმედების განხორციელებით ქონების მესაკუთრედ ცნობა. მოცემული დავა უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან სასამართლომ სათანადოდ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ვალდებულება ზ. თ-ძეს, იმერეთის სააღსრულებო ბიუროსა და ვანის რაიკაჟირის შორის, რის საფუძველზეც ზ. თ-ძეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა სადავო ქონებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგინოდა ცნო ფაქტი, რომ 2007 წლის 28 მაისს 11 საათსა და 40 წუთზე იმერეთის სააღსრულებო ბიუროს კანცელარიას ჩაბარდა სააპელაციო საჩივრის ასლი სამ ფურცლად და წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად მიეცა ხუთი დღის ვადა, რაც დასტურდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ამ გზავნილზე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა, კონკრეტულად, ვის და რომელ უფლებამოსილ თანამდებობის პირს ჩაჰბარდა აღნიშნული გზავნილი. გარდა ამისა, განჩინებაზე არ არის კანცელარიის ბეჭედი, რაც კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. კასატორმა 2007 წლის 2 აგვისტოს სააპელაციო სასამართლოს მიმართა საქმიდან ქსეროასლების გადაღების მოთხოვნით, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მას არ გაუგზავნა ქსეროასლები და არც გაუგზავნელობის მიზეზი უცნობებია, რითაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 373-ე მუხლების მოთხოვნები, ასევე ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნა.

კასატორის მოსაზრებით, 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებიდან ასევე გაურკვეველია, კონკრეტულად, როდის ჩაბარდა და საერთოდ ჩაბარდა თუ არა სააპელაციო საჩივარი იმერეთის სააღსრულებო ბიუროს. აღნიშნული განჩინებიდან გამომდინარე, გაუგებარია, იმერეთის სააღსრულებო

ბიუროს სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა 2007 წლის 28 მაისს თუ იმავე წლის 29 ივნისს, რითაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე, 373-ე და 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნა.

კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ვანის რაიკოოპკავშირის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, აღნიშნულ საქმეზე განახლდა წარმოება და 2 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება. კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინება არ საჩივრდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე, 429-ე და 430-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ უნდა გაუქმებინა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ვანის რაიკავშირი თავდაპირველ სარჩელში მითითებულია თანამოპასუხედ, საქმეში არ მოიპოვება სასამართლოს განჩინება, რომლითაც მხარე ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ და საქმეში ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. ვანის რაიონის სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში ვანის რაიკავშირი მითითებულია მესამე პირად, მასში მითითებული არ არის, იგი დამოუკიდებელი მოთხოვნითაა ჩაბმული საქმეში თუ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი თანამოპასუხის პროცესუალური სტატუსის შეცვლის თაობაზე.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და ამავე წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომ კონკრეტულად არ მიუთითა, რომელი კანონი ამართლებს ამ მოთხოვნას იურიდიულად, რითაც ასევე დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორი აღნიშნავს, რომ ზ. თ-მემ 2002 წლის 25 აპრილს ვანის სასამართლოში შეიტანა სასარჩელო განცხადება, სადაც მოპასუხედ დასახელებულია იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ვანის სასამართლო აღმასრულებელი ლ. გ-მე. მოცემულ შემთხვევაში კასატორისათვის გაუგებარია, სააღსრულებო ბიუროს როგორ შელახა მოსარჩელის ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ უცვლელი დარჩება ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააღსრულებო ბიუროს, როგორც არასათანადო მოპასუხე, შეცვლილი უნდა იქნეს სათანადო მოპასუხე ვანის რაიკავშირით, რადგან პროცესის შედეგები პირდაპირ შემხებლობაშია სწორედ რაიკავშირთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე და 387-ე მუხლებით დადგენილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, კერძოდ, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ აპელანტის მოთხოვნას. აღნიშნულ საკითხზე 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებაში მოცემული მსჯელობა სრულიად დაუსაბუთებელია.

ზ. თ-მის სააპელაციო საჩივარი, არსებითად, აგებულია იმ გარემოებაზე, რომ ვანის რაიკოოპკავშირის გამგეობა საქმეზე წარმოადგენდა მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე და არ გააჩნდა ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის უფლება. აპელანტის მოსაზრებით, ვანის რაიკოოპკავშირის საქმეში მესამე პირად ჩაბმას დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ადასტურებდა ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ივნისის მოსამზადებელ სხდომაზე მიღებული განჩინება, რომლითაც დაინიშნა მთავარი სხდომა და დადგინდა სხდომაზე მოსაწვევი პირები. მას შემდეგ, რაც განახლდა საქმის წარმოება, 2006 წლის 14 მარტს რაიკოოპკავშირის საქმეში ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, 2006 წლის 29 მაისის სასამართლო სხდომაზე კი აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე კოოპერატივი კვლავ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება საქმის წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. საქმეში მონაწილე პირის პროცესუალური სტატუსის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა და მართლედ აპელანტის მოსაზრება ვერ შეცვლის აღნიშნულ სტატუსს, თუკი იგი საქმის მასალებით არ დასტურდება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ივნისის მოსამზადებელ სხდომაზე მიღებული

განჩინება, რომლითაც დაინიშნა მთავარი სხდომა და დადგინდა სხდომაზე მოსაწვევი პირები, არ წარმოადგენს ვანის რაიკოოპერატივის, როგორც მოპასუხის, პროცესუალური სტატუსის შეცვლის დამდგენ დოკუმენტს. ზ. თ-მის მიერ სარჩელი აღძრულია თანამოპასუხეების -იმერეთის სააღსრულებო ბიუროსა და ვანის რაიკოოპერატივის გამგეობის მიმართ. ის გარემოება, რომ ვანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 ივნისის განჩინებაში ვანის რაიკოოპერატივის გამგეობა დასახელებულია მესამე პირად, არ ნიშნავს, რომ მან დაკარგა თანამოპასუხის პროცესუალური სტატუსი, რამდენადაც საქმეში არ მოიპოვება არც მოსარჩელის შუამდგომლობა და არც სასამართლოს განჩინება მისი, როგორც თანამოპასუხის სტატუსის შეცვლისა და საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე. აქედან გამომდინარე, ვანის რაიკოოპერატივის გამგეობა მოცემულ საქმეზე წარმოადგენდა არა მესამე პირს, არამედ - თანამოპასუხეს, რომელსაც გადაწყვეტილების გასაჩივრების სრული უფლება ჰქონდა.

ამასთან, ვანის რაიკოოპერატივი, თავისი არსით, საქმეზე წარმოადგენს სწორედ მოპასუხეს სარჩელზე, რამდენადაც სარჩელის დავის საგანია მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ზ. თ-მის საკუთრების უფლების დადგენა, რის გამოც სარჩელის მოთხოვნა უშუალოდ მის მიმართაც არის მიმართული. ზ. თ-მე სასარჩელო მოთხოვნას იმერეთის სააღსრულებო ბიუროსა და თანამოპასუხე ვანის რაიკოოპერატივის მიმართ ამყარებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ აუქციონზე გატანილი ქონება, რომლის შესაძენად მან 23000 ლარი გადაიხადა, წარმოადგენდა ვანის რაიკოოპერატივის გამგეობის კუთვნილებას, თუმცა თანხის გადახდის მიუხედავად იმერეთის სააღსრულებო ბიურომ მის მიერ შენაძენ ქონებაზე შესაბამისი განკარგულება არ გასცა.

ასევე გაურკვეველია, რატომ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რომ საქმის წარმოების განახლებამდე ვანის რაიკოოპერატივი წარმოადგენდა მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე და არა დამოუკიდებელი მოთხოვნით, რამდენადაც საქმის მასალებში ამის თაობაზე არაფერი მოიძებნება.

რაიკოოპერატივის, როგორც მოპასუხის სტატუსი შეცვლილია მხოლოდ საქმეზე წარმოების განახლების შემდგომ, კერძოდ, ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 მარტის საოქმო განჩინებით იგი საქმეში ჩაბმულია მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ხოლო ამის შემდგომ მისი პროცესუალური სტატუსის შეცვლა არ დგინდება. რაც შეეხება ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 მაისის საოქმო განჩინებას, მასში კვლავ საუბარია მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომ რაიკოოპერატივი იყოს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად რაიკოოპერატივის ჩაბმის შესახებ განჩინება საქმეში არ მოიპოვება. ამასთან, ეს ასევე რომ იყოს, აღნიშნულს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა საქმის წარმოების განახლების მართლზომიერების შეფასებისათვის. საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე უფლებამოსილების ქონის საკითხი სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა იმ პროცესუალური სტატუსის გათვალისწინებით, რაც ვანის რაიკოოპერატივს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმის წარმოებაში რეალურად ჰქონდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალების თანახმად, საქმის წარმოების განახლებამდე არ შეცვლილა ვანის რაიკოოპერატივის, როგორც მოპასუხის პროცესუალური სტატუსი, რის გამოც არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის მოტივის გაზიარება, რომ ვანის რაიკოოპერატივი, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირი, არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა საქმის წარმოების განახლება.

სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა, შეიცავდა თუ არა აპელანტის არგუმენტები პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივების გამაქარწყლებელ მსჯელობას. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მისცა შეფასება «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 72-ე-75-ე მუხლებს, რომლის თანახმად, აუქციონზე გატანილი ქონების მყიდველად პირი მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აუქციონი ჩატარდა, ამ პირმა მონაწილეობა მიიღო აუქციონის მსვლელობაში, გაიმარჯვა და მასზე გაიგა სააღსრულებო განკარგულება. სააპელაციო სასამართლომ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება დაუდგინა აპელანტს იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ ფაქტებს სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე ასევე უნდა გაერკვია სარჩელის განსჯადობის საკითხი, კერძოდ, დავა წარმოადგენდა სამოქალაქო-სამართლებრივი თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით განსჯადს და დაიშვებოდა თუ არა მისი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა.

იმავდროულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალური მოთხოვნები დაცული იყო. კერძოდ, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები მისთვის ცნობილი არ ყოფილა და მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება. საქმეში არსებული მასალები არ ასაბუთებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე ინფორმირებულობის თვალსაზრისით აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის თანასწორობის პრინციპის დარღვევას. სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტური პრინციპების - შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს მხარეთა საპროცესო უფლებების განმსაზღვრელი ცალკეული ნორმები, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები გადაეგზავნება მოწინააღმდეგე მხარეს, ასევე, 83-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში და ა.შ.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასების შედეგად დადგენილად მიიჩნევა კასატორისათვის სააპელაციო საჩივრის გაგზავნას. საქმეში წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოს გზავნილი, რომლითაც ირკვევა, რომ იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა ზ. თ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღი, გაგზავნა კორესპონდენცია «3» ფურცლად და განესაზღვრა ვადა სააპელაციო საჩივარზე წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად. მართალია, აღნიშნული გზავნილი არ შეიცავს იმერეთის სააღსრულებო ბიუროსათვის გაგზავნილი კორესპონდენციის დასახელებას, მაგრამ მისი შინაარსი სრულიად ცხადყოფს, რომ მითითებული კორესპონდენცია სწორედ სააპელაციო საჩივრის ასლს წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია სააპელაციო სასამართლოს მეორე სხდომაზე. პირველ სხდომას ესწრებოდა თავად მოწინააღმდეგე მხარის – იმერეთის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელი და მას არ განუცხადებია, რომ სააპელაციო საჩივარი არ ჩაბარდა და არ იცნობს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, ამავე სხდომაზე ვანის რაიკოოპერატივის წარმომადგენელმა საქმის განხილვის გადადება სწორედ ამ მოტივით ითხოვა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს სააპელაციო საჩივრის ასლი გადაეცა და საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადაიდო, ხოლო სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელს ასეთივე პრეტენზია არ განუცხადებია. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მას სააპელაციო საჩივრის ასლი არ ჩაბარებია და სააპელაციო საჩივრის გარემოებანი მისთვის უცნობი იყო.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე ინფორმირებულობის თვალსაზრისით, აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის თანასწორობის პრინციპის დარღვევად ასევე ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროს, მიუხედავად მისი წერილობითი მოთხოვნისა, არ გაგზავნია საქმის მასალების ასლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლში ჩამოთვლილი მხარეთა უფლებების, მათ შორის, საქმის მასალების გაცნობის, ამ მასალების ასლების გადაღების უზრუნველყოფა, ცხადია, სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს სასამართლოს მიერ ამ უფლებათა თავად განხორციელებას, იგი გულისხმობს სასამართლოს მიერ მითითებული უფლებების რეალიზებაში მხარეებისათვის დახმარებას, რისი საწინააღმდეგე მტკიცებულებაც საქმეში არ მოიპოვება, კერძოდ, არ დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ იმერეთის სააღსრულებო ბიუროს საქმის მასალების ასლების მიღებაში ხელი შეუშალა, რის შედეგადაც მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის მომზადების შესაძლებლობა შეეზღუდა. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ იმერეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ საქმის მასალების ასლები მოთხოვნილია ზოგადად, დაკონკრეტების გარეშე, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ამ მასალების ასლების მისაღებად ან საქმის გასაცნობად მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს მიმართა და აღნიშნულზე უარი ეთქვა. გარდა ამისა, იმერეთის სააღსრულებო ბიუროსათვის, რომელიც მოცემულ საქმეში ჩაბმული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოდანვე, ცნობილი იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ამ თვალსაზრისით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის დარღვევას ადგილი არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ისევე როგორც 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ასევე უნდა იმსჯელოს, რამდენად არის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯადი მოსარჩელის მოთხოვნები 2001 წლის 31 დეკემბერს გამოცხადებულ აუქციონზე ვანის აგრარული ბაზრის შესასყიდად მის მიერ 23000 ლარის გადახდილად აღიარებისა და აღნიშნული ბაზრის მესაკუთრედ ცნობის შესახებ. ფაქტობრივად, მოსარჩელე ითხოვს, ჩაეთვალოს სადავო ქონება აუქციონზე შეძენილად. შესაბამისად, მოსარჩელის მიზანია მისთვის, როგორც აუქციონზე სადავო ნივთის შეძენა, სასამართლო აღმასრულებლის მიერ შესაბამისი განკარგულების გაცემა, რაც ხორციელდება «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კანონის 75-ე მუხლის მიხედვით, აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლებამოსილ პირს გადაეცემა სასამართლო აღმასრულებლის შესაბამისი განკარგულება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შეძენილი ქონება, აუქციონზე ქონების შეძენი, შემოთავაზებული ფასი და აუქციონის პირობები. აღმასრულებლის მიერ უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემის შესახებ განკარგულების გამოცემით ხდება აღმასრულებლის მიერ ჩატარებული სააღსრულებო მოქმედებების დამტკიცება, რასაც მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგი, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკვასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროს საკვასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და 2007 წლის 23 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკვასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-28-313-08

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. დ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სს «თელასის» მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დეპარტამენტის ინჟინერ-ინსპექტორად. 2005 წლის 1 აგვისტოს #კ-199 ბრძანებით ის გათავისუფლებილი იქნა სამსახურიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანება უკანონოა, ვინაიდან მას გააჩნია საკმარისი კვლიევაცია და ადმინისტრაციის მხრიდან მისი გათავისუფლებისას დარღვეულ იქნა შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, მისი გათავისუფლება არ ყოფილა შეთანხმებული პროფკავშირებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ გაუქმდეს სს «თელასის» გენერალური დირექტორის 2005 წლის 1 აგვისტოს #კ-199 ბრძანება სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ, აღდგენილი იქნეს სამსახურში, აუნაზღაურდეს იძულებით განაცდური დათხოვნიდან სამუშაოზე აღდგენამდე, მიეცეს ფულადი კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულისათვის, დაეკისროს მოპასუხეს წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯები 500 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 2 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. დ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ გაუქმდა სს «თელასის» გენერალური დირექტორის 2005 წლის 1 აგვისტოს #კ-199 ბრძანება ა. დ-შვილის სს «თელასის» ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დეპარტამენტის ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და იგი აღდგენილი იქნა ამავე თანამდებობაზე. ა. დ-შვილს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან სამსახურში აღდგენამდე. სს «თელასს» ა. დ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები 500 ლარი. მოსარჩელეს უარი ეთქვა გამოუყენებელი შვებულების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილება გაასაჩივრა სს «თელასმა» საჩივრით, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 თებერვლის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. დ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა სს «თელასის» წარმომადგენელმა გ. კ-მემ სააპელაციო საჩივრით.

აპელანტის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ა. დ-შვილის სარჩელის განხილვა დანშული იყო 2006 წლის 16 თებერვალს 15 საათზე. იმავე დღეს 14

საათზე სასამართლო პროცესი ჰქონდა დანიშნული თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც სასამართლო პროცესზე იმყოფებოდა 14 სთ-დან 15⁴⁰სთ-მდე. აღნიშნულის გამო ვერ შეძლო თბილისის საქალაქო სასამართლოში დროულად გამოცხადება და სასამართლოსათვის შეტყობინებინა გამოუცხადებლობის მიზეზებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტმა მოითხოვა 2006 წლის 16 თებერვლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 ივნისის განჩინებით სს «თელასის» წარმომადგენელ გ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 თებერვლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე საჩივრის განხილვის სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

პალატამ განჩინების გაუქმების მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი იმყოფებოდა სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე და მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა საქალაქო სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზებზე.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-შვილმა.

კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 თებერვლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

საქართველოს საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2006 წლის 28 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისი სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 თებერვლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე საჩივრის განხილვის სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია რომ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სს «თელასის» საჩივრის განხილვა დანიშნული იყო 2006 წლის 16 თებერვალს 15 საათზე. დადგენილია ასევე, რომ იმავე დღეს «თელასის» წარმომადგენელს გ. კ-ძეს 14 საათზე სასამართლო პროცესი ჰქონდა დანიშნული თბილისის სააპელაციო სასამართლოში ი. ა-ძის საქმესთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატის მიერ გამოკვლეული იქნა საქმის მასალები და დადგინდა, რომ სააპელაციო სასამართლოში 2006 წლის 16 თებერვალს დანიშნული დღისა და დროის თაობაზე სასამართლო უწყება გ. კ-ძეს არ ჩაჰბარებია, ვინაიდან ასეთი მტკიცებულება საქმეში არ არსებობდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდებოდა ცნობილი იყო თუ არა გ. კ-ძისთვის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დღისა და დროის თაობაზე, გაზიარებული უნდა ყოფილიყო მისი განმარტება, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი დრო ეცნობებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის თაობაზე და მოეთხოვა სს «თელასის» საჩივრის განხილვის გადადება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-შვილმა.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება და მიიჩნევს რომ სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს უწყება არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, კასატორი განმარტავს რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისები, ვინაიდან უსაფუძვლოდ მიანიჭა უპირატესობა სააპელაციო სასამართლოში ი. ა-ძის საქმის განხილვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, სს „თელასის“ საჩივრის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული იყო 2006 წლის 16 თებერვალს 15 საათზე. აღნიშნულის თაობაზე გ. კ-ძეს ეცნობა პირადად 2006 წლის 30 იანვარს. 2006 წლის 16 თებერვალს, იმავე დღეს სს „თელასის“ წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში, აღნიშნული სხდომის თაობაზე კი მას უწყება არ ჰქონდა ჩაბარებული. მითითებულ გარემოებათა ანალიზიდან ჩანს, რომ გ. კ-ძის მონაწილეობით ორი სხდომა ფაქტობრივად ჩატარდა ერთდროულად. აქედან, ერთ პროცესზე მითითებული პიროვნება გაფრთხილებული იყო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე, მეორე შემთხვევაში კი, როგორც სასამართლომ გამოარკვია, სხდომის თაობაზე იგი გაფრთხილებული არ ყოფილა. საპროცესო კანონმდებლობა პირველ შემთხვევაში მხარის გამოუცხადებლობისას ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი), მეორე შემთხვევაში კი არა კოდექსის 233-ე მუხლი). როგორც გ. კ-ძემ სხდომაზე განმარტა,

(აღნიშნული გაიზიარა სასამართლომაც) მას მხარემ სხდომის თაობაზე შეატყობინა სხდომის დღეს. პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოება ვერ იქნება გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიჩნეული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დროისათვის მოქმედი 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სს „თელასის“ წარმომადგენელმა მის მიერ დასასწრები სხვა სხდომის თაობაზე შეიტყო სხდომის დღე, მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა გამოტანილი სს „თელასის“ საქმეზე კი როდესაც უწყება წარმომადგენელს ჩაბარებული ჰქონდა გონივრულ ვადაში, სასამართლო უფლებამოსილი იყო, გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში კი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა იმ სხდომას, სადაც ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის საშიშროება არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებანი სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია საპატიო მიზეზად, რის გამოც სასამართლოს მიღებული განჩინება უნდა გაუქმდეს და სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ა. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-309-566-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ქონების მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ც. ფ-ძემ მოპასუხე გ. ფ-ძის მიმართ უძრავი ქონების მფლობელად და მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

1972 წლიდან დღემდე მოსარჩელე ცხოვრობს თბილისში, ... ქ. #12-ში, ფლობს 15 კვ.მ-ს, რომელიც აჩუქა მისმა ბიძამ, ა.წ. გარდაცვლილმა შ. ფ-ძემ, ხოლო მოპასუხე გ. ფ-ძე არის მისი ბიძაშვილი, რომელიც ედავება ზემოაღნიშნულ ფართს.

2007 წლის 19 მარტს მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა წარადგინა სასამართლოში და თანამოპასუხეებად დაასახელა კ. ფ-შვილი, ლ. ფ-შვილი და ლ. ა-იანი.

მოპასუხე გ. ფ-ძემ აღძრა შეგებებული სარჩელი ც. ფ-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მისი კუთვნილი საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170-173-ე მუხლების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ც. ფ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. ფ-ძის შეგებებული სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა და მოსარჩელე გამოსახლებული იქნა ქ. თბილისში ... ქ. #12-ში მდებარე, გ. ფ-ძის კუთვნილი ფართიდან.

2007 წლის 23 აპრილს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ც. ფ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 ივნისის განჩინებით ც. ფ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ფ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით ც. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 იანვრის განჩინება და 2007 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ც. ფ-ძეს და მის წარმომადგენელს ეცნობათ 2007 წლის 16 აპრილის სხდომასა და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების 241-ე და 233-ე მუხლების გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. ფ-ძემ.

კასატორის აზრით, მისი სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით კერძოდ მის რწმუნებულს დ. ჯ-ძეს გარდაეცვალა ბაბუა და იყო რაიონში ამის შესახებ აცნობა სასამართლოს წინასწარ 2007 წლის 14 აპრილს, ვინაიდან არ შეეძლო მართო მისი ინტერესების დაცვა, რისთვისაც მიმართა სხდომის გადადების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს არსებობს თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო სასამართლო სხდომაზე და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ (სსკ-ის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა«» ქვეპუნქტი). მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, სასამართლო გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ დაადგენს, რომ მხარისათვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

საქმის განხილვის მომენტისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებთ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი და ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. კანონის აღნიშნული ნორმა სასამართლოს ავალდებულებს სხდომისა თუ სხვა საპროცესო მოქმედების შესახებ, როგორც მხარის ისე მისი წარმომადგენლისათვის შეტყობინების აუცილებლობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს არ უმსჯელია, ჩაბარდა თუ არა ც. ფ-ძის წარმომადგენელ დ. ჯ-ძეს უწყება იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გამოერკვია, ეცნობა თუ არა მხარისა და მის წარმომადგენლს სასამართლო სხდომის დრო, მხოლოდ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შემდეგ შეეძლო მას ემსჯელა მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც. ფ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-355-607-08

15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 10 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. და ნ. ფ-შვილების კანონიერმა წარმომადგენელმა მ. წ-ელმა მოპასუხე ლ. ფ-შვილის მიმართ უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე.

სასარჩელო განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მ. წ-ელი არის არასრულწლოვანი ნ. და გ. ფ-შვილების დედა. თბილისში, ... მე-2 მ/რ-ის 47-ე კორპუსში მდებარე #12 ბინა, რომელშიც ბავშვების მამა გ. ბ. ძე ფ-შვილი ცხოვრობდა, არ არის პრივატიზებული. ამ ბინაზე 1976 წლის 15 ივლისს ლ. ფ-შვილის მეუღლის -ბ. ვ-ევის სახელზე გაიცა ორდერი, რომლის მიხედვით ოჯახის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბ. ვ-ევი, ლ. ფ-შვილი და მოსარჩელების მამა -გ. ბ. ძე ვ-ევი. 1990 წლის 8 ივნისს ... მამის განყოფილებაში გ. ბ. ძე ვ-ევი შეიცვალა გვარი ფ-შვილით (დედის გვარი). გ. ბ. ძე ფ-შვილი გარდაიცვალა 2006 წლის 1 ივლისს. 2007 წლის 2 თებერვალს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ... სამსახურის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების #18 დასკვნით, გარდაცვლილის დედის განცხადების საფუძველზე, გ. ფ-შვილის დაბადების, გარდაცვალებისა და გვარის შეცვლის აქტის ჩანაწერებში მისი გვარი შესწორდა ფ-შვილზე, მამის გვარი ვ-ევზე, დედის გვარი კი -ფ-შვილზე. მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებში გვარებს შორის არსებული ურთიერთგამომრიცხავობა და შეუსაბამობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ნოტარიუსმა 2007 წლის 13 მარტის #3 და #4 დადგენილებებით არასრულწლოვნების კანონიერ წარმომადგენელ მ. წ-ელს უარი უთხრა გარდაცვლილი პაპის -ბ. ვ-ევისა და მამის -გ. ფ-შვილის სამკვიდრო ქონებაზე კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

იმის მიუხედავად, რომ სადავო ბინაში ლ. ფ-შვილთან ერთად მისი შვილიშვილებიც იყვნენ ჩაწერილი, მან მეუღლისა და შვილის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში განცხადებით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებოს და იმ საფუძველით, რომ მითითებულ ბინაში მხოლოდ თვითონ იყო რეგისტრირებული, პრივატიზაციის ხელშეკრულების მასთან გაფორმება მოითხოვა. აღნიშნული ქმედებით ლ. ფ-შვილი ცდილობდა ბინის ერთპიროვნული მესაკუთრე გამხდარიყო, რის შედეგადაც მისი შვილიშვილები უბინოდ დარჩებოდნენ.

მას შემდეგ, რაც მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენელ მ. წ-ლისათვის ცნობილი გახდა, რომ ლ. ფ-შვილი სადავო ბინაში არასრულწლოვანი შვილიშვილების კუთვნილი წილების პრივატიზაციას შეგნებულად ხელს უშლიდა, მან აღნიშნული მოთხოვნით განცხადებით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებოს. თავდაპირველად, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის 2006 წლის 15 აგვისტოს პასუხით მ. წ-ელს განემარტა, რომ საცხოვრებელი ბინის თანამესაკუთრეებად გ. და ნ. ფ-შვილები შეიძლება შეყვანილი ყოფილიყვნენ, თუმცა საბოლოოდ, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის 2006 წლის 1 ნოემბრის პასუხით მ. წ-ელს უარი ეთქვა სადავო ბინაში არასრულწლოვანი შვილიშვილების კუთვნილი წილების პრივატიზაციის მოთხოვნაზე. აღნიშნული უარი განპირობებული იყო ლ. ფ-შვილის ბრალულობით, ეს უკანასკნელი ბინის არასრულწლოვანი შვილიშვილების სახელზე აღრიცხვის პროცესს შეგნებულად ხელს უშლიდა, რაზეც მოსარჩელეთა წარმომადგენლის მიერ შესაბამის ორგანოებში აღძრული იყო სისხლის საქმე. ამასთან, გამგებოს ზემოაღნიშნული წერილის ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციულ სასამართლოში დავა მიმდინარეობდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კი, რომელმაც გამგებოს წერილი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო, მხარეს სააპელაციო წესით ჰქონდა გასაჩივრებული.

იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი შვილიშვილების მიერ კუთვნილი წილის მიუღებლობის მიზნით ლ. ფ-შვილს განხორციელებული ჰქონდა არაერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მოსარჩელეთა კანონიერი წარმომადგენლის აზრით, არსებობდა მისი უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ისეთ ვითარებას, როდესაც ერთ-ერთი მემკვიდრე განზრახ ხელს უშლიდა მისი ახლობელი პირების (ამ შემთხვევაში შვილიშვილების) მიერ სამკვიდროდან კუთვნილი წილის მიღებას და ცდილობდა მიეთვისებინა მთელი სამკვიდრო, რაც სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხის უღირს მემკვიდრედ მიჩნევისათვის საკმარის პირობას წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. და ნ. ფ-შვილების კანონიერ წარმომადგენელ მ. წ-ლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოსარჩელეთა კანონიერმა წარმომადგენელმა მ. წ-ელმა საჩივარი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორის მითითებით, 2007 წლის 27 ივლისის სასამართლო სხდომაზე მისი დროულად გამოუცხადებლობა განპირობებული იყო ობიექტური მიზეზით. აღნიშნულ სხდომამდე ერთი დღით ადრე, მოცემული საქმის მასალების გაცნობისას, მან აღმოაჩინა, რომ საქმიდან ამოღებული იყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი რიგი მტკიცებულებები, რომლებსაც სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა. სწორედ ამ მტკიცებულებების ხელახლა მოსაპოვებლად, სასამართლო სხდომის დღეს, მას მოუხდა კუთვნილი ავტომანქანით ხშირი გადაადგილება, ხოლო იმ დროს, როდესაც ის უკვე სასამართლო სხდომაზე დასასწრებად მიდიოდა, ავტომანქანა დაზიანდა. იგი იძულებული გახდა, მანქანა უახლოეს სერვის-ცენტრში გადაეყვანა, თვითონ კი ტაქსით წასულიყო, თუმცა აღნიშნულის გამო მაინც დააგვიანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 სექტემბრის საოქმო განჩინებით მ. წ-ლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლო-სათვის. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 233-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია და არც რაიმე საპატიო მიზეზის შესახებ არსებობდა მტკიცებულება.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. წ-ელმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

აპელანტმა არ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2007 წლის 27 ივლისის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ არსებობდა, რამდენადაც მითითებული დასკვნა მტკიცებულებათა სრული და ობიექტური გამოკვლევიდან არ გამომდინარეობდა. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მოპასუხის განმარტებას, რომელიც აცხადებდა, რომ მოსარჩელის ავტომანქანა დაინახა, იმ პირობებში, როდესაც მან ამ ავტომანქანის არც სახეობა და არც ფერი არ იცოდა. იმავდროულად, მ. წ-ელმა თავისი მოთხოვნის მართლზომიერების დასადასტურებლად სააპელაციო საჩივართან ერთად წარადგინა შპს «სილქროუდ მოტორსის» ოსტატის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც სასამართლო სხდომის დროს ავტომანქანის დაზიანების ფაქტს ადასტურებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით გ. და ნ. ფ-შვილების კანონიერ წარმომადგენელ მ. წ-ლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ 2007 წლის 27 ივლისის პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რადგან მას გაუფუჭდა ავტომანქანა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონით გათვალისწინებული ორი შემთხვევიდან (მოსარჩელის და მოპასუხის გამოუცხადებლობა) თავად კანონმდებელი აწესებს ერთგვარად უფრო მკაცრ სანქციას მოსარჩელის (აპელანტის) გამოუცხადებლობის გამო, რადგან დავა სასამართლოში აღიძვრის სწორედ სარჩელის წარდგენით, მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ მოწმდება სარჩელის იურიდიული მხარე, რასაც ადგილი აქვს მოპასუხის გამოუცხადებლობის დროს. მოსარჩელის მხრიდან თავად კანონმდებელი მოითხოვს წინდახედულობის ნორმათა მომეტებულად დაცვას სასამართლო პროცესზე გამოცხადებასთან მიმართებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგზაო მოძრაობისას წარმოქმნილი შეფერხება წარმოადგენდა ჩვეულებრივ მოვლენას, რომელიც წინდახედულობის ნორმებიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მოსარჩელის მიერ. ამდენად, საგზაო შეფერხება მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება ჩათვალილიყო 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. და ნ. ფ-შვილების კანონიერმა წარმომადგენელმა მ. წ-ელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

კასატორისათვის გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საგზაო მოძრაობისას წარმოქმნილი შეფერხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს, რამდენადაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგინდა იქნა მიჩნეული, რომ 2007 წლის 27

ივლისის სხდომაზე მ. წ-ლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, აპელანტის ავტომანქანის დაზიანებით. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს შპს «სილქროუდ მოტორსის» ცნობა, რომელსაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

მოცემული საქმის კანონდარღვევით განხილვას ასევე ასაბუთებს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილისა და 30 აპრილის განჩინებებით მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრება, მაშინ როდესაც სახეზეა არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სარჩელი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ასეთ სარჩელზე მოსარჩელები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. და ნ. ფ-შვილების კანონიერი წარმომადგენლის -მ. წ-ლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობაა მთავარ სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობა.

მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობაში, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი მიუთითებს, იგულისხმება, რომ საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა და მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ მოსარჩელემ დაკარგა საქმის განხილვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას განაპირობებს, ერთი მხრივ, ვარაუდი საქმის განხილვის მიმართ მისი ინტერესის არარსებობის შესახებ და, იმავდროულად, იგი ისჯება თავისი არაკეთილსინდისიერებისათვის, რაც, მიწვევის მიუხედავად, სასამართლო სხდომაზე საერთოდ გამოუცხადებლობაში მდგომარეობს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის სხდომაზე, რომელზეც მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოვიდა, გრძელდებოდა 2007 წლის 10 ივლისის მთავარ სხდომაზე დაწყებული საქმის განხილვა. 2007 წლის 10 ივლისის სხდომაზე მოსარჩელე -კანონიერი წარმომადგენელი მ. წ-ელი გამოცხადებული იყო და მონაწილეობდა საქმის განხილვაში, სასამართლომ მოისმინა მხარეთა, მათ შორის, მოსარჩელის ახსნა-განმარტება, დაისვა შეკითხვები და სხდომა შეწყდა მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიაზე. ამ სხდომაზე მოსარჩელემ სასამართლოსადმი მიცემულ განმარტებაში მხარი დაუჭირა სარჩელს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. ვინაიდან 10 ივლისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე გამოცხადებული იყო და მხარეთა ახსნა-განმარტებებიც მოსმენილი იყო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას კი საფუძველად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოსარჩელე სასამართლო სხდომაზე საერთოდ არ ცხადდება და უარს ამბობს მის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე, სასამართლოს არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უფლება ჰქონდა, მიეღო არა დაუსწრებელი, არამედ -საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე გადაწყდებოდა არსებითად.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელის გამოუცხადებლობას მთავარი სხდომის დაწყებამდე ექნებოდა ადგილი, ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის გამოუცხადებლობის არასაპატიობის შესახებ ექვემდებარებოდა გაზიარებას, მით უფრო, როდესაც მისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე ცნობა მოსარჩელეს თავის დროზე არ წარუდგენია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის და არც ამ ცნობის თავის დროზე წარუდგენლობის საპატიო გარემოებებზე მიუთითებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ექვემდებარება გაუქმებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება

#ას-566-796-08

8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 19 აგვისტოს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. ყ-მემ მოპასუხეების: სს «ავტოვაგზალ დიდუბის» და შპს «ტრანსჯორჯია-2002-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სს «ავტოვაგზალ დიდუბის» სამეთვალყურეო საბჭოს 2002 წლის 23 ოქტომბრის #2 სხდომის ოქმისა და მხარეებს შორის დადებული 2002 წლის 31 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზ. ყ-მე 1996 წლიდან არის სს „ავტოვაგზალ დიდუბის» აქციათა 15%-ის მფლობელი. სააქციო საზოგადოების დაფუძნების პირველ წლებში, როგორც მსხვილი აქციონერი, იღებდა დივიდენდს, რომლის ოდენობის მიმართ პრეტენზია არ ჰქონია. 1998-2002 წლებში დივიდენდის ოდენობამ მკვეთრად იწყო კლება. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების მიზნით მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას, მაგრამ უარი მიიღო. ამ პერიოდში სააქციო საზოგადოების დირექტორმა მ. თ-მემ დატოვა თანამდებობა და იმავე იურიდიულ მისამართზე შექმნა შპს „ტრანსჯორჯია-2002“. 2002 წლის 23 ოქტომბერს ჩატარდა სს „დიდუბის ავტოვაგზალის» სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით გაიცა ნებართვა საზოგადოების კუთვნილი ქონების იჯარით გაცემაზე. 2002 წლის 31 ოქტომბერს სს „დიდუბის ავტოვაგზალსა» და შპს „ტრანსჯორჯია-2002-ს» შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც სს „დიდუბის ავტოვაგზალის» მთელი ქონება გადაეცა მოიჯარეს.

მოსარჩელის აზრით, სს „დიდუბის ავტოვაგზალის» ხელმძღვანელობამ დაარღვია „მეწარმეთა შესახებ» კანონის 9.7 მუხლი, რადგან გაფორმდა საზოგადოებისათვის არახელსაყრელი გარიგება. ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 56-ე მუხლების საფუძველზე გარიგება ბათილია, რამდენადაც იგი დადებულია კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად და დასაფარავად.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ყ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი სს „დიდუბის ავტოვაგზალსა» და შპს „ტრანსჯორჯია-2002-ს» შორის 2002 წლის 31 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება, მოსარჩელის მოთხოვნა სს «დიდუბის ავტოვაგზალის» სამეთვალყურეო საბჭოს 2002 წლის 23 ოქტომბრის #2 ოქმის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სადავო იჯარის ხელშეკრულებით სს «ავტოვაგზალი დიდუბის» მთელი ქონება იჯარით გადაეცა შპს «ტრანსჯორჯია-2002-ს», საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენდა 35000 ლარს. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სადავო იჯარის ხელშეკრულების დადებით მისმა მონაწილეებმა, ფაქტობრივად, მოახდინეს საზოგადოების ლიკვიდაცია, რადგან როგორც წარმატებულადაც არ უნდა გამოიყენოს მოიჯარემ გადაცემული ქონება და რაოდენ დიდი შემოსავლებიც არ უნდა მიიღოს, საიჯარო ქირა სააქციო საზოგადოებისათვის წელიწადში მაინც 35000 ლარი იქნება. სასამართლოს მოსაზრებით, იჯარის ხელშეკრულება არ იყო დადებული საზოგადოების ინტერესებში და ნამდვილი იურიდიული შედეგის მისაღწევად.

მითითებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს „დიდუბის ავტოვაგზალსა» და შპს „ტრანსჯორჯია-2002-მა», რომლებმაც მოითხოვეს აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით სს «ავტოვაგზალ დიდუბისა» და შპს «ტრანსჯორჯია-2002-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. ყ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საოლქო სასამართლოს 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ყ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2006 წლის 24 მარტის განჩინებით გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს «ავტოვაგზალ დიდუბისა» და შპს «ტრანსჯორჯია-2002-ის» სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება ზ. ყ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების (შპს «ტრანსჯორჯია-2002-სა» და სს «ავტოვაგზალ დიდუბეს» შორის 2002 წლის 31 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობის) ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; არ დაკმაყოფილდა ზ. ყ-ძის სარჩელი შპს «ტრანსჯორჯია-2002-სა» და სს «ავტოვაგზალ დიდუბეს» შორის 2002 წლის 31 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის სხდომის თაობაზე კანონით დადგენილი წესის დაცვით შესაბამისი შეტყობინებები გაეგზავნა, როგორც უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარეს, ისე მის წარმომადგენლებს (მათ შორის, წარმომადგენელი ნ. კ-შვილი წინა სასამართლო სხდომას პირადად ესწრებოდა), ხოლო დასახელებულ სხდომაზე არც ერთი მათგანი არ გამოცხადებულა და არც სასამართლოსათვის უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზები, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების საფუძველი. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რომელიც 372-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოიყენება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვისას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარში მითითებული დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (სს «ავტოვაგზალ დიდუბესა» და შპს «ტრანსჯორჯია-2002-ს» შორის 2002 წლის 31 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება არ არის დადებული მოსაჩვენებლად და სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ) იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნას, რაც გულისხმობდა გასაჩივრებულ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მხარეებს შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ ზ. ყ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ზ. ყ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას აღნიშნული სხდომის დროის თაობაზე მის შეუტყობინებლობას უკავშირებს, რის შესაბამისადაც თავის კანონიერ ინტერესებს დარღვეულად მიიჩნევს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით ზ. ყ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალების შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები; საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებდა იმ გარემოებას, რომ მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სპატიო მიზეზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას დაექვემდებარა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ყ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორის მტკიცებით, ის გარემოება, რომ სასამართლო უწყება მას პირადად არ ჩაჰპარებია, სასამართლო სხდომის დროის შესახებ მის არაინფორმირებულობაზე მიუთითებს და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას განაპირობებს, რასაც სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ყ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება ის გარემოება, რომ 2007 წლის 25 სექტემბრის სხდომის დროსა და ადგილის შესახებ სასამართლო უწყებები გაეგზავნა როგორც მოწინააღმდეგე მხარეს -ზ. ყ-ძეს, ისე მის წარმომადგენლებს -გ. ა-ძეს და გ. გ-შვილს. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით ირკვევა, რომ გ. გ-შვილის სახელზე გაგზავნილი სასამართლო უწყება 2007 წლის 9 ივლისს ჩაჰპარდა მისი ოჯახის წევრს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ითვლება მისთვის უწყების ჩაბარებად. საქმის მასალებით დგინდება, რომ 2007 წლის 25 სექტემბრის სხდომის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო აგრეთვე ზ. ყ-ძის მეორე წარმომადგენელი ნ. კ-შვილი, რომელიც ესწრებოდა წინა სასამართლო სხდომას, რა დროსაც ჩამოერთვა ხელწერილი მომდევნო სხდომის დროსთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებას -სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობა არ მომხდარა, რის გამოც მითითებული საფუძვლით საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვითარებას აქვს ადგილი. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. რამდენადაც მხარეს სააპელაციო სასამართლოსათვის არ უცნობებია სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზებზე, სასამართლო გამოუცხადებლობის საპატიობის შესახებ ვერ იმსჯელებდა.

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მომჩივანის ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლის არსებობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. აპელანტი, რომლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასაც სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა წარმოადგენდა, მიუთითებდა აღნიშნული ხელშეკრულების საზოგადოების ინტერესებში დადების გარემოებებზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასახელებული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებულად მიჩნევის და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. ყ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა
განჩინება**

#ას-634-858-08 8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ს-მისა და სს «ტყიბულნახშირის» მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უსაფუძვლოდ ცნობა და მოსარჩელის სასარგებლოდ ზედმეტად გაცემული თანხის ანაზღაურება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით სსიპ «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის» სარჩელი დაკმაყოფილდა, უსაფუძვლოდ იქნა აღიარებული სს «ტყიბულნახშირის» მიერ ვ. ს-მისათვის, მარჩენალის გარდაცვალების გამო, ზიანის ანაზღაურების სახით სარჩოს დანიშვნა, მოპასუხეებს სს «ტყიბულნახშირისა» და ვ. ს-მეს სოლიდარულად დაეკისრათ უსაფუძვლოდ დარიცხული და მიღებული თანხის სსიპ «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის» სასარგებლოდ ანაზღაურება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელ შ. კ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატის მთავარი სხდომა დაინიშნა 2008 წლის 21 მარტს, რის შესახებ სასამართლო უწყება სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, თუმცა მხარე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: ვ. ს-მემ სააპელაციო საჩივარში არასწორად მიუთითა კასატორის ცენტრალური ქ. თბილისის ოფისის მისამართი, ფაქტობრივად კი მან იცოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მისამართი იყო ქ. ქუთაისი, ... ქ. #21. აღნიშნულის გამო სასამართლო უწყება კასატორმა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ შეიტყო მხოლოდ 2007 წლის 24 მარტს და სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ვერ მოახერხა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ვ. ს-მის სააპელაციო საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დაინიშნა 2008 წლის 21 მარტს. აღნიშნულის შესახებ როგორც ვ. ს-მეს, ისე საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე ეცნობათ.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ დროს მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია. აპელანტის

შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებული განჩინებით დარჩა უცვლელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კანონით დადგენილი წესით არ დაუსაბუთებია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების უცვლელად დატოვებისას სავსებით სწორად განმარტა და გამოიყენა ამავე კოდექსის 241-ე მუხლი, რომელის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებულ სასამართლოში საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზად კასატორი მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მას სასამართლო უწყება 2008 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე გაეგზავნა ვ. ს-მის მიერ სააპელაციო საჩივარში არასწორად დაფიქსირებულ, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქ. თბილისის ცენტრალური ოფისის მისამართზე, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #56-ში ფაქტობრივად, ვ. ს-მისათვის ცნობილი იყო კასატორის რეალური მისამართი -ქ. ქუთაისი, ... ქ. #21. აღნიშნულის გამო მხარეს სასამართლო უწყება ჩაჰბარდა დაგვიანებით -2008 წლის 24 მარტს და სასამართლოში დროულად გამოცხადება ვერ შეძლო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მხარის აღნიშნულ არგუმენტს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სავსებით სწორად გაუგზავნა სასამართლო უწყება ქ. თბილისში, ... ქ. #51-ში, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას მოსარჩელეს სასამართლო უწყებები ეგზავნებოდა და ბარდებოდა სწორედ სასარჩელო განცხადებაში კასატორის მიერვე მითითებულ მისამართზე (ქ. თბილისი, ... ქ. #51), რის გამოც სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს და სასამართლოს მიერ დადგენილ დროს იგი სასამართლოში დაუბრკოლებლივ ცხადდებოდა.

ამდენად, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია ვ. ს-მის მიერ სააპელაციო საჩივარში არასწორი მისამართის მითითების შესახებაც, რადგან მოსარჩელეს ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შეეძლო, მოეთხოვა სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედებების შეტყობინება მისთვის სასურველ მისამართზე, რაც მას არ განუხორციელებია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 21 მარტს სადავო სასამართლო სხდომის დანიშნის შესახებ კასატორის ცენტრალურ ოფისს ქ. თბილისში, ... ქ. #51-ში გაგზავნილი სასამართლო უწყება ჩაბარდა 2008 წლის 30 იანვარს და მხარეს საკმარისი დრო ჰქონდა საქმის განხილვის თარიღი ეცნობებინა სააგენტოს ქ. ქუთაისის ოფისისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება

განჩინება

#ას-974-1275-07

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმებისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 30 იანვარს ნ. შ-იამ და მ. ჭ-ძის სამკვიდროს მმართველმა ნ. ქ-მემ სარჩელი აღძრეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გ. და თ. ჩ-შვილების მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, მათსა და მოპასუხეს -გ. ჩ-შვილს შორის საზიარო უფლების გაუქმება უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, . . ., მე-3 ჩიხი, #7-ზე; მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს მათი კუთვნილი ქონებიდან თ. ჩ-შვილის გამოსახლება მასთან მყოფ პირებთან ერთად.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 13 დეკემბერს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე გ. და თ. ჩ-შვილებმა შეიტანეს საჩივარი. ამავე სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა საჩივარი, გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

2005 წლის 20 ივნისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოპასუხეები. სასამართლომ მათი გამოუცხადებლობა არასაკატიოდ მიიჩნია და მიიღო მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ნ. შ-იას და მ. ჭ-ძის სამკვიდროს მმართველის -ნ. ქ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ, გაუქმდა მოსარჩელების და გ. ჩ-შვილის საზიარო უფლება ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, . . .ს მე-3 ჩიხში და მოსარჩელებს ნატურით გამოეყოთ საკადასტრო რუქის მიხედვით შენობა-ნაგებობები #1 2 ქს დანგრეული შენობით, შენობა #3, საპირფარეო #5 და 810 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქუჩაზე ნაჩვენები მწვანე ზოლის ფარგლებში; თ. ჩ-შვილი თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნა მოპასუხეთა წილი უძრავი ქონებიდან, ქ. თბილისში, . . . მე-3 ჩიხის #7-ში.

სასამართლოს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს გ. და თ. ჩ-შვილებმა.

2007 წლის 13 თებერვლის განჩინებით გ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

2007 წლის 13 თებერვალს სააპელაციო სასამართლოში მთავარ სხდომაზე აპელანტის, თ. ჩ-შვილის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2007 წლის 4 აპრილს, თ. ჩ-შვილის წარმომადგენელმა ე. ბ-უზმა საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით თ. ჩ-შვილის წარმომადგენლის ე. ბ-უზის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის განმარტებას იმის გამო, რომ არ ჩაბარდა უწყება სხდომის დღის შესახებ. საქმის მასალებში წარმოდგენილ შეტყობინებაზე საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ, რომლითაც აპელანტს ეცნობა სააპელაციო სასამართლოში 2007 წლის 13 თებერვალს 10.30 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე, ხელმოწერა „ჩ-შვილი«, შესრულებულია გრაფაში -„პირადად«, აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოსათვის უწყების აპელანტისათვის -თ. ჩ-შვილისათვის ჩაბარების ფაქტი, დადასტურებულია. სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ გარემოებას, სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი არ აყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინება სკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-შვილის წარმომადგენელმა ე. ბ-უზმა.

კასატორის აზრით, მიღებული გადაწყვეტილებისას სასამართლომ არა მარტო არ გამოიყენა ის კანონები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა, არამედ ის, რაც გამოიყენა; უხეშად იყო დარღვეული უფლებები და ინტერესები, რომლებიც აუცილებლად იქნება დადასტურებული და აღდგენილი, რადგან ამ შემთხვევებში მათი მოთხოვნები კანონიერია და გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

კასატორის წარმომადგენლის განცხადებით მხარისათვის ცნობილი არ იყო სხდომის დღის შესახებ, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა მიეღო გადაწყვეტილება მხარის მონაწილეობის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მითითებით, სასამართლოს არ უნდა გამოეტანა განჩინება, რადგან სასამართლომ საქმე არსებითად გადაწყვიტა მაშინ როდესაც თ. ჩ-შვილის წინააღმდეგ გამოიტანა 2007 წლის 13 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ მოსაზრებას პალატა ვერ გაიზიარებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობას და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, მას უნდა გამოეტანა განჩინება; ამასთან მითითებული განჩინებით საქმე არსებითად არ გადაწყვეტილია, არამედ უცვლელად იქნა დატოვებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ აზრსაც, რომ სასამართლომ აღნიშნული განჩინება უკანონოა, რადგან იგი მიღებულია მხარის მონაწილეობის გარეშე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს ასეთი უფლებამოსილება გააჩნია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თამარ ჩოხმახიშვილის სარჩელის და სააპელაციო საჩივრის განხილვისას გამოტანილია არაერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არაერთხელ გადადებულია სასამართლო სხდომა. აღნიშნული ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარე საქმის გაჭიანურების მიზნით შეგნებულად თავს არიდებს სხდომაზე გამოუცხადებლობას. ეს თავისთავად ერთ-ერთი არგუმენტი იმისა, რომ მისი გამოუცხადებლობა არ იქნეს მიჩნეული საპატიო მიზეზად.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, იგი არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებით და მოკლებულია შესაძლებლობას თვითონ დაადგინოს ასეთი ფაქტები თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლისა.

პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

თამარ ჩოხმახიშვილის წარმომადგენლის ე. ბ-უზის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინება

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

განჩინება

ას-407-757-07

27 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე

დავის საგანი: საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ერდომ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ერდომ-94-ის« მიმართ და მოითხოვა მოპასუხის რეგისტრაციის თაობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის დადგენილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით: ცეკავშირის გამგეობის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით ცეკავშირის გაერთიანება „საქკოოპმომარაგების« ფირმა „კოოპსათობის« შემადგენლობაში შეიქმნა შპს „ერდომ-94“, რომელიც რეგისტრირებულ იქნა ახალციხის რაიონის გამგეობის 1994 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით. ფირმა „კოოპსათობმა« და ცეკავშირის ახალციხის უნივერსალურმა ბაზამ შპს „ერდომ-94-ის« საწესდებო კაპიტალში შეიტანეს უძრავ-მოდრავი ქონება, კერძოდ, «კოოპსათობმა» -3 ავტოგასამართი სადგური, ხოლო ცეკავშირის ახალციხის უნივერსალურმა ბაზამ - ძველი ადმინისტრაციული შენობა, რკინიგზის პირას მდებარე საწყობის შენობა, ავტომანქანა თავისი მისაბმელით და 3 ცალი ავტომტვირთავი. შპს «ერდომ-94-ის» პარტნიორები გახდნენ ასევე 9 ფიზიკური პირი: ჯ. ფ-შვილი, ჯ. ო-შვილი, თ. ქ-ძე, თ. ხ-ძე, რ., დ., თ., რა. და ა. ს-შვილები, რომელთა შორის 1994 წელს გაფორმდა შპს «ერდომ-94-ის» სადამფუძნებლო ხელშეკრულება და დასახელებულმა პირებმა ვალდებულება იკისრეს, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეეტანათ თითოეულს 10 მლნ კუპონი, სულ -90 მლნ კუპონი. ამდენად, საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 113492237 კუპონი. 1994 წლის 24 ივნისიდან ახალი შპს «ერდომ-94-ის» რეგისტრაციამდე საზოგადოების საწესდებო კაპიტალმა, პარტნიორთა შემადგენლობამ და ხელმძღვანელობამ განიცადა არა ერთი ცვლილება, თუმცა აღნიშნული დოკუმენტურად არ გაფორმებულა. ასევე არ ჩაბარებულა არც ერთი წლის ბალანსი. შპს «ერდომ-94-ის» «მეწარმეთა შესახებ» კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია, თუმცა 1995 წლის 26 აპრილს ჩაერთო გადასახადის გამამხდელთა რეესტრში და მიიღო საიდენტფიკაციო ნომერი. აღნიშნული მომენტისათვის ახალციხის საგადასახადო ინსპექციაში შევსებული სარეგისტრაციო ფორმის მიხედვით, საზოგადოების საწესდებო ფონდი შეადგენდა 6512810000 კუპონს. 1995 წლის 1 მარტიდან საზოგადოება ითვლებოდა უკანონო იურიდიულ პირად, თუმცა მისმა ხელმძღვანელობამ საზოგადოების ბეჭედი ახალციხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას გასანადგურებლად ჩააბარა ხუთი წლის გასვლის შემდეგ. 1996 წლის 15 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ფირმა „კოოპსათობის« ხელმძღვანელობამ გააუქმა შპს „ერდომ-94-ის« საწესდებო კაპიტალში შეტანილი წილი -3 ავტოგასამართი სადგური, რომლის საბალანსო ღირებულება ახალი ფასებით იყო 17376 ლარი. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის დადგენილებით დარეგისტრირდა შპს „ერდომ-94" 81300 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 1994 წელს რეგისტრირებული შპს «ერდომ-94-ის» საწესდებო კაპიტალში ცეკავშირის ახალციხის ყოფილი უნივერსალური ბაზის მიერ შეტანილ ქონების ღირებულებას. რაც შეეხება ფიზიკური პირების მიერ შეტანილ წილს, 1994 წლის 24 ივნისიდან 2000 წლის 30 ივნისამდე შესაბამისი დოკუმენტაციის არარსებობის გამო, მისი ბედის დადგენა შეუძლებელია. აუდიტის მიერ შეფასებული 81300 ლარის ღირებულების ქონებიდან უსაფუძვლოდ და კანონის უხეში დარღვევით, 64800 ლარის ქონება (79,7%) მიეკუთვნათ ს-შვილებს, ხოლო აღნიშნული ქონების რეალური მესაკუთრის უფლებამონაცვლე სს «ერდოს» კი მხოლოდ 16500 ლარის (20%) ქონება. «კოოპსათობის» შემადგენლობაში შპს «ერდომ-94-ის» შექმნის შესახებ 1994 წლის 27 აპრილს ცეკავშირის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე შპს «ერდომ-94-ის» ხელმძღვანელობას ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმების გარეშე უფლება არ ჰქონდა, გაესხვისებინა ან ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა საწესდებო კაპიტალში შეტანილი ცეკავშირის კუთვნილი ქონება. ცეკავშირის აღნიშნული დადგენილების მიხედვით, შპს «ერდომ-94-ის» მოგებიდან ყველა სახის გადასახადის გადახდის შემდეგ უნდა დარჩენოდა მოგების 70%, ხოლო 30% გადაერიცხა ცეკავშირისათვის, რაც არ შესრულებულა. შპს «ერდომ-94-ის» რეგისტრაციიდან -1994 წლის 24 ივნისიდან საზოგადოების ხელახლა რეგისტრაციამდე -2000 წლის 30 ივნისამდე შპს «ერდომ-94-ის» ხელმძღვანელობას ცეკავშირის გამგეობის ანგარიშზე თანხა არ გადაურიცხავს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ სადავო რეგისტრაცია განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ერდოს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა შპს „ერდო-94-ის“ რეგისტრაცია საწესდებო კაპიტალისა და დამფუძნებელთა რიცხვში ცეკავშირის რეგისტრაციის ნაწილში, შპს „ერდო-94-ის“ დირექტორს მიეცა ვადა საწესდებო კაპიტალის 2000 ლარამდე შესავსებად. ამავე სასამართლოს 2003 წლის 4 თებერვლის განჩინებით 2002 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „ერდო-94-ის“ განცხადების საფუძველზე განიმარტა შემდეგნაირად: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის შპს „ერდო-94-ის“ რეგისტრაცია საწესდებო კაპიტალის ნაწილში, ვინაიდან საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონება მთლიანად სს „ერდოს“ საკუთრებად იქნა ცნობილი და დამფუძნებელთა რეგისტრაციის ნაწილში, ვინაიდან სს „ერდოს“ დამფუძნებლად რეგისტრაცია მათი ნებართვის გარეშე მოხდა და საწესდებო კაპიტალში არ დარჩა სხვა რაიმე ფულადი შენატანი. ამდენად, შპს „ერდო-94-ის“ მიეცა სამი თვის ვადა კაპიტალის სავალდებულო ოდენობამდე -2000 ლარამდე შესავსებად, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია გაუქმდება მთლიანად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე შპს „ერდო-94-ის“ დირექტორმა რ. ს-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ერდო-94-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული 2002 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება, ასევე 2003 წლის 4 თებერვლის განჩინება მისი განმარტების თაობაზე გაუქმდა და სს „ერდოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ერდო-94“ დაფუძნდა 1994 წელს გაერთიანება «საქოპსა-მარაგების» ფირმა «კოოპსათობის», ცეკავშირის ახალციხის უნივერსალური ბაზისა და 9 ფიზიკური პირის მიერ. ოურიდიულმა პირებმა საწესდებო კაპიტალში შეიტანეს შემდეგი ქონება: «კოოპსათობმა» -3 ავტოგასამართი სადგური, ხოლო ცეკავშირის ახალციხის უნივერსალურმა ბაზამ -ძველი ადმინისტრაციული შენობა, რკინიგზის პირას მდებარე საწყობის შენობა, ავტომანქანა თავისი მისაბმელით და 3 ცალი ავტომტვირთავი. ფიზიკურმა პირებმა შეიტანეს 90 000 000 კუპონი. 1996 წლის 15 იანვარს პარტნიორობიდან გავიდა 3 ფიზიკური პირი და ფირმა «კოოპსათობი», რომელმაც გაიტანა საწესდებო კაპიტალში მის მიერ შეტანილი 3 ავტოგასამართი სადგური. 1998 წლიდან ცეკავშირის ახალციხის უნივერსალური ბაზა დარეგისტრირდა სს „ერდო“, რომელიც გახდა მითითებული ბაზის სამართალმემკვიდრე. საზოგადოების იმდროინდელმა დირექტორმა და შპს „ერდო-94-ის“ პარტნიორმა რ. ს-შვილმა 1998 წლის 28 სექტემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს შპს-ს ხელახლა რეგისტრაციისათვის, რომელსაც დაურთო საზოგადოების დამფუძნებელთა მიერ ხელმოწერილი წესდება. აღნიშნული დასტურდება სასამართლოში შეტანილი განცხადებითა და თანდართული წესდებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დროს მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» კანონის 5.9 მუხლის თანახმად, საზოგადოება 1998 წლის სექტემბრიდან ითვლება რეგისტრირებულად, ვინაიდან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ განჩინება ან სხვა წერილობითი დოკუმენტი საქმისა და რეგისტრაციის მასალებში არ მოიპოვება. სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებულ ვადაში რეგისტრაციაზე უარის არარსებობის ფაქტი ასევე დასტურდება ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. თ-შვილის წერილითა და ცნობით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ შპს „ერდო-94-მა“ რეგისტრაციისათვის მიმართა სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის, ვინაიდან აღნიშნულ განცხადებას ერთვის 1998 წელს ჩატარებული კრების ოქმი, ამავე წლის გადახდის ქვითრები და საქმეშიც მოიპოვება მოსამართლის მიერ გაცემული ცნობა, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, მან 2000 წელს რეგისტრაცია განახორციელა დაგვიანებით, ორგანიზაციული მიზეზების გამო. ამდენად, სასამართლომ მიუთითა, რომ 2000 წლის 30 ივნისის შპს „ერდომ-94-მა“ სასამართლოს მიმართა არა ხელახალი რეგისტრაციისათვის, არამედ სარეგისტრაციო მოწმობის მისაღებად, რაც მიიღო კიდეც. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ უსაფუძვლოა სს „ერდოს“ მოთხოვნა მოსარჩელის კუთვნილი ქონების მოპასუხის საწესდებო კაპიტალიდან ამორიცხვის თაობაზე, ვინაიდან ცეკავშირის უნივერსალურმა ბაზამ შპს „ერდო-94-ის“ დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში შეიტანა რა ქონება, იმ დროს მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, თავისი შენატანი არ დაუბრუნებია. ამდენად, ხელახალი რეგისტრაციისას აღნიშნული შენატანი სს „ერდოს“ საკუთრებას არ წარმოადგენდა და მოპასუხე უფლებამოსილი იყო, საწესდებო კაპიტალი სადავო სახით დაერეგისტრირებინა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „ერდომ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლო მოცემული საქმის განხილვისას გასცდა აპელანტის მოთხოვნას და იმსჯელა 1998 წლიდან შპს „ერდო-94-ის“ რეგისტრირებულად აღიარებაზე, თუმცა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო შპს „ერდო-94-ის“ 2000 წლის 20 ივნისის რეგისტრაციის კანონიერება. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა 1994 წელს ზუსტი თარიღის მითითების გარეშე ს-შვილების მიერ შედგენილი სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომელიც მე-17 პუნქტის მიხედვით, ძალაში უნდა შესულიყო მონაწილეთა წარმომადგენელთა ხელმოწერის დღიდან. აღნიშნული ფიქტიური საბუთის საფუძველზე ფირმა «ერდო-94-ის» პარტნიორი გახდა 9 ფიზიკური პირი, რომლებმაც 1994 წლის ნოემბერში შეიტანეს საპაიო შენატანი 80 მლნ კუპონის ოდენობით, რომელიც გაიხარჯა და 1996 წლის დეკემბერში შპს „ერდო-94-

ის» ანგარიშზე ირიცხებოდა 3 ლარი. უსაფუძვლო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ 1996 წლის მდგომარეობით საზოგადოებაში პარტნიორად დარჩა 6 ფიზიკური პირი, ვინაიდან მათ მიერ შეტანილი საპაიო შენატანი რ. ს-შვილმა მაშინვე დახარჯა და 1994 წლის დეკემბრიდან თ., ა., დ., რ. ს-შვილები და ცეკავშირის გამგეობის წარმომადგენელი თ. ხ-ძე საზოგადოების პარტნიორებად აღარ ითვლებოდნენ, რადგან მათ წილი არ ჰქონდათ. 1996 წელს საზოგადოების პარტნიორობიდან გავიდნენ ფირმა «კოოპსატობი», რომელმაც გაიტანა თავისი შენატანი და ცეკავშირის უნივერსალური ბაზა, რომლის ქონების გატანა არ მოხდა იმდროინდელ დირექტორ რ. ს-შვილის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და პირადი დაინტერესების გამო. 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს «ერდო-94-ის» საწესდებო კაპიტალში რჩებოდა მხოლოდ ცეკავშირის უნივერსალური ბაზის მიერ შეტანილი ქონება. სასამართლომ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 30 აპრილის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივის ეროვნული ალიანსი «ცეკავშირისა» და მისი სისტემის ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაციის ბოლო ვადად 1999 წლის იანვრის ნაცვლად არასწორად მიუთითა 1998 წლის იანვარი. ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. თ-შვილის 2000 წლის 6 აპრილის #50 ცნობით შპს «ერდო-94-ს» სასამართლოში რეგისტრაცია არ გაუვლია, რის საფუძველზეც საზოგადოება გაუქმებული იყო და აღარ ფუნქციონირებდა. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა სს «ერდოში» ცეკავშირის სარევიზიო კომისიის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 2000 წლის 25 მარტის სხდომაზე რ. ს-შვილის მონაწილეობით მიღებულ იქნა დადგენილება შპს «ერდო-94-ის» საწესდებო კაპიტალში შეტანილი სადავო ქონების სს «ერდოსათვის» დაბრუნების შესახებ და 81300 ლარის ქონება სააქციო საზოგადოების ანგარიშზე უნდა ასახულიყო 2000 წლის I კვარტილიდან. აღნიშნული დადგენილება უნდა შესრულებულიყო ჯერ კიდევ 1996 წელს, რასაც რ. ს-შვილმა შეუშალა ხელი. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სს «ერდოს» შპს «ერდო-94-ის» პარტნიორობიდან გასვლასა და შესატანის გატანაზე თავისი ნება არ გამოუვლენია. სასამართლოს ასევე არ გაუთვალისწინებია, რომ ცეკავშირის გამგეობამ 2000 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით ძალადაკარგულად ჩათვალა თავისივე 1994 წლის 21 აპრილის დადგენილება შპს «ერდო-94-ის» შექმნის შესახებ. სააპელაციო პალატამ თავისი მოსაზრება, რომ შპს «ერდო-94-ის» დირექტორმა 1998 წლის 28 სექტემბრის განცხადებით მიმართა სასამართლოს შპს-ს ხელახალი რეგისტრაციის შესახებ დაასაბუთა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, თუმცა ამ ფურცლებზე ასეთი მტკიცებულება არ არის. რაც შეეხება 1998 წლის 28 სექტემბრის განცხადებას რეგისტრაციის შესახებ, იგი საქმეში წარმოდგენილია დამფუძნებელთა ხელმოწერაზე, ხოლო რეგისტრაციის მასალებში ჩაკერებულია განცხადება, რომლის შემოსავალში აღების თარიღია 2000 წლის 30 ივნისი და არა 1998 წლის 28 სექტემბერი, როგორც ამას სააპელაციო პალატა უთითებს. ამასთან, აღნიშნული განცხადებით აპელანტი ითხოვს არა ხელახალ რეგისტრაციას, არამედ უბრალოდ რეგისტრაციას. დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. თ-შვილის საქმეში არსებული წერილისა და ცნობის მიხედვით, სასამართლოს კანონით გათვალისწინებულ ვადაში შპს «ერდო-94-ის» რეგისტრაციაზე უარი არ უთქვამს და, კანონის თანახმად, ვალდებული იყო, განმცხადებლის მოთხოვნისთანავე გაეცა სარეგისტრაციო მოწმობა. ფაქტობრივად, საქმეში ჩაკერებულია რ. ს-შვილისა და არა მოსამართლის წერილი, ხოლო ცნობაში მითითებულია, რომ 2000 წლის 30 ივნისს რეგისტრაცია მოხდა ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ შპს «ერდო-94-ს» ჰქონდა მიღებული განჩინება ხარვეზის შესახებ, რაც გატარებულია სასამართლოს 1998 წლის წასული ფოსტის აღრიცხვის ჟურნალში #501 ნომრით. სასამართლომ ყურადღება არ გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შპს «ერდო-94-ის» დირექტორი და პარტნიორი თ. ს-შვილი, ისევე, როგორც საზოგადოების პარტნიორი რ. ს-შვილი, არ მოითხოვდნენ სარეგისტრაციო მოწმობის მიღებას, ვინაიდან მათთვის ცნობილი იყო, რომ 1998 წელს შპს «ერდო-94» რეგისტრაციაში არ გატარდა არსებული ხარვეზის გამო. საქმეში წარმოდგენილია მოსამართლე ა. თ-შვილის წერილი, რომლის თანახმად ადმინისტრაციული მოსამართლის შტატის გაუქმების შემდეგ მას დოკუმენტაცია გადაეცა მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლად, რეალურად კი ყოფილმა ადმინისტრაციულმა მოსამართლე ვ. ვ-ძემ ა. თ-შვილს საქმეები და მასალები 1999 წლის 18 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადასცა. აქტი დასახელებულია შპს «ერდო-94-ის» მასალებიც, რომლებიც 2000 წლის 30 ივნისს რ. ს-შვილმა წარუდგინა სასამართლოს. ამდენად, გაუგებარია, თუ როგორ აღმოჩნდა 2000 წელს რ. ს-შვილის ხელში 1998 წლის თარიღით შედგენილი საბუთები სასამართლო არქივიდან. მოსამართლე ა. თ-შვილის 2000 წლის 17 ივნისის #132 წერილით, რომლითაც იგი შპს «ერდო-94-ის» წარმომადგენლებს რეგისტრაციის პროცესში ხარვეზების გამოსწორების დაჩქარებას სთხოვს, დასტურდება, რომ შპს-ს სადავო რეგისტრაცია მოხდა საჭირო საბუთების გარეშე. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ შპს «ერდო-94-ის» რეგისტრაციისას, 2000 წლის 30 ივნისისათვის, რ. ს-შვილი სს «ერდოს» გენერალური დირექტორი აღარ იყო. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ საქმეში რ. ს-შვილმა წარადგინა ხარვეზიანი დოკუმენტები, კერძოდ, 1998 წლის 28 სექტემბრის განცხადება საზოგადოების პარტნიორთა ხელმოწერების გარეშე, 2000 წლის 30 ივნისის ყალბი განცხადება, რომელიც ხელმოწერილია რ. ს-შვილის, როგორც სს «ერდოს» დირექტორის მიერ, შპს «ერდო-94-ის» ხარვეზიანი წესდება, რომელიც გასწორებულია მოსამართლის მიერ, ხოლო რეგისტრაციის მასალებში იგი გაყალბებულია, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს დასკვნით, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის დადგენილება, რომელშიც თარიღი და რეგისტრაციის საფუძვლები გადაწორებულია რ. ს-შვილის მიერ. უსაფუძვლოა სასამართლოს არგუმენტი, რომ 2000 წლის 30 ივნისის განცხადება წარმოადგენს «მეწარმეთა შესახებ» კანონის 5.9 მუხლით გათვალისწინებულ განცხადებას სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შესახებ, ვინაიდან სადავო განცხადების მოთხოვნა საზოგადოების რეგისტრაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ერდოს» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა სს «ერდო-94-ის» სარჩელი შპს «ერდო-94-ის» მიმართ ახალციხის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის დადგენილებით განხორციელებული შპს «ერდო-94-ის» რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო გასცდა დავის საგანს და იმსჯელა შპს «ერდო-94-ის» 1998 წლის რეგისტრაციის კანონიერებაზე.

საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «ერდო-94-ის» სარჩელი სამეწარმეო რეესტრში შპს «ერდო 94-ის» რეგისტრაციის თარიღად 1998 წლის 12 ოქტომბრის დადგენისა და საგადასახადო ორგანოსათვის შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის დავალების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსახილველ სარჩელზე უარის თქმის შესახებ ეყრდნობოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შპს «ერდო-94-ის» რეგისტრაცია განხორციელდა არა 2000 წლის 30 ივნისს, არამედ 1998 წელს, ხოლო 2000 წლის 30 ივნისს შპს «ერდო-94-მა» სასამართლოს მიმართ არა ხელახალი რეგისტრაციისათვის, არამედ სარეგისტრაციო მოწმობის მისაღებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ასეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობა უარყოფილ იქნა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს ფაქტობრივ დასაბუთებას. აღნიშნულით დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეხამე და მეოთხე ნაწილების მოთხოვნა, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, სამართლებრივ შეფასებას და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 ივნისის დადგენილებით განხორციელებული შპს «ერდო-94-ის» რეგისტრაციის კანონიერებაზე. ამ მიმართებით სასამართლომ უნდა შეამოწმოს «მეწარმეთა შესახებ» კანონის მოთხოვნათა დაცვით არის თუ არა წარდგენილი იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთები სასამართლოში. ამასთან, სასამართლომ ასევე შეფასება უნდა მისცეს სააპელაციო საჩივრის არგუმენტებს სადავო რეგისტრაციისთან დაკავშირებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნული ალიანსი «ცეკავშირის» სს «ერდოს» გენერალური დირექტორი ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

სს «შუქგრეფიმპექსბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ. #13-ში მდებარე უძრავი ქონების -286 კვ.მ შენობის მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირება და შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემა შემდეგი საფუძველებით: საქართველოს პროფესიული კავშირის რესპუბლიკური საბჭოს 1997 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე «მეწარმეთა შესახებ» კანონის 3.3 მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქონებრივი შენატანით სს «ბანკი კრედიტის» აქციათა შექმნის შესახებ. 1997 წლის 7 ნოემბერს, სს «ბანკი კრედიტის» დირექტორთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეებმა წერილობით მიმართეს ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურს, ამავე წლის 6 ნოემბრის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, პროფკავშირების საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... გამზირის #13-ში მდებარე შენობის 286 კვ.მ ნაწილის, 53000 ლარის ღირებულების ფართის, როგორც ბანკის საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი შენატანის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, სს «ბანკი კრედიტის» 1998 წლის 10 ოქტომბრის აქციონერთა საერთო კრებაზე საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ჯაფარიძე, როგორც ამავე საბჭოს წარმომადგენელი, არჩეულ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ამდენად, 1997 წლიდან მოპასუხე არის ბანკის აქციონერი, რაც დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა შექმნის შესახებ ხელშეკრულება-განაცხადით. მოპასუხე «მეწარმეთა შესახებ» კანონით გათვალისწინებული წესით მონაწილეობს საზოგადოების მართვაში და იღებს დივიდენდს. მოსარჩელემ 2004 წლის 17 თებერვალს და 20 მაისს წერილობით მიმართა ბათუმის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურს შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის მოთხოვნით, თუმცა ტექნიკურმა ორივეჯერ გაურკვეველი პასუხი გასცა მოსარჩელეს და მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ბანკი კრედიტის» უფლებამონაცვლე სს «შუქგრეფიმპექსბანკის» მიმართ მხარეთა შორის სააქციო საზოგადოების წილის შესყიდვის შესახებ დადებული გარიგებების ბათილად ცნობისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: 1997 წელს მოსარჩელის კუთვნილი სადავო შენობის 286 კვ.მ შევიდა სს «შუქგრეფიმპექსბანკის» საწესდებო კაპიტალში. ხელშეკრულება, რომლითაც აღნიშნული განხორციელდა, დაიდო სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით, კერძოდ, სათანადო ფორმის დაუცველად, რაც ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მისი ბათილად ცნობის საფუძველია. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ცდილობს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით საჯარო რეესტრში თავის სახელზე აღრიცხოს პროფკავშირების კუთვნილი, ქ. ბათუმში, ... ქ. #13-ში მდებარე უძრავი ქონება -შენობის 286 კვ.მ ნაწილი და 158 კვ.მ სარდაფი. ფაქტობრივად, სადავო ფართი სააქციო საზოგადოებას გადაცემული აქვს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე თვეში 300 ლარის გადახდის სანაცვლოდ, ხოლო უძრავი ნივთის მოპასუხის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი, 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 293-ე მუხლის პირველი, მეოთხე ნაწილების, 47-ე მუხლის პირველი ნაწილის, 48-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შედგენილი რაიმე მტკიცებულება არ არსებობს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის მიხედვით, მოსარჩელემ, როგორც მოპასუხე ბანკის აქციონერმა ვალდებულება იკისრა, შეეძინა გამოცხადებული აქციები ფულადი ნიშნით, ხოლო ქონების სანაცვლოდ, შესყიდვა მომხდარიყო მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით. ამდენად, ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული, თუ რა შენატანი უნდა შეეტანა მოსარჩელეს მოპასუხის საწესდებო კაპიტალში, თუმცა უძრავი ქონებით შენატანის განხორციელებისას უნდა დადებულიყო სათანადო ხელშეკრულება შესაბამისი ფორმის დაცვით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული ორი გარიგებიდან არც ერთი არ არის დათარიღებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებული ხელშეკრულებები ბათილია სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამასთან, სს «შუგრეფიმპექსბანკი», არაერთგზის შეხსენების მიუხედავად, საიჯარო ქირას სრულად არ იხდის, რის გამოც სადავო ფართი საზოგადოების მფლობელობიდან გამოთხოვილ უნდა იქნეს და დაუბრუნდეს მესაკუთრეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 მაისის განჩინებით აღნიშნული სარჩელები გაერთიანდა ერთიან წარმოებად. ამავე სასამართლოს 2006 წლის 17 აპრილის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება, სს «შუგრეფიმპექსბანკის» სარჩელის გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქმედების დავალდებულების თაობაზე გარიგების ბათილად ცნობისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სს «მუგრეფინმპექსბანკის» მიმართ პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკის გაერთიანების სარჩელის განხილვამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის შემდგარი აქტი სს «მუგრეფინმპექსბანკის» საწესდებო კაპიტალში შეტანის სახით მოპასუხისათვის უძრავი ქონების გადაცემის შესახებ. სს «მუგრეფინმპექსბანკი» გამოსახლდა ქ. ბათუმში, ... ქ. #13-ში მდებარე ფართიდან და იგი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «მუგრეფინმპექსბანკის» უფლებამონაცვლე სს «აგროინვესტბანკმა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «აგროინვესტბანკის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: აჭარის პროფსაბჭოს 1997 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს «ბანკი კრედიტის» აქციების შეძენის შესახებ საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანით – ბანკისათვის იჯარით გადაცემული 286 კვ.მ-ით. 1997 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოსა და სს «ბანკი კრედიტს» შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, პროფსაბჭო ბანკს გადასცემდა ქ. ბათუმში, ... ქ. #13-ში მდებარე შენობის, 53000 ლარის ღირებულების 286 კვ.მ-ს ბანკის აქციების შეძენის განაცხადისა და პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების მოთხოვნაა 1997 წლის 6 ნოემბერს მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა წარმოიშვა 1997 წლის 6 ნოემბერს, რა დროსაც ახალი სამოქალაქო კოდექსი ჯერ კიდევ არ მოქმედებდა, ამდენად, მოცემული დავა უნდა გადაწყდეს იმ მომენტისათვის მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» კანონის საფუძველზე, რომლის მე-15 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, მოსარჩელემ დაარღვია როგორც 1997 წლის 6 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტის 5-წლიანი, ისე 1997 წლის 3 ოქტომბრის კრების ოქმის 2-თვიანი გასაჩივრების ვადა. პალატის მითითებით, სს «აგროინვესტბანკის» წარმომადგენელმა მთავარ სხდომაზე დაადასტურა, რომ სს «ბანკი კრედიტის» აქციები მოსარჩელემ შეიძინა არაფულადი შენატანით. სასამართლომ არ გაიზიარა პროფკავშირის მითითება, რომ ბანკის საწესდებო კაპიტალში აქციების შესაძენად განხორციელებული უძრავი ქონების შეტანის შესახებ დოკუმენტი უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით. პალატამ მიიჩნია, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-19 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობისათვის გათვალისწინებულ ყველა იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებისათვის სანოტარო ფორმის დაცვა აუცილებელია, თუმცა აღნიშნულ ჩამონათვალში არ შედის სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გასხვისება, რითაც სააქციო საზოგადოების მიერ წილის გასხვისების ფორმა სხვა სამეწარმეო საზოგადოებათა მიერ წილის გასხვისებისაგან განსხვავდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სს «აგროინვესტბანკის» მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ და პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკის გაერთიანებას სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ დააკისრა ბანკის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2120 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს 1997 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით კასატორმა სადავო ფართის სს «ბანკი კრედიტისათვის» გადაცემის სანაცვლოდ, შეიძინა საზოგადოების შესაბამისი ღირებულების აქციები, თუმცა აღნიშნული დადგენილება ამავე საბჭოს 2004 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული გარიგება კასატორისათვის წამგებიანი აღმოჩნდა, რის გამოც იგი სანოტარო წესით არ დამოწმებულა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში არ აღრიცხულა, ხელშეკრულების პროექტი და ბანკის აქციების შესყიდვის განაცხადი არ დანომრილა და არ დათარიღებულა. აღნიშნული კი, ამავე კოდექსის 47-ე მუხლიდან გამომდინარე, მითითებული დოკუმენტების ბათილად ცნობის საფუძველია და მათ იურიდიული ძალა ვერ მიენიჭება. 1997 წლის 6 ნოემბრის სანოტარო წესით დაუმოწმებელი უძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი 7 ნოემბერს გაიგზავნა ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში. მხარეთა შორის 1994 წლის აგვისტოსა და 1997 წლის 1 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე კვლავ სარგებლობდა სადავო ფართით, რისთვისაც იხდიდა საიჯარო ქირას, კერძოდ, 1998 წელს კასატორს ჩაურთებია 713,50 ლარი, 1999 წლის 17 თებერვალს – 7635,26 ლარი, 2001 წლის აგვისტოში 1729,55 ლარი, 2004 წლის ივნისში – 152,97 ლარი. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის შესაბამე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმები გამოყენებული ვერ იქნება, რადგან სადავო ურთიერთობა წარმოიშვა აღნიშნული კოდექსის

ამოქმედებამდე. სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი, ძველი რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს უძრავ ნივთზე გარიგების დადებისას მისი სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში აღრიცხვის აუცილებლობას. აღნიშნული კანონის მოთხოვნა კასატორს სს «ბანკი კრედიტის» საწესდებო კაპიტალში სადავო ქონების შეტანისას არ დაუცვია, რის გამოც სასამართლომ ზემოხსენებული გარიგება არასწორად ცნო დადებულად. სადავო ურთიერთობა წარმოიშვა რა სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედებისას, იგი ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგაც გაგრძელდა, ამდენად, სააპელაციო პალატას არ უნდა ეხელმძღვანელა «მეწარმეთა შესახებ» კანონით. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სადავო ქონება აღრიცხულია კასატორის სახელზე, იგი მოწინააღმდეგე მხარისათვის კანონით დადგენილი წესით არ გაუსხვისებიათ, ამასთან, 1990 წლიდან აღნიშნულ უძრავ ნივთზე მხარეებს შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ამჟამადაც ძალაშია. მოწინააღმდეგე მხარე საიჯარო ქირას იხდიდა 2000 წლამდე, შემდეგ კი გადახდა თვითნებურად შეწყვიტა, რაც გახდა მისი მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის საფუძველი. ზემოხსენებული საიჯარო ურთიერთობის არსებობას ადასტურებს 1997-1999 წლებში ბანკის მიერ გადახდილი თანხები. აღსანიშნავია, რომ ბანკის მიერ დაკავებული ფართიდან 1 ოთახი 2004 წლიდან იჯარით გადაეცა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა მიღების სამსახურს, რის შესახებ ბანკს 2006 წლამდე არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამდენად, მოთხოვნის ხანდაზმულობის მოტივით სასამართლომ მოწინააღმდეგე მხარეს მიაკუთვნა კასატორის კუთვნილი ქონება. სადავო გარიგების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების შემთხვევაშიც, ბანკი ქონებაზე საკუთრების უფლებას, ხანდაზმულობის გამო, ვერ მოიპოვებდა. განსახილველ დავაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი, ვინაიდან მოცემული დავა წარმოიშვა 1997 წლის ოქტომბრიდან, 10 წლის წინ, ამასთან, მხარეთა შორის უძრავი ნივთის გადაცემის ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესით არ გაფორმებულა. სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის პროცესზე სს «აგროინვესტბანკმა» წარადგინა ტექნიკური აღრიცხვის ბარათის ასლი, რომლის მიხედვით პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს 1997 წლის ოქტომბრის ოქმის საფუძველზე 1997 წლის 6 ნოემბერს აჭარის პროფკავშირებისა და სს «ბანკი კრედიტის» შორის დაიდო მიღება-ჩაბარების აქტი ქ. ბათუმში, ... ქ. #23-ში და არა ... ქ. #13-ში მდებარე 286 კვ.მ-ზე, (პირველ სართულზე -128 კვ.მ, ნახევარსართავი -158 კვ.მ). აღნიშნული ჩანაწერი არასწორია, რაც კასატორმა გაასაჩივრა სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» პუნქტისა და 394-ე მუხლის «ე1» პუნქტის თანახმად, საკასაციო პალატა აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმე ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლით, გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებას. მასში აუცილებლად უნდა მიეთითოს უდავო ფაქტებზე ანუ იმ ფაქტებზე, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ მიიჩნევენ, სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტებსა და იმ მტკიცებულებებზე, რომლებზეც სასამართლო ამყარებს თავის დასკვნებს. სასამართლომ მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებათა ზუსტად და ამომწურავად მითითებისა და ანალიზის შემდეგ უნდა იმსჯელოს გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებასა და იმ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებზე, რომლითაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასება ხდება. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს ფაქტობრივ დასაბუთებას, რაც გადაწყვეტილების კანონის დარღვევით მიღებულად მიჩნევისა და მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

მოცემული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა დასტურდება შემდეგით: პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სს «აგროინვესტბანკის» საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით ქ. ბათუმში, ... ქ. #13-ში მდებარე უძრავი ქონების - საოფისე ფართის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოპასუხის გამოსახლება სადავო ფართიდან და ქონების თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება. მოსარჩელე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის საფუძველად მიუთითებდა მხარეთა შორის არსებულ საიჯარო ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე. რაიონულმა სასამართლომ სარჩელზე მსჯელობისას სამართლებრივად

შეაფასა რა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კონკრეტული დასკვნები გამოიტანა მხარეთა შორის წარმოშობილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გააუქმა რა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მიიღო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ისე, რომ არ შეუფასებია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებზე და ის მტკიცებულებები, რომლითაც მოსარჩელე მხარე ადასტურებდა მხარეთა შორის არსებულ საიჯარო ხელშეკრულებას. აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის ძალითაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად ცნო, რომ აჭარის პროფსაბჭოს 1997 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს «ბანკი კრედიტის» აქციების შეძენის შესახებ საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანით -ბანკისათვის იჯარით გადაცემული 286 კვ.მ-ით. 1997 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური საბჭოსა და სს «ბანკი კრედიტს» შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად პროფსაბჭო ბანკს გადასცემდა ქ. ბათუმში, ... ქ. #13-ში მდებარე შენობის 53000 ლარის ღირებულების 286 კვ.მ-ს ბანკის აქციების შეძენის განაცხადისა და პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად. სასამართლომ დაასკვნა, რომ, რადგანაც მოსარჩელის მოთხოვნაა 1997 წლის 6 ნოემბერს მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმება, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს «მეწარმეთა შესახებ» კანონით გათვალისწინებული 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის თუნდაც კანონიერ ძალაში არსებობა წარმოშობდა თუ არა რაიმე თანამდევ სამართლებრივ შედეგებს; სააქციო საზოგადოებაში ქონებრივი შენატანით აქციების შეძენის ფაქტის დადგენასა და, შესაბამისად, პირის აქციონერად მიჩნევისათვის საკმარის წარმოადგენდა თუ არა სააქციო საზოგადოების კრების გადაწყვეტილება; რაიმე გარემოებით დგინდება თუ არა საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების აქციონერობა (კანონით გათვალისწინებული წესით მონაწილეობს საზოგადოების მართვაში და იღებს დივიდენდს); სასამართლოს არ გამოურკვევია, რა თანამდევ სამართლებრივი შედეგები მოჰყვა 1997 წლის 6 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტს და რა იურიდიული ძალა გააჩნია მას.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის მიერ შენატანი სს «აგროინვესტბანკის» საწესდებო კაპიტალში განხორციელდა უძრავი ნივთით. ამ მხრივ სასამართლოს არ შეუმოწმებია, რეალურად განხორციელდა თუ არა ამ სახის შენატანის შეტანა საწესდებო კაპიტალში და რა მტკიცებულება ადასტურებს ასეთ გარემოებას, ვის საკუთრებაში ირიცხება ამჟამად უძრავი ქონება.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე უნდა გამოარკვიოს ზემოხსენებული გარემოებები, სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღოს დასკვნა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9. განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-661-991-07

29 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ოპტიმუმი» სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ა-ძის მიმართ და მოითხოვა საწვავის რეალიზაციისას დაგროვილი დავალიანების -10021 აშშ დოლარისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით შპს «ოპტიმუმი» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შ. ა-ძეს შპს «ოპტიმუმი» სასარგებლოდ დაეკისრა 10021 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც შ. ა-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ივლისის განჩინებით შ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შ. ა-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის განჩინებით შ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად და კასატორს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟი -570 ლარი.

შ. ა-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ საქართველოს სახელმწიფო ხაზინამ უარი განაცხადა მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებაზე, ვინაიდან მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის -813,63 ლარის 70% 590 ლარი არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის განჩინებაში დაშვებულ იქნა უსწორობა და იგი უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის #ას-661-991-07 განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, განჩინების სამოტივაციო ნაწილში კასატორ შ. ა-ძისათვის დასაბრუნებელ თანხად არასწორად მიეთითა «570 ლარი», რაც უნდა შეიცვალოს «569, 541 ლარით».

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის #ას-661-991-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობა.

განჩინების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში მითითებული «570 ლარი» შეიცვალოს «569, 541 ლარით».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ვ-1021-ა-47-07

6 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ე. ბ-ძის წარმომადგენელ გ. ბ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის #ვ-1021-ა-47-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით ე. ბ-ძის წარმომადგენელ გ. ბ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დარჩა განუხილველად.

ე. ბ-ძის წარმომადგენელმა გ. ბ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის #ვ-1-21-ა-47-07 განჩინების აღწერილობითი ნაწილის მე-2 აბზაცში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, სიტყვების: „9 ნოემბერს» ნაცვლად მითითებულია სიტყვები: „9 ოქტომბერს».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ე. ბ-ძის წარმომადგენელ გ. ბ-ძის განცხადება და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის #ვ-1021-ა-47-07 განჩინების აღწერილობითი ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები: „9 ოქტომბერს» უნდა გასწორდეს სიტყვებით: „9 ნოემბერს».

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ე. ბ-ძის წარმომადგენელ გ. ბ-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის #ვ-1021-ა-47-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების აღწერილობითი ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები: „9 ოქტომბერს» გასწორდეს სიტყვებით: „9 ნოემბერს».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#3კ-405-03

24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. მ-ულის, ე. მ-ულის, ზ. ქ-შვილის, გ. ხ-შვილისა და სხვათა წარმომადგენელ შ. ქ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მაისის #3კ-405-03 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მაისის #3კ-405-03 განჩინებით ნ. მ-ულის, ე. მ-ლის, ზ. ქ-შვილის, გ. ხ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის შ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. კასატორს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 151.50 ლარის ოდენობით. ნ. მ-ულის, ე. მ-ულის, ზ. ქ-შვილის, გ. ხ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის შ. ქ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ საკასაციო სასამართლოს 2003 წლის 19 მაისის #3კ-405-03 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორად არის მითითებული დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მაისის #3კ-405-03 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „151.50 ლარის» უნდა გასწორდეს სიტყვებით „150 ლარის».

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ულის, ე. მ-ულის, ზ. ქ-შვილის, გ. ხ-შვილისა და სხვათა წარმომადგენლის შ. ქ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მაისის #3კ-405-03 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „151.50 ლარის» გასწორდეს სიტყვებით „150 ლარი».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-822-1139-07

24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სს „თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის დირექტორის ექსპერტიზის დარგში -თ. ო-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის #ას-822-1139-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის #ას-822-1139-07 განჩინებით სს „თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის» დირექტორატის თავმჯდომარის -ე. ქ-შვილის, დირექტორის სამკურნალო დარგში ე. გ-ურისა და დირექტორის ექსპერტიზის დარგში თ. ო-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. კასატორებს დაუბრუნდათ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -311 ლარის 70% - 217 ლარი საქართველოს სახელმწიფო ხაზინის (კოდი 220101222) საბიუჯეტო შემოსავლების #300773078 სახაზინო კოდით ძველი თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 ანგარიშიდან.

სს „თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის» დირექტორმა ექსპერტიზის დარგში -თ. ო-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 14 დეკემბრის #ას-822-1139-07 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, არასწორად არის მითითებული დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის #822-1139-07 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები: „217 ლარი» უნდა გასწორდეს სიტყვებით: „217 ლარი და 70 თეთრი».

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

სს „თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის» დირექტორის ექსპერტიზის დარგში -თ. ო-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის #ას-822-1139-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები: „217 ლარი» გასწორდეს სიტყვებით: „217 ლარი და 70 თეთრი».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-213-474-08

30 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, ზიანის/განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 26 იანვარს მიმართა მ. ლ-მემ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნამალადევის რაიონული ფილიალის უფროსის ე. ტ-მის წინააღმდეგ #42 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, შრომითი ურთიერთობის აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2007 წლის 14 თებერვალს მოსარჩელემ, ე. ტ-მის ნაცვლად მოპასუხედ მიუთითა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნამალადევის რაიონული ფილიალზე, იმავე სხდომაზე სასამართლო ინიციატივით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და ე. ტ-მე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 აპრილის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოეყო და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განსჯადობით გადაეცა მ. ლ-მის სარჩელი მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნამალადევის ფილიალის მიმართ.

2007 წლის 1 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის ინიციატივით მოხდა მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნამალადევის ფილიალის შეცვლა მისი უფლებამონაცვლით-სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ლ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელმა ე. ს-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეები მორიგდნენ და თბილისის საპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა მხარეების მ. ლ-მის და სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მორიგება შემდეგი პირობებით:

-მხარეები თანახმანი არიან, 2008 წლის 1 თებერვლიდან გაფორმდეს მათ შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულის განყოფილებაში მომუშავე სხვა თანაშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების თანაბარი ვადით, რომლის მიხედვით, მ. ლ-მე განახორციელებს შრომით საქმიანობას სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გლდანი-ნამალადევის რაიონული განყოფილების უფროსის სპეციალისტის თანამდებობაზე.

-მ. ლ-მე უარს ამბობს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიმართ დაყენებულ მოთხოვნაზე ზიანის ანაზღაურების სახით 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მიღებასთან დაკავშირებით.

2008 წლის 15 თებერვალს სასამართლოს ინიციატივით მორიგების განჩინებაში შეტანილ იქნა შესწორება.

მორიგების განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელმა და განმარტა, რომ მორიგების განჩინების სარეზოლუციო ნაწილში გამოტოვებულია მორიგების აქტის შემდეგი პირობები: 1 «მ. ლ-მე უარს აცხადებდა მოთხოვნაზე განაცდურის ანაზღაურების ნაწილში» 2. მ. ლ-მე უზრუნველყოფს სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას». კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა აღნიშნული გარემოებების მითითება მორიგების განჩინებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის მხარეთა შორის მორიგების ფაქტს, ხოლო მორიგების განჩინების გასაჩივრება გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის

როცა მხარე არ ეთანხმება სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მორიგების პირობებს და აღნიშნული საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტას.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი არ მოითხოვს მორიგების განჩინების გაუქმებას, არამედ ითხოვს გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში გამოტოვებული მორიგების პირობების დამატებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარის მიერ არასწორადაა გამოყენებული საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლება, რადგან ის უფლებამოსილი იყო, მიემართა სააპელაციო სასამართლოსთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად უსწორობის გასწორების მოთხოვნით და არა საკასაციო სასამართლოსთვის კერძო საჩივრით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი ადგენს წესს, როცა სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე გაასწოროს შეცდომები და შეიტანოს შესწორება შესაბამის განჩინებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორს უნდა განემარტოს, რომ მან აღნიშნული ნორმის საფუძველზე მიმართოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, გასაჩივრებულ განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების მოთხოვნით.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენლის ეთერ ს-შვილის PP კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-878-1196-05 15 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ტ. ა-ოვისა და ს. ა-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის #ას-878-1196-05 განჩინებაში დაშვებული უსწორობების გასწორების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის #ას-878-1196-05 განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დამტკიცდა მათ შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

1. ტ. (ნ.) ა-ოვმა იკისრა ვალდებულება 2006 წლის 1 აპრილიდან 3 კალენდარული თვის განმავლობაში აემუნებინა სასაზღვრო მიჯნა, ოცი სანტიმეტრის სიგანის, 50 სანტიმეტრიანი ფუნდამენტით, მარჯვნიდან მარცხნივ, არსებული ღობიდან 3 მეტრითა და 50 სანტიმეტრით ისე, რომ მისი წილი ჯამში 150 კვ.მ გამოსულიყო;

2. ტ. (ნ.) ა-ოვმა ასევე იკისრა ვალდებულება მომდევნო 3 თვის განმავლობაში ზ. ა-შვილისა და ც. ბ-ძის მიწის ნაკვეთზე ამჟამად არსებული სააბაზანოს ანალოგიური ფართობის სააბაზანო აემუნებინა და ზემოდან ბეტონი დაესხა;

3. ზ. ა-შვილი და ც. ბ-ძე დათანხმდნენ ტ. (ნ.) ა-ოვისათვის მიეცათ სადავო მიწის ნაკვეთი მარჯვნიდან მარცხნივ 3 მეტრით და 50 სანტიმეტრით, ისე, რომ მისი წილი ჯამში 150 კვ.მ გამოსულიყო;

4. ტ. (ნ.) ა-ოვი თანახმა იყო, მისი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ზ. ა-შვილსა და ც. ბ-ძეს მის კედელთან მიემუხებინათ სახლის კედელი, ისე, რომ კედლებს შორის გაკეთებულიყო საწვიმარი მილი და არ დაზიანებულიყო ტ. (ნ.) ა-ოვის კედელი;

5. ყველა სახის სამშენებლო და ნგრევითი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო ზ. ა-შვილის თანდასწრებით. ნგრევის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო მასალები ზ. ა-შვილის საკუთრებას წარმოადგენდა და გამოყენებული უნდა ყოფილიყო აღნიშნული მშენებლობისათვის;

6. შეთანხმების მე-4 პუნქტით განსაზღვრული კედლის მშენებლობა უნდა მომხდარიყო არსებული ფანჯრის გათვალისწინებით

მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე ტ. (ნ.) ა-ოვის სარჩელის გამო ზ. ა-შვილისა და ც. ბ-ძის მიმართ, სამკვიდრო ქონებიდან იდეალური წილის შესაბამისად რეალური წილის გამოყოფის თაობაზე, შეწყდა. ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება გაუქმდა და კასატორს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი.

2008 წლის 19 ივლისს ტ. ა-ოვმა და ს. ა-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას უსწორების გასწორების შესახებ განცხადებით მიმართეს. განმცხადებლების მტკიცებით, საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 14 მარტის განჩინებაში ტ. ა-ოვი მოხსენებულია როგორც ნ. ა-ოვი, რის გამოც საჯარო რეესტრში ქონება ნ. ა-ოვის სახელზე აღერიცხა და პრობლემები შეექმნა, ამასთან, იმავე განჩინებაში ს. ა-შვილი მოხსენიებულია დ. ა-ოვად.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

განმცხადებელი უთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 14 მარტის განჩინებაში ტ. ა-ოვის ნაცვლად მითითებულია ნ. ა-ოვზე.

საკასაციო პალატა აღნიშნულ მტკიცებას ვერ გაიზიარებს. მითითებული განჩინების ყველა ნაწილში კასატორი მოხსენებულია როგორც ტ. (ნ.) ა-ოვი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში განმცხადებელი იხსენიებოდა ნ. ა-ოვად, ხოლო საქმის წარმოების დანარჩენ ეტაპებზე ტ. ა-ოვად, ამასთან მხარეს სასარჩელო განცხადება აღძრული აქვს ტ. (ნ.) ა-ოვის სახელით, ამდენად საკასაციო სასამართლოს შეცდომით კი არ აქვს მითითებული მხარის სახელი, არამედ გამოყენებული აქვს თავად მის მიერ შემოთავაზებული ფორმა, კასატორი ტ. ა-ოვი მოხსენიებულია არა ნ. ა-ოვად, არამედ მითითებულია ორივე სახელი, ოფიციალურიც და ალტერნატიულიც.

რაც შეეხება განცხადებაში მითითებულ მეორე პიროვნებას, ს. ა-შვილს, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქმეში ფიგურირებდა მხოლოდ დ. ა-ოვი, ამასთან, საკასაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ან სარეზოლუციო ნაწილში დ. ა-ოვი საერთოდ არ არის მითითებული, ამდენად უსწორობის გასწორებაზე მსჯელობა უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის # ას-878-1196-05 განჩინებაში უსწორობა არ არის დაშვებული, შესაბამისად, არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ტ. ა-ოვისა და ს. ა-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 მარტის #ას-878-1196-05 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-440-790-07

31 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის #ას-440-790-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის #ას-440-790-07 განჩინებით, გ. რ-ძისა და კ. გ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დ. ი-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის #ას-440-790-07 განჩინების აღწერილობითი ნაწილის მე-2 აბზაცში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, სიტყვების ნაცვლად – «პასუხად აცნობეს, რომ 1992 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა არ არის კანონიერი და შეცვლილია ე.წ. «რეალური გეგმით» – მითითებულია სიტყვები: «პასუხად აცნობეს, რომ 1992 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა არის კანონიერი და შედგენილია ე.წ. «რეალური გეგმით».

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლო თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის #ას-440-790-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: განჩინების აღწერილობითი ნაწილის მე-2 აბზაცში მითითებული სიტყვების ნაცვლად – «პასუხად აცნობეს, რომ 1992 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა არის კანონიერი და შედგენილია ე.წ. «რეალური გეგმით» უნდა მიეთითოს: «პასუხად აცნობეს, რომ 1992 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა არ არის კანონიერი და შედგენილია ე.წ. «რეალური გეგმით».

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის #ას-440-790-07 განჩინებაში დაშვებული უსწორობა გასწორდეს და განჩინების აღწერილობითი ნაწილის მე-2 აბზაცში მითითებული სიტყვების ნაცვლად – «პასუხად აცნობეს, რომ 1992 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა არის კანონიერი და შედგენილია ე.წ. «რეალური გეგმით» – უნდა მიეთითოს: «პასუხად აცნობეს, რომ 1992 წელს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა არ არის კანონიერი და შედგენილია ე.წ. «რეალური გეგმით».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-890-1101-08

17 ოქტომბერი, 2008 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი

განიხილა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-შვილის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

მითითებული განჩინების გამოტანის თარიღად, ნაცვლად 13 ოქტომბრისა, მითითებულია 13 სექტემბერი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური ხასიათის ხარვეზით, რა დროსაც არასწორად მიეთითა სიტყვა «სექტემბერი» ნაცვლად «ოქტომბრისა».

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული უსწორობა სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების გამოტანის თარიღად ნაცვლად «13 სექტემბრისა», მიეთითოს: «13 ოქტომბერი».

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაში (საქმე #ას-890-1101-08), მ. გ-შვილის კერძო საჩივართან დაკავშირებით, გასწორდეს დაშვებული უსწორობა და განჩინების გამოტანის თარიღად ნაცვლად «13 სექტემბრისა» მიეთითოს: «13 ოქტომბერი».

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-581-808-08

25 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

განიხილა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით, შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, შპს «დიაოხს» დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 3237,5 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არ არის მითითებული შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი პირი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას. საქმეში არსებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრით ცალსახად დგინდება, რომ შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა ო. ზ-იანის მიერ.

გარდა ამისა, აღნიშნული განჩინების შესავალ ნაწილში ნაცვლად კასატორისა შპს «დიაოხი», მითითებულია შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია».

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ დასახელებული უსწორობები სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში წინადადება: «შპს «დიაოხს» დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -3237,5 ლარი» შეიცვალოს წინადადებით: «შპს «დიაოხს» დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ო. ზ-იანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -3237,5 ლარი»; ამავდროულად, უნდა შესწორდეს განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა და კასატორად შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიის» ნაცვლად მიეთითოს: შპს «დიაოხი».

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინებაში (საქმე #ას-581-808-08), შპს «დიაოხის» საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, გასწორდეს დაშვებული უსწორობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში წინადადება: «შპს «დიაოხს» დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -3237,5 ლარი» შეიცვალოს წინადადებით: «შპს «დიაოხს» დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ო. ზ-იანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -3237,5 ლარი»;

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა და შპს «საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიის» ნაცვლად კასატორად მიეთითოს შპს «დიაოხი»

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინებაში დაშვებულ უსწორობათა გასწორება

განჩინება

#ას-765-980-08

4 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. და ფ. გ-ოვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი. ჯ-ოვის მიმართ დანაშაულით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. და ფ. გ-ოვების სარჩელი დაკმაყოფილდა -ი. ჯ-ოვს დაეკისრა ს. და ფ. გ-ოვების სასარგებლოდ დანაშაულის გზით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება 34000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ჯ-ოვმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით ი. ჯ-ოვის სააპელაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ჯ-ოვმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ი. ჯ-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა -გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით ი. ჯ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ჯ-ოვმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ი. ჯ-ოვის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. აღნიშნულ განჩინებაში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, საქმის განხილვის თარიღად «10 ნოემბერი, 2008 წელი»-ს ნაცვლად, არასწორად მიეთითა «10 ნოემბერი, 2007 წელი».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით გაასწოროს სასამართლო გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში დაშვებული შეცდომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის #ას-765-980-08 განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს და მოცემული საქმის განხილვის თარიღი - «10 ნოემბერი, 2007 წელი» უნდა შეიცვალოს «10 ნოემბერი, 2008 წელი»-ით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის #ას-765-980-08 განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების შესავალ ნაწილში «10 ნოემბერი, 2007 წელი» გასწორდეს «10 ნოემბერი, 2008 წელი»-ით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

10. დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

#ას-633-966-07

11 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია**

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ლ. გ-შვილის წარმომადგენელ გ. კ-ძის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. გ-შვილის სარჩელი მოპასუხე ე. ო-იას მიმართ მისთვის, როგორც კანონისმიერი მემკვიდრისათვის, სამკვიდროს ფლობის ხელშემშლის აღკვეთისა და მოპასუხის მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განჩინებით ლ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახალი განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

2008 წლის 10 მარტს ლ. გ-შვილის წარმომადგენელმა გ. კ-მემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების მიღებით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. გ-შვილის წარმომადგენელ გ. კ-მის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სასამართლოსათვის. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა.

მითითებული მუხლის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც მმართალია იყო განხილვის საგანი, წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები ამ მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებისათვის, მოხდა მისი განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს რატომღაც გამორჩა მხედველობიდან, მიელო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს დამაბიტებითი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით გათვალისწინებული პირობა, ვინაიდან იგი არ პასუხობს მითითებული მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე და 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ლ. გ-შვილის წარმომადგენელ გ. კ-მის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.